მამისა ბერძნიშვილი

ისტორიის მასალები XVIII საუკუნეში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

მამისა ბერძნიშვილი

თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში

(ქართული დოკუმენტური მასალის მიხედვით)

გამომცემლობა „მეცნიერება"

თ ბ ი ლ ი ს ი

39 (47·922)
ბ 571

ნაშრომში მოცემულია თბილისის გარეგანი სახე XVIII ს-ში თბილისური დოკუმენტების საფუძველზე. აღდგენილია ქალაქის უმთავრესი უბნები, დახასიათებულია ამ უბნებში შემავალი ძირითადი ნაგებობანი და ქუჩები. შესწავლილია საცხოვრებელ სახლთა გარეგანი სახე, საქალაქო მეურნეობა.

შესავალი

ძველი თბილისის გარეგან სახეს არაერთი მკვლევარი შეხებია[1]. ჩვენი ამოცანაა უკვე გაკეთებულის შევსება იმ მდიდარი ფაქტიური მასალით, რასაც იძლევა თბილისური დოკუმენტები (ნასყიდობის, გაცვლის, პირობის წიგნები, გასამყრელოები და განჩინებები, კერძო პირთა წერილები და თამასუქები) და რაც ნაწილობრივ უკვე გამოყენებული ჰქონდა ზოგ მკვლევარს. თბილისის გარეგანი სახის შესწავლისას, სხვადასხვა სახის ნარატიულ წყაროთა გვერდით, ჩვენთვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა აგრეთვე თბილისის გეგმები, სახელდობრ: ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი თბილისის გეგმა[2], რომელიც, როგორც ამას ვ. ბერიძეც აღნიშნავდა, საოცარი სიზუსტით ემთხვევა სინამდვილეს და მის თანადროულ დოკუმენტებში ასახული ვითარების ზუსტ ილუსტრაციას წარმოადგენს: ალექსანდრე პიშჩევიჩის გეგმა, შედგენილი 1785 წელს[3] ეს გეგმა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ზუსტად ამიტომ სინ-

---

[1] П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866. ვ. ბერიძე. XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით. ანალები 1, თბ., 1947, გვ. 127—144; შ. მესხია. თბილისის ტერიტორია და გარეგანი სახე. დ. გერიტიშვილი, შ. მესხია. თბილისის ისტორია, 1952. გვ. 96—146. შ. მესხია, დ. გერიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე. თბილისის ისტორია. თბ., 1958. გვ. 353—376.

Н. Бадриашвили. Тбилиси. 1957.

Ш. Цицадзе Тбилиси. Архитектура старого города и жилые дома первой половины XIX столетия. Тбилиси. 1958, стр. 15—53.

ვ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801 — 1917 წ, თბ., 1950.

[2] ეს გეგმა ჩანართის სახით მოცემულია ვახუშტის მიერ 1735 წელს შესრულებული ატლასის ქართლის რუკაზე. (საქ. ხ. ა. ფ. H 2079) გამოქვეყნებულია რამდენჯერმე, თავდაპირველად რუსულად და შემდეგ აქედან გაკეთდა ქართული (პოლევექტოვი, ნათაძე. ტფილისი, თბ., 1929) მაგრამ ეს გამოცემები, როგორც რუსული და შემდეგ აქედან ნათარგმნი ქართული, შეიცავენ მრავალ განსხვავებებს ორიგინალისაგან. ეს განსხვავება-შეცდომები აღნიშნული აქვს ვ. ბერიძეს წერილში—„XVIII საუკ. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით". ზოგ დაბეჭდილ განსხვავებას ჩვენც აღვნიშნავთ:

[3] План г. Тифлиса в 1785 г. Записки императорского Одесского общества Истории и Древностей. т. XXIV, Одесса, 1902 г.

ამის ბუნებრივი გეგმა 1782 წლის თარიღით დაცულია მოსკოვში, ЦВИА.

დოც; თბილისის 1800 წლის გეგმა[4], 1802 წლისა[5] და ბოლოს, 1828 წლის გეგმები[6], რომელნიც განსაკუთრებით გამოგვადგნენ ძველი ვითარების თანამედროვეობასთან შედარებისათვის.

თბილისის მთელი ტერიტორია XVIII საუკუნისათვის, როგორც ეს უკვე არაერთგზისაა აღნიშნული, სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: 1) საკუთრივ ტფილისი, ქალაქის ძველი ნაწილი, XVIII საუკუნისათვის სეიდაბადის სახელით ცნობილი, ახლანდელი აბანოებისა და ბალნეოლოგიური კურორტის რაიონი. 2) ქალაქის სენტრალური ნაწილი კალა, რომელიც შეიცავდა როგორც IV V საუკუნეების კალას ტერიტორიას, ასევე მის ჩრდილოეთითა და დასავლეთით მდებარე ფართობსაც. ქალაქის ეს რაიონი შემოსაზღვრული იყო კედლით (ვახუშტის სიტყვით, აგებული 1642 – 1667 წწ. შაჰაბას II დროს). კედელი იწყებოდა ქალაქის ციხედელთან, მისდევდა სოლოლაკის ქედს ე. წ. შაპის ტახტამდე. აქედან ეშვებოდა ქედიდან დაბლა ჩრდილოეთისაკენ, მიიმართებოდა დღევანდელი მ. დავითანისა და პუშკინის ქუჩებით და ბოლოს, უხვევდა ბარათაშვილის ქუჩაზე მტკვრისაკენ. ეს კედელი, ვახუშტის გეგმის მიხედვით, გრძელდებოდა აგრეთვე მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე თათრის მოედნამდე[7]. სამხრეთის მხრიდან კი თბილისის ამ რაიონს საზღვრავდა ძველი კალას კედელი, რომელიც „ნარიყალიდან" დაშვებული წავკისის ხევის პარალელურად მოემართებოდა მტკვრის პირამდის. 3) თბილისის მესამე ნაწილს წარმოადგენდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ისანი, ავლაბარი.

გარდა ამ სამი ძირითადი რაიონისა, თბილისის ტერიტორია მე-18 საუკუნეში ვრცელდებოდა აგრეთვე ქალაქის კალავნის ჩრდილო-

---

[4] ВУА № 22656. ფრანგულად შესრულებული ხელწერილები და ექსპლიკაციები ამ გეგმისა სავსებით ეთანხმება პიშჩევიჩის გეგმისას. ვ. ცინცაძეს დაუკვლია აქვს რუსული პირი 1782 წლის გეგმისა (Тбилиси... ტაბულა 13). ეტყობა ამ გეგმის რუსულად გადმომღებს კარგად ვერ გაუგია დედნისეული ფრანგული ეს ექსპლიკაციებში გაპარვია ზოგი შეცდომა. მაგ., 27-ე ექსპლიკაცია ფრანგული **Marché aux quinquailles et soieries** (რკინა-კავეულობისა და აბრეშუმეულობის ფუქნები—ანუ იმდროინდელ ტერმინოლოგიით ჩილინგდრები და ბაზაზხანა) ნათარგმნია როგორც **Базар хинкали и шиирсов**

[5] ЦВИА, ф ВУА, № 22660

[6] იქვე, № 22661 გამოქვეყნებული აქვს ვ. ცინცაძეს Тбилиси, ტაბულა 14.

[7] ЦВИА, ф. ВУА, № 22662

[7] მტკვრის პირა კედლის არსებობა დოკუმენტურ მასალაში არ ასახულა.

ეთით და დასავლეთითაც. ქალაქის გალავანს გარეთ მოქცეულ მთელ ამ ტერიტორიას გარეთუბანი ერქვა*.

იმ პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, დადგენილია თბილისის ამ რაიონთა მდებარეობა და, მეორე მხრივ, გამოვლენილია ძირითადი ობიექტები ქალაქის ამა თუ იმ ნაწილში, ჩვენი ამოცანაა თითოეული ნაწილის დეტალური დახასიათება და დაახლოებითი გარკვევა იმისა, თუ სახელდობრ რა კონკრეტული უბნები, ქუჩები და შენობები არსებობდა მათში.

მაგრამ სანამ ჩვენს ძირითად ამოცანაზე გადავიდოდეთ, ურიგო არ იქნება ერთხელ კიდევ განვსაზღვროთ ქალაქის კარიბჭეთა ადგილმდებარეობა და მათი სახელწოდებები.

ცნობილია, რომ თბილისს საერთოდ ექვსი კარი ჰქონდა. ერთი კარი ავლაბარში იყო, დანარჩენი ხუთი — მტკვრის მარჯვენა მხარეზე. ამითომაც ყველაზე ჩრდილოეთით იყო ე. წ. „წყლის კარი“ იგივე „დაბლა კარი“, ანუ „ქვემო კარი“. ეს სახელწოდება ამ კარს შეერქვა იმის გამო, რომ იგი სხვა კარებზე უფრო დაბლა. ქვეეთ იყო. იგი მდებარეობდა დაახლოებით შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში. მასში გზა ავანაანთ სევზე გადებული ხიდით შედიოდა, ამიტომ ამ კარს „წყლის კარი“ ერქვა.

შემდეგი კარი „დიღმის კარის“, „შუა კარის“ სახელით ცნობილი, მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩების შესაყარზე. აქედან იწყებოდა გზა დიღმისაკენ.

მესამე კარი ქალაქისა იყო „კოჯრის კარი“, ანუ „მაღლა კარი“, იგი ნართლა მაღლა იყო, ქვემო. ანუ დაბლა კართან შედარებით, ეს კარი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც დღეს ლენინის ქუჩა ლენინის მოედანს უერთდება. დიღმის კარი ქვემო და მაღლა კართა შორის იყო და ამიტომაც ერქვა მას მეორენაირად „შუა კარი“.

მეოთხე კარი, „განჯის კარი“-ს სახელწოდებით, ქალაქის სამხრეთ კედელში იყო დატანებული.

მეხუთე კარი, „აბანოს კარი“, ქალაქის აღმოსავლეთ კედელზე იყო წავკისის ხევის პირას.

---

* თბილისის თავდაცვითი ნაგებობანი უფრო ვრცლად განხილული აქვს ბ. მესხიას. იხ. მისი დასახ. ნაშრ.

I. ᲥᲐᲚᲐ

თბილისის ცენტრალურ ნაწილს, როგორც ითქვა, ქალა ეწოდებოდა. ქალაქის ეს ნაწილი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი იყო. აქ იყო მოთავსებული მეფის სასახლე და სამეფო დაწესებულებანი, ეკლესიები და ბაზრები.

1. ზემო უბანი

მთელი ეს რაიონი, მტკვარსა. ნარიყალასა. შ დადიანის. პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის მოქცეული, თავის მხრივ ორ ძირითად უბნად იყოფოდა. ქალას ორ უბნად გამყოფი ჩანს ის მაგისტრალი, რომელიც კოჯრის კარიდან ბატონის მოედნისაკენ მოემართება. ამ ადგილას დღეს ლესელიძის ქუჩა გადის. ამ ქუჩის მარჯვენა მხარეს (პირით მტკვრისაკენ) ქვემო უბანი ერქვა. ხოლო მარცხენას—ზემო. ზემო და ქვემო ამ უბნებს მტკვრის დინების მიხედვით ერქვათ. თითოეულ ამ უბანს თავისი ცენტრი აქვს: ქვემო უბნის ცენტრია თათრის, ანუ იგივე ქვემო მოედანი. ზემო უბნისა—ბატონის მოედანი, სხვანაირად ზემო მოედანი. ამასთან ორივე ეს მოედანი ბაზრებსაც წარმოადგენდნენ: ერთი ქვემო ბაზარი იყო. მეორე — ზემო. თვით ეხლანდელი ლესელიძის ქუჩა, რაკი ის ამ ორი ბაზრის გამყოფი იყო. შუა ბაზრის სახელს ატარებდა. (ბოლო დრომდე ეს ქუჩა შუა ბაზრის ან სომხის ბაზრის სახელით იყო ცნობილი).

ქალაქის ცენტრის ასეთსავე დაყოფას იძლევა პუშჩევიჩის გეგმაც. ამ გეგმით ზემო უბანს შეესიტყვება ჩრდილო კვარტალი. ანუ ქალა (პუშჩევიჩის განსაზღვრით), ხოლო ქვემო უბანს—სამხრეთი კვარტალი, ანუ თბილისი.

ქვემო და ზემო უბნები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მცხოვრებთა რელიგიური შემადგენლობით. ზემო უბანში თავმოყრილი იყო თბილისელი ქართველობა, ხოლო ქვემო—ქართველებს გარდა სომხებით და ნაწილობრივ თათრებით იყო დასახლებული. ამაზე აშკარად მიუთითებს ამ უბნებში ეკლესიათა განლაგებაც. ზემო უბანში მდებარეობენ ქართული ეკლესიები—სიონი, ანჩისხატი, წმ. გიორგის, ნათლისმცემლის, კვირაცხოველის სახელობისა და მხოლოდ ერთი სომხური—სურბნიშანი, ამ უბნის დასავლეთ ნაწილში. ქვემო უბანში კი, მხოლოდ სომხური ეკლესიებია: ციხისდიდის, ნორაშენის. საკაშენის, მოღნინის. კოზმანისა და დამიანეს სახელობისა. ჯიგრაშენი, სურბ-სტეფანოსი, ფეთხაინი და ორიც—ბერძენთა: წმ. ეკატერინეს სახელობის საყდარი და ჯვარის მამა.

მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ჰქონია მხედველობაში პუშჩევიჩსაც, როცა თბილისის ცენტრს ორ ნაწილად ჰყოფდა. მ-

ში სიტყვით, ჩრდილო კვარტალში ცხოვრობენ ქართველები, ხოლო სამხრეთისაში—სომხები[9].

ქვემო და ზემო უბნები, თავის მხრივ, მრავალ მიკროუბნად იყოფოდა. უბანთა განმსაზღვრელი ან რაიმე საზოგადო ნაგებობა იყო (ეკლესია, გალავანი, ბურჯი), ან მცხოვრებთა სახელები (მაგალითად, ანჩისხატის უბანი, მოლნინის უბანი, ციხის კარის უბანი, ყორღანაანთ უბანი, მელიქიანთ უბანი და ა. შ.).

დოკუმენტური მასალის შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება დაახლოებითი წარმოდგენა ქალაქის ამა თუ იმ რაიონში რა კონკრეტული უბნები იყო და როგორი თანამიმდევრობით იყვნენ ისინი ერთმანეთთან დაკავშირებული.

დავიწყოთ ზემო უბნიდან.

ამ უბანში მთავარი ქუჩა წყლის კარიდან იწყებოდა და ვახუშტისა და პიშჩევიჩის გეგმების თანახმად მტკვრის დინების პარალელურად მიიმართებოდა, ანჩისხატისა და მეფის სასახლის კავლით ბატონის მოედანს უერთდებოდა, და აქედან სიონისაკენ გადიოდა. გეგმებზე აღნიშნული ეს ქუჩა დღევანდელი შავთელისა და ერეკლე II ქუჩების წინაპრად ჩანს. მაგრამ ამ გზას, გეგმის მიხედვით საკვარისად მიხვეულ-მოხვეულს, ერთი სახელი არ ჰქონდა. დასაწყისში მას „წყლისკარის ქუჩა“ ერქვა[10]. ხოლო მისი გაგრძელება სამხრეთისაკენ „ანჩისხატის ქუჩის“[11] სახელითაა ცნობილი.

ამ ქუჩის მთელი სიგრძე (ბატონის მოედნამდე) ქალაქის საუკეთესო ნაგებობებს ეჭირა. ამ ქუჩაზეა ანჩისხატი, მეფის სასახლე, ბატონიშვილებისა და ზოგი დიდი თავადის სასახლეები, აგრეთვე კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა ადგილსამყოფელები. ერთი საბუთის მოწმობით, ანჩისხატის „რიგზედ უწინ თავადებს სასახლე არა ჰქონია, ბატონიშვილებისა ყოფილა“[12]. მაგრამ მას შემდეგ, რაც როსტომ მეფემ (1632—1658) ამ ქუჩაზე გადმოიტანა სამეფო რეზიდენცია, უბანს საცხოვრებლად ეტანება ქართველი არისტოკრატიაც. თუ ადრე აქ მხოლოდ ბატონიშვილები ცხოვრობდნენ, XVIII ს-ის დასაწყისისათვის სურათი უკვე საგრძნობლად შეცვლილია. მეფისა და ბატონიშვილების გარდა აქ ცხოვრობს ბევრი საერო და სასულიერო ფეოდალი. პირველი თავადიშვილი, რომელიც ამ ქუჩაზე და-

---

[9] Septentrional (quartier) appelé Kalla ou quartier Georgien et méridional proprement Teflis et s'appel le quartier des Arméniens.

[10] საქ. ც. ა. ფ. 1450 დავთ. № 12, საბ. № 22.

[11] იქვე, დავთარი № 12, საბუთი № 22.

[12] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. წ. I, შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძნიშვილმა. თბ., 1962. № 206. გვ. 247.

სახლდა. გივი ამილახვარი იყო. იგი აქ დასახლდა იმ სასახლეში, რომელიც მის ცოლს, თამარს, ვახტანგ V ქალს, მზითვად მოჰყვა. ამილახვრის სხვა თავადებიც მოჰყვნენ და მალე ეს ქუჩა და მისი მეზობელი ქუჩები არისტოკრატიულ უბნად იქცა. ამ ქუჩის ერთ-ერთ პერპენდიკულარულ ქუჩაზე (ამჟამად ავლევის, ყოფ. Фоминая, კვირაცხოვლის) სახლსა ყიდულობა იესე ოსეს ძეც, რომელიც ასე ახასიათებს ამ უბანს: „დიად ძნელი უბანი არის. გარშემო დიდნი კაცნი ახვევიან და ყველანი ზეიდან დაჰყურებენო"[13].

რაკი ამ არისტოკრატიული უბნის მთავარ ქუჩაზე სასახლეები და დაწესებულებები იდგა, ამიტომ ამ ქუჩას შეიძლება ქალაქის ცენტრალური ქუჩა ვუწოდოთ.

პირველი მოსახლე ცენტრალურ ქუჩაზე, წყლის კართან, იყო მუხრან-ბატონი. მუხრან-ბატონის სასახლე დატანილია ვახუშტის გეგმაზე (№ 10) ქალაქის გალავნის ძირას, წყლის კარის გვერდზე. ეს სასახლე მოიხსენიება აგრეთვე 1754 წლის ერთ ნასყიდობის წიგნში[14]. ჩვენამდე მოაღწია მრავალმა საბუთმა, რომლებიც კვირკვეენ, რომ კონსტანტინე მუხრან-ბატონი სულ უფრო იფართოებს ადგილ-მამულს და XVIII ს-ის 50 წლებისათვის მისი სასახლე და სასახლესთან დაკავშირებული ნაგებობანი ჩანან აგრეთვე წყლის კარის გარეთაც: მუხრან-ბატონთა სამფლობელოები ჩნდება ქალაქის გალავნის ორივე მხარეს, შიგნითაც და გარეთაც[15]. მუხრან-ბატონებისავე იყო რევოლუციამდე ბარათაშვილის ქუჩაზე გამომავალი შავთელის ქუჩის ორივე კუთხის დიდი კორპუსები.

ცენტრალური ქუჩის მარცხენა მხარეს (ზურგით წყლის კარისაკენ) მდებარეობდა, თამარ ბატონიშვილის ნამზითვი, ამილახვრის ზემოხსენებული სასახლე. ამ სასახლეს ეკავა საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეხლანდელი შავთელის ქუჩიდან მტკვრის პირამდე. სასახლის სამხრეთი კედელი ებჯინებოდა ანჩისხატს. ეს სასახლე ვახუშტის გეგმაზეცაა აღნიშნული (№ 7) ანჩისხატის ჩრდილო კედლის გვერდით.

ანჩისხატის სიახლოვეს, ამაკე ხაზზე ყოფილა ერეკლე II სახაბაზო, რომლის მეზობლად, XVIII საუკუნის დასასრულისათვის, ფოცხვერაშვილები და გერმანოზიშვილები ცხოვრობდნენ[16].

---

[13] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 23. 1950 წ. გვ. 61.

[14] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის. I, № 218, გვ. 264—265.

[15] იქვე, გვ. 258, 269.

[16] 1800 წ. 23 მაისის საბუთი, საქ. ცენტ. ა. ფ. 1459, დავთარი 12, საბუთი № 22.

ვახუშტის გეგმით ანჩისხატის სამხრეთით ამ ქუჩაზეა ბატონიშვილის სასახლე, დედოფლის სასახლე, „კარის ეკლესია და ბატონის მოედანი. პიშჩევიჩის გეგმით კი სივრცე ანჩისხატსა და ბატონის მოედანს შორის შემდეგნაირადაა ასახული: ანჩისხატი. პატარა ეკლესია, სამეფო კარი (მის აღმოსავლეთით მტკვრის პირას გიორგი ბატონიშვილის სასახლე), მეფე ერეკლეს სასახლე, აბანო. ამ გეგმით სამეფო კარის უკიდურესი სამხრეთით წერტილი ბატონის მოედანზე ცამავალი აბანოა. ეს აბანო ქართულ დოკუმენტებში ცნობილია ჩარხის აბანოს სახელწოდებით; იგი მოხსენებულია 1659 წლის ნასყიდობის წიგნში. ამ წელს ქალაქის მოურავმა მანუჩარ მეითრიშვილმა იყიდა სასახლე სომხითის მელიქ ათაბეგისაგან. ამ სასახლეს ასეთი მიჯნები ჰქონია: „სასახლის ერთი პირი მტკვარს უყურებს, ზღვრი ბატონის მეიდნისაკენ აქ. ერთი კვერდი ჩარხის აბანოსაკენ აქ. ერთი კვერდი და კარი ბატონიშვილის ლუარსაბის ალაყაფისაკენ არის“[17]. აქედან ცხადი ხდება, რომ ჩარხის აბანოს კვერდზე, მის სამხრეთით. მეითრიშვილების სასახლე ყოფილა. 1659 წლიდან აქ დასახლებული მეითრიშვილები აქვე მცხოვრებლად ჩანან შემდეგშიაც, მაგალითად, 1708 წელსაც[18] და 1769 წელსაც. ამ დროისათვის მეითრიშვილების სამხრეთით როვიკაშვილი ცხოვრობს. მის სამხრეთით კი მროველის სასახლეა[19]. თავის მხრივ, მროველის სასახლეს სამხრეთით პატარა ქუჩა ჩამოუდის. მტკვრისაკენ მიმავალი[20]. ხოლო ამ გზის ნეორე მხარეს დავით გარეჯის სასახლეა, იმის კვერდზე დოდოს მონასტრის სასახლე, რომელიც უკვე სიონის გალავანს ებჯინება[21].

რაც შეეხება ჩარხის აბანოს, იგი, პლ. იოსელიანის თქმით, მეფის ბაღში იყო, ხოლო შ. მესხიას აზრით ჩარხის აბანო უნდა ყოფილიყო შენობა, როსტომის სასახლის უკან, რომელიც აღმოაჩინა ს. კალანდაძემ 1949—50 წწ. გათხრების დროს და რომელსაც მანამდე ზარაფხანად თვლიდნენ[22]. ეს აბანო გოგირდის წყლის იყო. აბანოს უკან მტკვრის პირას, პიშჩევიჩის გეგმა უჩვენებს სტამბის შენობას. (№ 12).

---

[17] დოკ. თბ. ისტ. № 18.

[18] საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთარი 37. საბუთი № 237.

[19] იქვე, დავთარი 37. საბუთი № 236.

[20] საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთარი 37. № 235.

[21] საქ. ხ. ი. ფ. Arl № 797

[22] შ. მ ე ს ხ ი ა, რამდენიმე შენიშვნა თბილისის სიძველეთა შესახებ. „ბ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 3 VIII. 1957 წ. № 105.

ასე რომ, ცენტრალური ქუჩის მარცხენა მხარეს ყოფილა მუხრან-ბატონის სასახლე, ამილახვრის სასახლე, ანჩისხატი, მეფის სახაბაზო, სამეფო სასახლე, მეეთრის სასახლე, როჭიკაშვილის სახლი, მროველის სასახლე, წყლის გზა, დავით გარეჯელის სასახლე, დოდოს მონასტრის სასახლე და სიონი.

ახლა მივხედოთ ამავე ქუჩის მარჯვენა მხარეს. წყლისკარის შიგნით, მის პირდაპირ, ჩანს შიოშ ზედგინიძის სასახლე, რომლის გვერდზე 1678 წლიდან დაბინავდა ჯვარისმამის წინამძღვარი[23]. ჯვარისმამის სასახლე ამავე ადგილებში რჩება მთელი XVIII საუკუნის მანძილზე. ჯვარისმამის წინამძღვარს თავის ახლო მეზობლად იბსენიებს ალექსანდრე ამილახვარი 1770 წლისათვის[24]. ამილახვართა სასახლის ადგილმდებარეობა კი ჩვენთვის ნაცნობია.

სამწუხაროდ, სრულიად ვერა ხერხდება „ცენტრალური ქუჩის" მარჯვენა მხარეს მდგომ შენობათა გარკვევა ჯვარისმამის სასახლიდან ვიდრე მოედნამდე.

ბატონის მოედანს დასავლეთიდან ებჯინება დექნების რიგი, რომელსაც უკანა მხრიდან საცხოვრებელ ნაგებობათა კვარტალი აკრავს. ამ კვარტალში მეტწილად ცხოვრობს არისტოკრატია, რომელმაც აქ ჩამოსახლება დაიწყო თანდათანობით, სამეფო სახლის მოედანთან გადმოტანის შემდეგ. ამ კვარტალში მცხოვრებლებად ჩანან, მაგალითად, ორბელიანები, რომლებიც აქ სყიდულობენ, გაცვლით თუ ნამზითვით თანდათან იფართოებენ ტერიტორიას. ორბელიანთა აქ ჩამოსახლება იწყება 1704 წლიდან, როცა შაჰყულიხანმა ლუარსაბ ორბელიანს აქ სასახლის ადგილი უწყალობა[25].

ამ კვარტალში მცხოვრებლებად ჩანან ბაბაში[26] და ქაზუმა. 1745 წელს, თეიმურაზ მეორემ ქაზუმასაგან იყიდა მისი სახლ-კარის ნაწილი და თავის ქალს ანას, დიმიტრი ორბელიანის მეუღლეს, მისცა მზითვად. ამ ადგილის ერთ-ერთი მესაზღვრის ყალუაშვილის მიწა 1745 წელს თეიმურაზმა შეიძინა და ესეც თავის ქალს ანას მისცა. ამიერიდან ანა ორბელიანის სახლ-კარის „წინა კედელი მეიდნის

---

[23] დოკ. თბ., ისტ. № 28.

[24] История георгиевская о юноше князе Амилахорове, (.Пб., 1779. 50

[25] დოკ. თბ. ისტ. № 59. ამ საბუთში მოხსენებული მიჯნები სასახლისა ვერ გვირკვევენ სასახლის ადგილმდებარეობას. მაგრამ 1823 წელს, როცა ამ ლუარსაბის ჩამომავალს ლუარსაბ ორბელიანს დავა ჰქონდა ხაზინასთან მეიდნის პირა ადგილების ფლობის თაობაზე, მან ამ ფლობის დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად სწორედ ეს წყალობის წიგნი მოიტანა. (საქ. ხ. ი. ფ. Hd № 13004) შდრ. დოკ. თბ., ისტ. № 246, გვ. 299.

[26] ეს ბაბაში არის ვეზიროვების გვარის წინაპარი

ღუქნებისაკენ... არის... და კარიც იქით აქვს". მეიდნის მხარეს მისი მომიჯნავენი ქაზუმა და ბაბაში არიან, ჩრდილოეთით ყორჩიშვილები ცხოვრობენ. დასავლეთით კი. ე. ი. სახლის უკან, „დახურვილი" ქუჩაა[27].

ანა ორბელიანის სახლის მეზობლად, ალავერდელისა და ჯალალაშვილ მირზა ისმაელის შვილ აღაბაბას ნაქონი სასახლეები მდგარა.

საბუთები გვიჩვენებენ ამ კვარტალში ორბელიანთა თანდათანობით გაფართოებას. ორბელიანები თანდათან ითვისებენ მეზობლების სახლ-კარს და თავისას ზრდიან. რევაზ ორბელიანმა 1766 წელს თავისი სახლ-კარი, თათრის მოედანზე მდგომი, გასცვალა ბატონის მოედნის პირას მცხოვრებ ორბელიანთა მეზობელ ბაბაშის სახლში. ბაბაშის სახლი, საბუთის მიხედვით, „ბატონის მეიდნის თავში იდგა" და 234 კვ ადლს უდრიდა. რ. ორბელიანის თათრის მოედანზე მდგომი სახლი კი 353 ადლს უდრიდა. სახლ-კარის ამ გაცვლით რევაზმა ფართობის 121 ადლი წააკო, სამაგიეროდ უკეთეს რაიონში გადმოვიდა, დაუახლოვდა სამეფო სახლს და დანარჩენ ორბელიანებსაც გაუმეზობლდა[28].

რევაზ ორბელიანის ამ ახლად შეძენილ სახლ-კარის მეზობლად ალავერდელისა და ჯალალაშვილ მირზა ისმეილის შვილ აღაბაბას ნაქონი სასახლეები მდგარა, რომელნიც მალე რევაზ ორბელიანის ოჯახის ფონდში გადადიან. ეს სასახლეები 1773 წელს ერეკლე მეორემ თავის ქალს თამარს და სიძეს დავით ორბელიანს, რევაზ ორბელიანის ვაჟს, უწყალობა. წყალობის წიგნში ხსენებული სასახლე წარმოდგენილია ერთი მხრივ, ანა ორბელიანის და მეორე მხრივ, ქაზუმასა და ბაბაშის მეზობლად. თამარ ორბელიანის ამ ახალ სასახლეს კიდევ სხვა მომიჯნავენიც ემეზობლებოდნენ. ესაა მირზა ისმაილისა და იოვანე მდივანბეგის სახლები[29].

ამრიგად, ორბელიანთა ამ სახლის ხელში დაგროვდა საკმარისად დიდი ფართობი სახლ-კარისა.

მაგრამ XIX ს. დასაწყისისათვის, ეტყობა, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად, ამ ადგილებში არა ყოფილა არავითარი ნაგებობა. 1823 წლის აგვისტოს საბუთი ამ ადგილს пустопорожное домовое место-ს უწოდებს და მის ფართობს 420 7/8 კვ. საჟენად საზღვრავს[30].

---

[27] დოკ. თბ., ისტ. № 168.

[28] დოკ. თბ. ისტ. № 246.

[29] საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთ. № 15, საბ. № 104.

[30] 1766 წ. VII-ის საბუთის რუსული მინაწერი. დოკ. თბ., ისტ. I, გვ. 299.

ამავე კვარტალში უცხოვრია თეკლა ბატონიშვილს, ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანის ცოლს[31]. თეკლა ბატონიშვილის სახლის კარი გამოდიოდა თოფხანის მხარეს შარაზე[32]. თოფხანა კი, პიშჩევიჩის ვეგეთ, მდებარეობდა ბატონის მოედნის ჩრდილო-დასავლეთი კუთხიდან მოედანზე შემომავალ ქუჩაზე. ეს ქუჩა დღევანდელი აკოფიანის (ყოფ. სურბანიშანის) ქუჩის თავს უდრის. ამ ქუჩის მარჯვენა მხარეს (ზურგით მოედნისკენ) თოფხანა იყო, ხოლო მარცხენა მხარეს — თეკლა ბატონიშვილის სახლები. თოფხანის პირდაპირ, ე. ი. თეკლას სახლის გვერდზე იყო აგრეთვე იოსებ თუმანიშვილის ორი დუქანი, რომელნიც ზურგით თვით თუმანიშვილების სასახლეს ებჯინებოდნენ[33]. თუმანიშვილებს კი, თავის მხრივ, ემიჯნებოდნენ ყორჩიშვილები[34]. ყორჩიშვილებს სამხრეთიდან ესაზღვრებოდა ანა ორბელიანის სახლი.

ასე რომ, დაახლოებით შეიკრა ერთი კვარტალი, რომელიც დღევანდელი ერეკლეს მოედნის, აკოფიანისა და ჩალაუბნის ქუჩებს შორის მდებარეობდა. ამ კვარტალს წინ, ე. ი. აღმოსავლეთით, ბატონის მოედანზე გამავალი დუქნების რიგი საზღვრავდა, ჩრდილოეთით თოფხანის ქუჩა, დასავლეთით კი — ყორჩიანთ ქუჩა. დღეს ამ კვარტალის დასავლეთ მხარეს აიენებიანი ორსართულიანი პატარა შენობა დგას. ეს სახლი ორბელიანებისა იყო. გადმოცემით აქ ცხოვრობდა პუბლია ორბელიანი.

იმ მოედანს, დღეს რომ ერეკლეს მოედანი ჰქვია, XIX—XX საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ ეცვალა სახელი: მეფის, ბატონის, გუბერნატორის, ეგზარქოსის, ბებელისა და, ბოლოს, ერეკლეს მოედანი. ზოგჯერ ამ მოედანს ზემო მოედანსაც ეძახდნენ.

---

31 1800 წ. VII-ის წყალობის წიგნი დარეჯანისა. საქ. ხ. ი. ფ. Ad № 1240.

32 საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთარი № 55, საბ. № 76.

33 1785 წ. 15 მაისის საბუთი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთ. 46, საბ. № 180 აგრეთვე 1787 წ. საბ. საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. 45, საბ. № 480.

34 1728 წ. 15 ივლისის საბუთი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთ. 49, № 94.

ბატონის მოედანი, შარდენის თქმით, საკმაოდ ფართო, ოთხკუთხა მოედანი იყო და მასზე 1000-მდე ცხენოსანი გაიმართებოდა. თავისი დროისათვის ფართო მოედანი დღევანდელთან შედარებით ვიწრო იყო. ახლა იგი გაფართოებულია ჩრდ. დასავლეთი მხრიდან. აღებულია თოფხანა და დუქნების რიგი ორბელიანთა კვარტალის წინ. პუპლია ორბელიანის თქმით, ბატონის მოედნის ჩრდილოეთით „მეფის ირაკლის შენობა იყო ზარბაზნების ჩამოსასხმელი, რომელიც ყიზილბაშებმა (იგულისხმება. ალა მაჰმად-ხანის შემოსევა) ჯერ სრულიად დაწვეს და მასუკან დააქციეს. სადაც განიერი ვაკე ადგილი გამოჩნდა, რომელზედაც ამ რუსობის დროსა თავად-აზნაურობა შეიყრებოდა და ყველანი თავთავისად ლაპარაკობდნენ და რ-ლსაც ამ ლაპარაკის გამო დაერქვა ამ ადგილს სალაყბო"[35]. სალაყბო ერქვა ახლანდელი მოედნის ზემო მხარეს. ქვემოს კი ისევ ბატონის მოედანს ეძახდნენ.

ბატონის მოედნის სივიწროვეს დასავლეთი მხრიდან, დღევანდელთან შედარებით ამტკიცებს ისიც, რომ 1956 წელს აქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრებისას ამ ადგილებში ნასახლარები აღმოჩნდა.

შარდენის თქმით, ბატონის მოედანი დუქნებით იყო გარშემორტყმული და ეს მოედანი ებჯინებოდა გრძელ ბაზარს, რომელიც მეფის სასახლის ალაყაფის წინ იწყებოდა[36].

შარდენისეული ეს ალაყაფის კარი სასახლისა, რომელიც მოედანსა და ბაზარს აერთებდა, მდებარეობდა მოედნის სამხრეთ მხარეს, მეჩეთისა და ნალარახანის შენობათა შორის. პლ. იოსელიანის ცნობით, ნალარაბანასა და მეჩეთს შორის «была перекинута арка для ворот, запирающих ночью ход через площадь царскую в базар или улицу сионскую»[37]. ეს ალაყაფის კარი მშვენივრად ჩანს

---

[36] საქ. ხ. ი. ფ. 8 1646 ა გვ. 16.

[35] ციტირებულია ვ. პოლიევქტოვის და გ. ნათაძის წიგნიდან. Старый Тифлис. 1929. გვ. 19.

[37] П. Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, 1866. გვ. 248

XVIII საუკუნის თბილისის ერთ უსახელო ფრანგულ გეგმაზე. ამ გეგმაზე ბატონის მოედნის სამხრეთ მხარეს დახატულია ნახევარწრის ფორმის თაღი (ЦГВИА, ф. ВУА. № 22657).

პუპლია ორბელიანის ცნობითაც, ბატონის მოედნის სამხრეთ ნაწილში მდგარა „მაღალი და განიერი ტრიუმფარის კარები ქვიტკირისა, რომელსაცა უწოდებდნენ ნაღარახანად, რაზედაცა დაუკრამდნენ დილას, საღამოსა დაფდაფებსა და ქოსნაღარასა“[38]. იმავე პუპლიას ცნობით, ნაღარა-ხანის ეს შენობა კარგა ხანს მდგარა. ნაღარახანასთან იდგა ქალაქის ერთ-ერთი მეჩეთი, რომელიც ვახუშტის თქმით, „მეფემან როსტომ აღაშენა... სასახლესა შინა თვისსა“[39].

ნაღარა-ხანითა და კარიბჭით მთავრდებოდა სამეფო სასახლეთა კომპლექსის ის ვრცელი რიგი, ანჩისხატთან რომ იწყებოდა. ამ რიგზე, სამეფო სასახლეთა და სხვადასხვა ნაგებობათა გვერდით, ვრცელი სამეფო ბაღიც იყო. აქვე იყო როსტომ მეფის ცნობილი სასახლე, შარდენისაგან აღწერილი, რომლის ადგილას დღეს მიღლიციის სამმართველოს შენობა დგას. შარდენისეული აღწერილობით, მეფის სასახლე მტკვრის პირას იდგა და ამ სასახლეს დარბაზი მტკვრისაკენ ღია იყო. დასტურლამალის ცნობით, სამეფო სასახლეს ასეთივე ღია დარბაზი ჰქონია მოედნის მხრისკენაც, რაც ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „თუ ბატონშა... მ ე ი დ ნ ი ს ა ი ვ ა ნ შ ი მეჯლისი ბრძანოსო“[40]...

აქვე, მოედანზე მე-17 საუკუნეში მდგარა ლუარსაბ ბატონიშვილის სასახლე, რომელსაც აღმოსავლეთით მტკვრის პირას მდებარე მეითრიშვილების სასახლე ებჯინებოდა[41]. ეს სასახლე დატანილია ვახუშტის გეგმაზეც. მეითრიშვილების სასახლის ჩრდილოეთით, როგორც ითქვა, იდგა გოგირდის წყლით მოქმედი ჩარხის აბანო, აღამაჰმად-ხანისაგან დანგრეული.

მოედნის პირას იდგა აგრეთვე ნათლისმცემლის ეკლესია, 1724 წელს დანგრეული. ეკლესიის აღმოსავლეთით, მტკვრის პირას, ვახტანგ VI სტამბა იყო მოთავსებული. ნათლისმცემლის ეკლესიის სამხრეთ გვერდზე კი (პლატონ იოსელიანის ცნობით) მდებარეობდა დი-

---

[38] საქ. ხ. ი. S—1634 (ფ. 30).

[39] აღწერა... გვ. 53. საერთოდ ობილისში რამდენიმე მეჩეთი იყო ერთი ხიდის აურეში, ერთი აბანოებთან, ერთი განჯის კართან და ერთიც ბატონის მოედანზე.

[40] დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამოც, გვ. 81.

[41] დოკ. თბ., ისტ. № 18.

ვალანა. დიევანხანისა და ნათლისმცემლის ეკლესიის ადგილას დღეს ფიგას ყოფილი სინოდალური კანტორის შენობა[42].

მოედნის დასავლეთი მხარე დუქანთა რიგს ეკირა. ხოლო მოედნის სამხრეთით, ვიწრო კვარტალებს შორის, რამდენიმე გზა იწყებოდა, რომელიც ბატონის მოედანს თათრის მოედანთან აერთებდა. ეს იყო შარდენისეული გრძელი ბაზარი, რომელსაც ქართული საბუთები რასტაბაზარს უწოდებენ. რასტაბაზარი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ერთ მწკრივზე განლაგებულ სავაჭროთა რიგს. 1800 წლის ფიგამ ამ გზას Большой базар-ს უწოდებს. (№ 62).

საბუთთა მონაცემებით ხერხდება რასტაბაზრის დაახლოებითი ლოკალიზაცია. რასტაბაზარი საბუთებში გვხვდება XVII საუკუნიდან. საბუთებით რასტაბაზრის დუქნების ჩრდილოეთით მეჩეთის კედელი იმყოფება[43] (აქ იგულისხმება როსტომისაგან მოედანზე აშენებული მეჩეთი). სხვა საბუთებით კი მეჩეთის ეს კედელი ესაზღვრება სარაჯხანის დუქანს: „სარაჯხანის დუქნის უკან ბატონის მეიდნის ბეჩითია“[44]. აქედან უნდა დავასკვნათ, რომ რასტაბაზარი სარაჯხანასაც შეიცავდა. მართლაც, 1719 წელს რასტაბაზარში ნაყიდ დუქანს გვიანდელი მინაწერი „სარაჯხანის დუქანს“ უწოდებს[45]. სხვა საბუთებით კი უფრო ნიშანდობლივ სერხდება რასტაბაზრის ლოკალიზება თეიმურაზ II თავის კარის ოქრომჭედელს გიორგის უწყალობა დუქანი „რასტაბაზრის თავს... გიბოძეთ მეიდნის პირთან შესავალზედ რასტაბაზრის თავს ერთი თაღბანდი დუქანი, უკან მეიდნის პირისაკენ ერთი საჩვენო დუქანი აკრავს... რომ ამ საჩვენო დუქანს პირი მეიდნისაკენ აქვს, ამ დუქნის ნახევარიც ოთახათ მოგიჭერით და შენს დუქანს ოთახათ მივეცით. ნახევარი დუქანი შენს დუქანს ოთახათ უნდა გაუკეთო და კარი მეიდნის თაღიანი დუქნისაკენ გაიღო და ნახევარი დუქანი რომ დარჩების, მეიდნისაკენ პირი უნდა ქონდეს და საჩვენო დუქნათ იყოს იმ რიგის დუქნებთან“[46]. ოქრომჭედლის ეს დუქანი იწყებს რასტაბაზრის რიგს, იგი „რასტაბაზრის თავს“ მდებარეობს. ამასთან მისი მემიჯნავე დუქანი პირით მეიდნისაკენ იცქირება. ამიტომ ცხადია, რასტაბაზრად უნდა ჩაითვალოს ის ხაზი, რომელიც ბატონის მეიდანზე გამავალი დუქნისა და ოქრომჭედლის დუქ-

---

[42] შენობამ დღევანდელი სახე მიიღო 1848 წელს, არქიტექტორ რიპარდის პროექტით გადაკეთების შემდეგ. მანამდე იქ საგუბერნიო მმართველობა იყო მოთავსებული.

[43] 1781 წ. 22 თელისის საბუთი. საქ. ცენ. ფ. 1450. დავთ. № 4, № 89

[44] 1779 წ. VII-ის საბუთი. საქ. ხელ. ინ. ფ. Qd 842.

[45] დოკ. თბ. ისტ. № 98.

[46] იქვე. № 234, გვ. 280.

ნის კუთხიდან იწყება. ამ საბუთზე გიორგი ოქრომჭედლის ჩამოპა-ვალს მთავარ დიაკონ ნიკოლოზ ოქროომჭედლოვს მე-19 საუკუნეშ-მიუწერია: „ეს დუქანი სახელოსნო სასწავლებლის მარჯვნივ კუნჭუ-ლის პირდაპირ იყო. დედაჩემს უჩვენებია ჩემთვისო"[47]. სახელოს-ნო სასწავლებელი კი ბატონის მოედნის სამხ. აღმ. კუთხეში აშენ-და XIX ს-ში სინოდალური კანტორის სამხრეთ გვერდზე. ოქრო-მჭედლის დუქანი სასწავლებლის პირდაპირ, ე. ი. მის დასავლეთით მდებარეობდა. ე. ი. რასტაბაზრის რიგიც ამ შენობიდან იწყებოდა და დღევანდელი სიონის ქუჩის მოედნის პირა ფონაკვეთს უდრიდა[48].

რასტაბაზრის ერთ მხარეს (აღმ. მხარეს) სარაჯხანა იყო, ხოლო მეორე მხარეს (დას).—ხარაზხანა. ხარაზხანა თბილისში ორი იყო. ერთი მცირე ან პატარა ხარაზხანა. მეორე დიდი. პატარა ხარაზხანა სიონის ქვემოთ. მის სამხრეთით მდებარეობდა, ხოლო დიდი ხარაზ-ხანა ბატონის მოედანზე სამხრეთიდან გამოდიოდა. ხარაზხანის ბა-ტონის მოედანთან არსებობას, საბუთთა გარდა. კალმასობაც მიუთი-თებს: „მივიდნენ პირველად და იწყეს მეიდნიდამ წასვლა, შევიდნენ სარაზხანის ბაზარში. იხილეს მუნ ოქროსმჭედლები"[49]. ხარაზხანის რიგში ოქრომჭედლების დუქნების არსებობას. ზემოხსენებული გი-ორგი ოქრომჭედლის დუქნის გარდა. სხვა საბუთებიც ამტკიცებენ. საბუთებში მოიხსენება „ოქრომჭედლის დუქანი" ხარაზხანაში.

ხარაზხანა და სარაჯხანა ბატონის მოედნიდან იწყებოდა. ორივე ეს რიგი ერთად შეადგენდა რასტაბაზარს. ანუ გრძელს ერთ ხაზზე გაჭიმულ რიგს დუქნებისას. რასტაბაზრის ბოლოს გზაჯვარედინი იყო. რომელსაც ქვნიდა ბაზაზხანისა და ჭონჭანის გადაკვეთა ხარაზ-ხანაზე. ამ გზაჯვარედინს ერქვა ჩორსუ. რაც სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ოთხ კუთხეს. როგორც სახელი. ისე შინაარსი ამ ცნებისა ჩვენში ირანიდანაა შემოტანილი. სპარსეთში გზაჯვარედინებზე გა-მართულ ბაზარს თავზე გუმბათი ედგა და ჩორსუ ერქვა. ჩვენშიაც ჩორსუ გადახურული ყოფილა, რაც გარკვევით ჩანს სიმეონ ერევან-ცის „ჯამბრიდან". სადაც ჩორსუს დუქანი თაღქვეშ მდებარედ არ-ის სახელდებული[50].

თბილისურ ჩორსუშიაც საბუთები გარკვევით მიუთითებენ ერ-თიმეორის გვერდით მრავალი სხვადასხვა სახის დუქანთა არსებობას.

---

[47] იქვე, გვ. 221.

[48] რასტაბაზრის ლოკალიზაციის შესახებ უფრო ვრცლად იხ. მ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. რასტაბაზარი და ჩორსუ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბ., 1960, გვ. 177—181.

[49] იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1895 წ. გვ. 394—395.

[50] Симеон Ереванци. Джамбр, Москва, 1958 гг. 280.

ჩორსუ თბილისურ საბუთებში ჩანს უკვე 1654 წლიდან. ამ წელს აშ-ხარბეგ ბებუთაშვილმა ეჩმიაძინს შესწირა ჩორსუში მდებარე სამ-ქულბაქი[31]. ამ დროიდან ჩორსუ სისტემატურად გვხვდება დოკუ-მენტებში. უკანასკნელად ჩორსუ იხსენიება 1813 წლის საბუთში[32]. ქართული დოკუმენტური მასალით თბილისში ორი ჩორსუ იყო — დი-დი და მცირე. ორივე ეს ჩორსუ გრაფიკულად დატანილია თბილისის თითქმის ყველა ძველ გეგმაზე. მისი სახელწოდება კი არც ერთ ექს-პლიკაციაში არ არის აღნიშნული. 1800 წლის გეგმაზე ძალიან მკა-ფიოდ ჩანს ორივე ჩორსუ, გამოხატული წრის ფორმით.

დიდი ჩორსუ, რომელიც, როგორც ითქვა, რასტაბაზრისა და ჭონ-ხანის გადაკვეთის ადგილზე იყო, ხშირად საბუთებში მოიხსენება როგორც „ჭონხანის თავს მდებარე ჩორსუი"[33]. ანდა „ჭონხანის ჩორ-სუი"[34]. ჩორსუ ლოკალიზებულია აგრეთვე შემდეგნაირად: „რასტა-ბაზრის პირში ჩორსუ"[35]. ჩორსუ იმით განსხვავდებოდა დუქანთა სხვა რიგებისაგან, რომ აქ, ერთიმეორის გვერდით, სრულიად სხვა-დასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსნები იყვნენ მოკალათებული.

ჩორსუს ჩიდილო მკლავზე ხარაზხანა, ანუ რასტაბაზარი იყო. ხარაზხანა სამხრეთითაც გრძელდებოდა, და ამ მხრივ ხარაზხანა ნორაშნის ეკლესიას ებჯინებოდა[36]. დასავლეთ მკლავზე ყაზაზები ის-ადნენ (პიშჩევიჩის გეგმით № 27), აღმ. მკლავზე იყო ჭონხანა. იოანე ბატონიშვილსაც სავაჭროთა ეს რიგები ერთი მეორის მეზობლად აქვს დასახელებული: „იწყეს მეიდნიდან წასვლა, შევიდნენ ხარაზ-ხანის ბაზარში... რა ჩაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, ...მერე იხი-ლეს ყაზაზები, ...რა გაიარა იხილა ყაჯარდუზები... მერე მივიდა მე-ქუდეებში"[37].

საერთოდ იოანე ბატონიშვილის ბაზრის აღწერილობა, კერძოდ ამ ბაზარში სხვადასხვა რიგთა განლაგების თანმიმდევრობა, ყოველ-თვის ემთხვევა როგორც გეგმებს, ასევე განსაკუთრებით საბუთებში დაცულ რეალიებსაც. ამ შემთხვევაშიც ყაზაზებში ყაჯარდუზის დუქ-ნების მოხსენება სავსებით შეეფერება სინამდვილეს. მაგალითად, ერ-

---

[31] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. № 21. №47.

[32] იქვე, დავთარი 44. № 138.

[33] 1803 წ. მარტის საბუთი. საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. 54. № 12.

[34] დოკ. თბ. ისტ. № 120.

[35] იქვე, № 180 ჩორსუს შესახებ, იხ. ჩვენი წერილი „ძველი თბილისის ტო-პონიმიკიდან" მასალები საქ. და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 177—181.

[36] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთ. № 59, № 139, (1814 წ. X-ის საბუთი).

[37] ალმასობა, გვ. 394.

თი ნასყიდობის წიგნის მიხედვით იყიდება „ყაჯარდუზის დუქანი ყაზაზანაში“[88].

ამიტომ იოანე ბატონიშვილის აღწერილი იოანე ხელაშვილისა და სერაფიმ ბერის მარშრუტი ქალაქის ბაზრებში ადვილად გვირკვევს სავაჭროთა უბნებისა და რიგების განლაგებას ბატონის და თათრის მოედნებს შორის. საერთოდ კი კალმასობის ჩვენთვის საინტერესო ადგილის გულდასმით გადაკითხვა გვირკვევს, რომ იოანემ და სერაფიმე ბერმა ბაზრის დათვალიერება დაიწყეს ბატონის მოედნიდან, როგორც ითქვა მის სამხრეთიდან, აქედან სხვადასხვა დარგის ხელოსანთა რიგის გავლით მივიდნენ თათრის მოედანზე, იქიდან კი. უკვე სხვა რიგებზე გამოვლით დაბრუნდნენ ისევ ბატონის მოედანზე დასავლეთის მხრიდან.

მივყვეთ იოანე ხელაშვილის მარშრუტს.

რასტაბაზრისა და ჩორსუს გავლის შემდეგ იოანე ჭონხანის გავლით ბაზაზებში მივიდა.

სად იყო თბილისში ბაზაზხანა? როგორც XVIII ს. საბუთები გვირკვევენ, თბილისში ამ დროს ორი ბაზაზხანა იყო, ქვემო და ზემო. ასე რომ დასადგენი გვაქვს, სახელდობრ რომელი ბაზაზხანა გაიარეს „კალმასობის“ პერსონაჟებმა. ქვემო ბაზაზხანა თათრის მოედანთან იყო, ზარაფხანის კედლებამდე (დღეს დაახლოებით აქ გადის ქუჩა „ბამბის რიგის“ სახელწოდებით). ზემო ბაზაზხანა კი ბატონის მოედნის სამხრეთ-დასავლეთით იყო, ჩორსუს დასავლეთ მკლავზე. XIX ს-ში გაიხსნა ახალი ბაზაზხანა, ეს ახალი ბაზაზხანა მდებარეობდა იმ ქუჩაზე, დღეს რომ ბნელი რიგის სახელითაა ცნობილი (ამ ქუჩას ბოლო ხანებში შარდენის ქუჩა ეწოდა.) ახალი ბაზაზხანა გადახურული იყო და სწორედ ამიტომ შეერქვა ქუჩასაც „ბნელი ქუჩა“. ახალმა ბაზაზხანამ გადახურული სახით იარსება მე-20 საუკუნის დასაწყისამდე, 1918 წლისათვის, როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავდა: „დახურული ბაზაზხანა... ეხლა ლომფინ აყრილია, აღარ არის დახურული“[89]. ძველად კი. XVIII ს-ში. ამ დახურული ბაზაზხანის ადგილას მექვაბეები ისხდნენ. ამაზე გარკვევით მიუთითებს არა ერთი საბუთი, XIX—ს-ის დასაწყისში შედგენილი. „ახალი ბაზაზხანა ძველად მექვაბეების რიგი იყოვო“[90]. პიშჩევიჩის გეგმითაც მექვაბეების რიგი დღევანდელი ბნელი ქუჩის ადგილასაა ნაგულისხმევი (ბატონის ქარვასლის შემცველ კვარტალის სამხრეთით).

---

[88] 1806. 16. მაისის საბუთი. საქ. ც. ა. ფ. 226 № 9715.

[89] ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი. საათნოვა, 1918 წ. გვ. 82.

[90] მაგ., 1816 წლის 1. VI-ის საბუთი, საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. №55 № 147.

იოანე ბატონიშვილმა კი გაიარა ქვემო ბაზაზხანა, რომელიც ახალი ბაზაზხანის პარალელურად მიედინებოდა დაახლოებით დღევანდელი ბამბის ქუჩის ადგილას, თათრის მოედნისაკენ.

ბაზაზხანის შემდეგ იოანეს გაუვლია ბაულების, მეთევზეების, ფასპეებისა და ალაფების დუქნები. სურსათ-სანოვაგით მოვაჭრეთა ეს დუქნები კი გარს ეხვია თათრის მოედანს, რომელიც ძირითადად სურსათის ბაზრად ითვლებოდა. ამ დუქნების მოვლის შემდეგ იოანე და მისი თანამგზავრი მეჯურჭლეებისა და ნალბანდების რიგებს აივლიან და სირაჯხანას შეუდგებიან.

სირაჯხანა მე-18 საუკუნის თბილისში, ისევე როგორც ბოლო დოომდე, ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე, ორი იყო: ერთი ავლაბრის ყელთან, მეტეხის ხიდიდან კახეთის მოედნისაკენ მიმავალ აღმართზე, ამ სირაჯ-ხანას ადრეც და შემდეგ ხანებშიაც დიდი სირაჯხანა ერქვა. ამ ქუჩის დღევანდელი სახელწოდება Винный ряд და აქვე Винный под'ем და აქედან ხელოვნურად ქართულად ნათარგმნი ღვინის რიგი და ღვინის აღმართი ამ ადგილებში სირაჯხანის არსებობაზე მეტყველებს.

პატარა სირაჯხანა ერქვა თათრის მოედნისაკენ სიონიდან მიმავალი გზის ერთ-ერთ განშტოებას. სიონის მხრიდან თათრის მოედნისაკენ სამი გზა მიდიოდა. 1. ძველი ბაზაზხანა, ეხლანდელი ბამბის რიგი, რომელიც სიონის ქუჩას მეტეხის ხიდის ყურეესთან აერთებდა. მეორე მექვაბეების რიგი, შემდეგში დახურული ბაზაზხანა, ეხლანდელი ქუჩა და მესამე, ამ ბნელი ქუჩის დასავლეთით ამავალი პატარა აღმართი, რომელიც სიონის ქუჩას დღევანდელ გორგასლის ქუჩასთან აკავშირებდა (ამ აღმართთა ადგილას დღეს სკვერია), სწორედ ეს პატარა აღმართი იყო ე. წ. პატარა სირაჯხანა.

ამ პატარა სირაჯხანის გავლით იოანეს მექვაბეების რიგში (ბნელ რიგში) შეუვლია და სხვადასხვა წვრილი დუქნების გავლით ისევ ხარაზხანაში შემოსულა. შემდეგ იოანეს და მის თანამგზავრს დასავლეთით აუბვევიათ და სამღებროთა რიგის ანუ ლილახანასთვის მიუღწევიათ. სამღებროთა რიგი ერქვა იმ ქუჩას, რომელიც დღეს ლესელიძის ქუჩიდან ბატონის მოედანზე შემოდის ამ მოედნის სამხ. დასავ. კუთხიდან (ეხლა ჩალაუბნისა ჰქვია). აქედან „მივიდნენ ისევ მოედანზედ, იხილეს მუნ მეჩახმახეები, მეთოფეები და ხმლის მკეთებელნი“[61]. ნათქვამია კალმასობაში. სწორედ ეს დუქნები იყო, ბატონის მოედანს რომ ერტყა დასავლეთი მხრიდან, ერეკლე II 1796 წლის ერთ ოქმში ნათქვამია: „ჩვენი სასახლის მეიდანზედ რომ დუქ-

---

[61] კალმასობა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1895 წ. გვ. 397.

ნები იყო, რომელიც ხელოსნები მსხდარიყვნენ – ბაშმაღჩები, ჭეკელები, ჩილინგდრები, მეთოფეები და მეჩახმახეები—ესენი იქაე უნდ: დასხდნენ, თავთავისი დუქანი გააკეთონ“[63]. პიშჩევიჩის გეგმითაც ბატონის მოედნის დასავლეთ მხარეს იარაღის მკეთებელთა (**boutiques d'armuriers** და ზეინკალთა, ჩილინგდართა (**serruriers**) დუქან-სახელოსნოები მდებარეობდა.

დუქანთა ამ წყების უკან, როგორც ითქვა, იდგა ორბელიანთ: კვარტალი, რომელიც ჩრდილოეთიდან თოფხანის ქუჩით იყო შემო: საზღვრული.

იოანესაგან მოვლილი მთელი ტერიტორია, თათრისა და ბატონის მოედნებს შორის, წარმოადგენდა სავაჭრო-სახელოსნოებით ფარულ წვრილ-წვრილ კვარტალებს. იოანე ბატონიშვილს ჩამოთვლილი აქვს ამ სახელოსნოთა თითქმის ყოველი ცალკე რიგი, რომელიც ქალაქის ამ ორ მოედანს შორის არსებობდა. იოანე ბატონიშვილის ამ აღწერას აკლია აღწერა სიონის ქუჩის იმ მონაკვეთისა, რომელიც სიონის ტაძრის სამხრეთით, თვით ტაძარსა და ბაზრამდე იყო.

ამ ქუჩაზე, სახელდობრ მის მარცხენა მხარეს (პირით თათრის მოედნისაკენ), მდებარე დუქნების რიგს საბუთები ურდვარხანის უწოდებენ. ურდვარხანა და ურდვარხანის ბაზარი ჩვენს ხელთ არსებულ საბუთებში 1732 წლიდან[64] იხსენიება, ვიდრე 1814 წლამდე[65]. ყველა ის საბუთი, რომლებშიაც კი ურდვარხანა იხსენიება, ერთხმად აღნიშნავს, რომ ურდვარხანის დუქნების უკან სიონის კედელია და წინ ბატონის ქარვასლა. ურდვარხანის დუქანთა წყებაშია აგრეთვე ე. წ. სიონის დიდი დუქანი ანუ თბილელის ქარვასლა[66].

1732 წლის ნასყიდობის წიგნით ურდვარხანაში გაყიდული დუქნის მიჯნები ასეა აღნიშნული: „ერთი გვერდი მამისაგან პეტრე. დუქანი, მეორე გვერდი სიონის დიდი დუქანი და მესამე გვერდი უკან სიონის კედელი და მეოთხეგვერდი წინ ბაზარი და გზა“[67]. საბუთის გვიანდელი მინაწერი იძლევა ამ დუქნის შემდეგ ლოკალიზაციას: „ეს დუქანი ბატონის ქარვასლის პირდაპირი არისო“.—1794 წლის ერთი საბუთითაც ურდვარხანის დუქანის უკან ბატონის ქარვასლაა“.

---

[63] საქ. ცენტ. ა. ფ. 226, № 9711.

[64] დოკ. თბ. ისტ. № 132.

[65] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთარი 54, № 139.

[66] დოკ. თბ. ისტ. № 132, 219 და აგრეთვე 1774 წ. ივლისის საბუთი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. № 19, № 50.

[67] დოკ. თბ. ისტ. № 132.

[67] საქ. ხ. ი. ფ. Hd № 13758.

ამრიგად, ურდვარხანის ადგილმდებარეობის გამოსარკვევად ჩვენს გვაქვს ორი ზუსტი ორიენტირი — სიონის გალავანი და ბატონის ქარვასლა. ორივე ამ ობიექტის ადგილმდებარეობა ჩვენთვის ცნობილია. მეფის ქარვასლა მდებარეობდა სიონის ქუჩისა და ლესელიძის ქუჩებს შორის. დღეს აქ სასაწყობო დაწესებულებაა. ამიტომ ურდვარხანის ადგილმდებარეობაც ჩვენთვის ნათელია — ურდვარხანა ყოფილა სიონის სამხრეთით, სიონის ქუჩაზე.

სამწუხაროდ, ვერ ხერხდება სიტყვა ურდვარხანის მნიშვნელობის დადგენა. დასტურლამალში იხსენიება ურდვარის ფარჩა (გვ. 20). თუ ურდვარხანის მნიშვნელობას ამ ურდვარის ფარჩას დავუკავშირებთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ურდვარხანა იგივე ბაზაზხანა იყო; ამ მოსაზრების გასამაგრებლად ორი მომენტი გამოგვადგება: ერთი — რომ ამ ქუჩის სამხ. აღმ-ის მხარეს (დღევანდელი ბამბის რიგი) ქვემო ბაზაზხანა ერქვა და მეორე, იოანე ხელაშვილი, ჭონსალიან გამოსული, ამ ქვემო ბაზაზხანაში ხვდება, ამიტომ მას სიონის ქუჩაზეც უნდა გაევლო ქარვასლის პირას. და რაკი იოანე ბატონიშვილი ხელაშვილისაგან გავლილ მთელ ამ გზას ბაზაზხანას უწოდებს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საკუთრივ ბაზაზხანაში იგულისხმებოდა ურდვარხანაც.

რაც შეეხება მეფის ქარვასლას, იგი არაერთგზის მოიხსენიება ქართულ საბუთებში „ბატონის ქარვასლის“ (1768 წ. საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთ. 22, № 89) ან „ნეფის ქარვასლის“ (1672 წ. ხ. ი. ფ. Sd 734), „ხელმწიფის ქარვასლის“ (1794. IX. ხ. ი. ფ. Hd 13092) სახელით. მეფის ქარვასლა ჩვენს საბუთებში იხსენიება 1672 წლიდან. ეს ქარვასლა ანუ ფუნდუკი დატანილია ვახუშტის გეგმაზე № 14-ად[89] აქ იგი მოთავსებულია სიონის ტაძრის სამხ. დასავლეთით. ასეთივე მდებარეობა აქვს ქარვასლას პიშჩევიჩის გეგმაზე (№ 31) და 1830 წლის გეგმაზეც (№ 65).

ქართული საბუთებიც მეფის ქარვასლის სწორედ ასეთ ადგილმდებარეობას უჩვენებენ (მაგ., „დუქანი... ბატონის ქარვასლის პირდაპირ, უკან სიონისაკენ გალავანიო“[90]). მეფის ქარვასლის ადგილას XIX-19 საუკუნის ნახევარში იხსენიება თეკლე ბატონიშვილის ქარვასლა[91]. ამ ადგილას დღესაც დგას ქარვასლისებური შენობა, რომლის ეზო სხვადასხვა საწყობებადაა გამოყენებული. ადრე აქ სარეწაო

---

[89] ამ გეგმის პოლეევქტოვის გამოცემის ექსპლიკაციაში ფუნდუკი შეცდომით სოლარგმნილია **конюшня**-დ.

[90] 1768 წ. 14. VIII-ა სამ. საქ. ცენტ. ა. ფ. 1450 დავთ. № 22, № 89.

[91] **Кавказский календарь** 1850 წლისა. დართული რუკა.

საბჭო იყო მოთავსებული. შენობა გადის ერთი მხრივ სიონის ქუჩაზე და მეორე მხრივ ლესელიძის ქუჩაზე.

მეფის ქარვასლის ახლო იყო მელიეისა და ტფილელის ქარვასლები. ორივე ეს ქარვასლა დატანილია ვახუშტის გეგმაზე (№ 12 და 13, პიშჩევიჩის გეგმაზე (№ 31) და 1800 წლის გეგმაზე (№ 63, 64). ტფილელის ქარვასლა სიონის ქუჩის ბოლოსაა, იგი აუგია როსტომ მეფეს 1650 წელს და შემდეგ თბილელისთვის უბოძებია. სიონისავე მხარეს, ამ ქარვასლის ნანგრევებში, შემდეგ არწრუნის ქარვასლა აშენდა[71]. თბილელის ქარვასლას დოკუმენტები ხშირად ტფილელის დუქანს. ან სიონის დუქანს უწოდებენ (საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. 22, № 89).

ამ ქარვასლის ჩრდილოეთით, მეფის ქარვასლის პირდაპირ, სიონისავე ქუჩაზე იყო აგრეთვე მელიქის ქარვასლა. 1778 წლის ერთი საბუთის ჩვენებით, ქარვასლათა ეს ქუჩა მექვაბეთა რიგს უერთდებოდა[72]. მართლაც, ჩვენ ვიცით, როგორც ეს ზევით ითქვა, მექვაბეთა რიგი, შემდეგში დახურული ბაზაზხანა, იწყებოდა დღევანდელი ბნელი ქუჩის ჩრდილოეთიდან, სიონის ქუჩისა და ბნელი ქუჩის შესაყარიდან.

ვახუშტის გეგმაზე კალას ტერიტორიაზე დატანილია მხოლოდ ეს სამი ქარვასლა. მაგრამ მე-18 საუკუნეში აქვე არსებობდა სხვა ქარვასლებიც, თუმცა ნაკლები მნიშვნელობისა და ზომისა. ასეთია, მაგალითად, მუნთოანთ ქარვასლა[73], ფირყულიანთ ქარვასლა, რომელიც 1769 წელს ბებუთაშვილებმა იყიდეს[74], აგრეთვე ოქოანთ ქარვასლა, ზემო უბნის ბურჯთან[75]. ოქოანთ ქარვასლისა და საერთოდ ამ გვარის მფლობელობის გადმონაშთია ამ ქარვასლის ადგილას გაჭავალი ყოფილი ოქოევის, დღეს მამაცაშვილის ქუჩა.

ყველა ამ ქუჩას, სადაც კი ქარვასლა თუ დუქანი იდგა, საბუთები ბაზარს უწოდებენ. მაშინდელი თბილისელისათვის ქალაქის ყოველ კვარტალს, სადაც კი დუქნების რიგი იყო, ბაზარი ერქვა. ამიტომაცაა რომ საბუთები ბაზარს უწოდებენ როგორც მეფისა და თათრის მოედნებს, აგრეთვე ამ მოედნებს შორის მდებარე მთელ ტერიტორიას და კიდევ სავაჭროთა შემცველ თითოეულ უბანს სხვაგანაც. ბაზარს უწოდებენ დილმის კართან მდებარე დუქნის წინა შა-

---

[71] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, 1952 წ. გვ. 131—132; Бадриашвили, Тбилиси., 1957 г. გვ. 176—177.

[72] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთარი, № 7, საბუთი № 1.

[73] 1800 წ. მაისის საბუთი. საქ. ცენტ. ა. ფ. 226. № 5728.

[74] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთ. 22, № 114.

[75] დოკ. თბ., ისტ. № 146.

ოას[76], მიჯნების გადმოცემისას ხშირად ნათქვამია: „მოგყიდე დუქანი... წინაც, ზეითაც, ქვეითაც გრძლად ბაზარიო“[77].

ბაზარს ეძახდნენ აგრეთვე კოჯრის კარიდან გამომავალ ქუჩას. ეს ქუჩა, როგორც ითქვა, ქალაქის ცენტრალური ნაწილის, კალას, ორად გამყოფი იყო ზემო და ქვემო უბნებად. რაკი ეს ქუჩა თვითონ ქვემო და ზემო უბნების მიჯნად ითვლებოდა, ამიტომ მას შუა ბაზარსაც ეძახდნენ. ქუჩის ამ ძველმა სახელწოდებამ შემდეგ შერქმეულ სომხის ბაზართან ერთად ბოლო დრომდე იარსება. შუა ბაზარი ერქვა დღევანდელი ლესელიძის ქუჩის იმ მონაკვეთს[78], რომელიც ლენინის მოედნიდან ქვევით ანუ აღმ-ით მიდის და სიონის ქუჩას უერთდება. ამ გზას 1800 წლის გეგმის ექსპლიკაციები „Верхний базар“-ს უწოდებენ.

კოჯრის კარიდან ქალაქში შემოსული ეს ქუჩა ყველაზე ფართო ჩანს ქალაქში. ეს ერთადერთი ქუჩაა, რომლის შესახებაც საბუთები ამბობენ „დიდი ქუჩა“, „ფართე ქუჩა“, „საურმე შარა გზა“-ო. ამასთან ეს ქუჩა, როგორც ჩანს, ფართო იყო მის ქალაქ გარეთა გაგრძელებაშიც. „ტფილისის ქალაქის საკოჯრო გალავნის დიდი კარის გარეთ და შინათ საურმე შარა გზა“-ო. –ნათქვამია ერთ საბუთში[79]. ამ ქუჩას უწოდებენ აგრეთვე „კოჯრის კარიდამ ჩამოსულ დიდ ქუჩას“[80].

ეს ქუჩა ჩანს ვახუშტის გეგმაზეც. აქ იგი კოჯრის კარიდან მოემართება აღმოსავლეთით, შემდეგ უხვევს სამხრეთით და შედის ბატონის მოედანზე მოედნის ჩრდ. დასავლეთიდან. პიშჩევიჩის გეგმით კი კოჯრის კარის ქუჩა, აღმოსავლეთით წამოსული, შემდეგ სამად ტოტდება: ერთი ტოტი ბატონის მოედანზე შემოდის ჩრდ. დას-დან (თოფხანის მხრიდან), მეორე— მოედანზე მოედნის სამხ. დასავლეთიდან. ხოლო მესამე განშტოება ამ ქუჩისა სიონის ქუჩას უერთდება ბატონის ქარვასლის მიდამოებში. კოჯრის კარის ქუჩის სწორედ ეს მესამე განშტოება იყო შუაბაზრის ქუჩასთან ერთად ქალაქის ზემო და ქვემო უბნების მიჯნა (ამ ქუჩის სამხრეთ-ით მდებარე ობიექტები, მაგალითად, ნორაშენი გარკვევით ქვემო უბანშია).

ჩვენ მიერ აქამდე განხილული ობიექტები ზემო უბნის აღმ. ნაწილში მდებარეობენ.

ახლა მივხედოთ ზემო უბნის დასავლეთ ნაწილს.

---

[76] 1782 წ. მაისის საბუთი. საქ. ხ. ი. ფ. Hd 1734.

[77] დოკ. თბ., ისტ. № 47.

[78] ე. ბერიძე, XVIII საუკ. თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით. „ნალები... I. 1947. გვ. 140.

[79] 1806 წ. 26 ივნისის საბუთი საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. 40, № 127,

[80] 1777 წ. საბუთი. საქ. ხ. ი. ფ. Ad № 1920.

ზემო უბნის ამ ნაწილში ერთ-ერთი მთავარი ქუჩა იყო ოქრომჭედლების ბაზარი, ანუ რიგი. ეს ქუჩა იწყებოდა დიღმის კართან და ვახუშტის გეგმით მიემართებოდა სამხ.-აღმოსავლეთით მეფის მოედნისაკენ. მაგრამ ვახუშტის გეგმაზე მოთავსებულია ქუჩათა ისეთი განშტოებანი, რომლებიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მოემართებიან. ხოლო ისეთი ქუჩები, რომლებიც ქალაქს კვეთენ ჩრდილოეთიდან სამხრეთით, მტკვრის დინების პარალელურად, გეგმაზე დატანილი არ არის (გარდა ბატონის მოედანსა და წყლის კარს შორის გამავალ ქუჩისა). ერთ-ერთი ასეთი ჩრდილოეთიდან სამხრეთით მიმავალი ქუჩაა ოქრომჭედელთა რიგიც.

ოქრომჭედელთა ქუჩაზე მოთავსებული იყო ოქრომჭედელთა ბაზარი და ეს განსაკუთრებით ქუჩის იმ მონაკვეთში, რომელიც უფრო ახლოსაა დღევანდელ ლესელიძის ქუჩასთან. ამ ქუჩაზე ოქრომჭედლები და ზარაფები ცხოვრობდნენ ძირითადში[81].

ძველ ოქრომჭედელთა რიგის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთს დღეს ვერცხლის ქუჩა ჰქვია. ამ ქუჩაზე იყო სურბნიშანი. აქვე ცხოვრობდა სხვათა შორის ერეკლეს დროინდელი ცნობილი მოხელე მირზა ენაკოლოფაშვილი.

ოქრომჭედელთა ქუჩის თითქმის ყოველ სახლს დუქანი ჰქონდა, ამიტომაც მთელ ამ მხარეს ბაზარს უწოდებდნენ.

ქუჩის თავში, დიღმის კართან, მოთავსებული იყო ბერძენი ბანიათას და ხადაკოანთ კაკალას სანახევრო ფურნე. ხადაკოანი საერთოდ დიღმის კარის შიგნით და გარეთაც იძენენ ტერიტორიას. აქ ბანი მეზობელია ზურაბ-ალანთ ოჯახი. რომლის ერთ-ერთი წევრი ზურაბი 1712 წელს ქალაქის მელიქი იყო. ჩანს ეს ოჯახი აქ უკვე 1740 წლიდან ცხოვრობდა[82] და ამ რაიონში რამდენიმე სახლსა და დუქანს ფლობდა[83]. აქვე, დიღმის კარის პირას ცხოვრობენ ლელუკაშვილები[84]. მაგრამ თანდათანობით ლელუკაანთ და ზურაბ-ალაანთ სახლ-კარი ხადაკოანთ შეისყიდეს. ხადაკოვები ამ უბნის მცხოვრებლებად ჩანან XIX საუკუნეშიც.

ოქრომჭედელთა ქუჩას, ვახუშტისა და პიშჩევის გეგმებით, აქვს ერთი განშტოება, რომელიც პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ ეშვება, მიემართება ქალაქის ჩრდილო კედლის პარალელურად და წყლის კარიდან მომავალ ქუჩას უერთდება. ამ ქუჩის მიმართულება დღევანდელი ავლევისა და მილიციის ქუჩებს უდგება. ეს ქუჩა ძვე-

---

[81] 1778 წ. ივნისის საბუთი, საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთარი 5, № 113.

[82] დოკ. თბ. ისტ. № 154.

[83] საქ. ხ. ი. ფ. Hd, № 1734;

[84] საქ. ხ. ი. ფ. Hd № 1683; 1681.

ლად კვირაცხოვლის ან Фоминая-ს სახელს ატარებდა, რადგან მასზე მდებარეობდა კვირაცხოვლის ეკლესია (1800 წ. გეგმა. № 34). ეს ეკლესია არაა დატანილი არც ვახუშტის და არც პიშჩევიჩის გეგმებზე. თუმცა ამ დროს იგი ნამდვილად არსებობდა და კიდევაც იხსენიება XVIII საუკუნის შუა წლებში, მას მთავარეპისკოპოსის საყდარსაც ეძახდნენ, რადგან სამთავროს მთავარეპისკოპოსის ადგილსამყოფელად ითვლებოდა. ეს ეკლესია პლ. იოსელიანის ცნობით: „известност... записчатана с 1840 года"[55]. მართლაც. 1848 წელს, როდესაც მარი ბროსემ თბილისის სიძველენი მოინახულა და აღწერა, მას ეს ეკლესია გაუქმებული დახვდა[56]. 30-იან წლებში კი იგი მოქმედი ყოფილა, რადგან დატანილია 1833—1835 წლებში შედგენილ ტავარნიცკის გეგმაზე[57].

როგორც 1769 წლის ნასყიდობის წიგნიდან ირკვევა, სწორედ ამ ეკლესიის პირდაპირ, დღევანდელ ავლევის ქუჩაზე ქალიხსარო აბაშიძისაგან იყიდა სახლი იესე ოსეს ძემ. აბაშიძეებამდე კი ამ სახლის პატრონი ზურაბ არაგვის ერისთავი იყო. ამ სახლის აქეთ-იქით ცხოვრობდნენ ქსნის ერისთავი და გედევანიშვილი[58]. ამ სასახლეს იესე ოსეს ძე იხსენიებს თავის ანდერძშიც. როცა თავის ქონებას ჩამოთვლის: „სასახლე მთავარეპისკოპოსის საყდარსა და ქსნის ერისთავის სასახლეს შუა, აბაშიძეებისაგან მოსყიდული"[59].

კვირაცხოვლის ეკლესიასთან. როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მსხვილ ფეოდალთა სახლები ყოფილა. კვირაცხოვლისავე ქუჩაზე ცხოვრობდნენ ციციშვილები[60]. ამ ქუჩაზე მცხოვრებთა გვარები თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ეს ნაწილი ზემო უბნისა არისტოკრატიულ უბანს წარმოადგენდა, ისევე, როგორც წყლის კარის ქუჩა.

სწორედ ამ უბნის ასეთი ელფერის გამო იყო, რომ იესე ოსეს ძემ აქ სახლი კი შეიძინა, მაგრამ შიგ დასახლება არ უფიქრია: „ზეით აბაშიძეებისაგან რომ სასახლეს ადგილი გიყიდეთ, ის ამისათვის არ ავაშენე, რომ დიაღ ძნელი უბანი არის. გარშემო დიდნი კაცნი ახვე-

---

[55] П. Иоселиани. Описание древностей... გვ. 270.

[56] Brosset. Rapports sur un voyage archéologique, 2 livraison, St. Petersbourg, 1850 Cinquiéme rapport, გვ. 18.

[57] ტავარნიცკის გეგმის კოპია დაცულია თბილისის მუზეუმში, მაგრამ მას ექსპლიკაციები არ ახლავს. გეგმა შესრულებულია 1833—35 წლებში.

[58] დოკ. თბ., ისტ. № 266.

[59] იესე-ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი... 1950, გვ. 52.

[60] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. 41, № 126.

ვიან და ყველანი ზეიდამ დაჰყურებენ, მეორედ ასეთი არავინ გეყოლებათ მეზობელი, რომ გაიმართნეთ რასმე"[81].

ზემო უბანი საერთოდ არა მხოლოდ არისტოკრატიის უბანია, არამედ. როგორც ეს უკვე ითქვა, საერთოდ ქართული უბანი იყო. ამ უბანში ცხოვრობდა ძირითადად თბილისელი ქართველობა.

2. ქვემო უბანი

ქვემო უბანი, როგორც ითქვა, იყო კალას ის ნაწილი, რომელიც ლესელიძისა და სიონის ქუჩების სამხრეთით მდებარეობდა.

ამ უბანში შედიოდა თათრის მოედანი და მთელი ის ტერიტორია, რომელიც მდებარეობდა კოჯრის კარისა და ლესელიძის ქუჩის ხელმარჯვნივ, ვიდრე ქალაქის გალავნის სამხრეთ და დასავლეთ კედლებამდე.

კოჯრის კარიდან შიგნით ქალაქისაკენ ქვემო უბნის პირველ მოსახლედ ჩანს ერევნელი მარკოზას ოჯახი. ამ მარკოზას სახლი გეერდითი კედლით კოჯრის კარიდან გამომავალ ქუჩაზე გადიოდა, ხოლო წინ პატარა ქუჩაბანდი ჰქონდა[82]. ეს ქუჩაბანდი ჩანს დღევანდელი ლესელიძის ქუჩის პირველ პერპენდიკულარულ ქუჩად სამხრეთით. ამ ქუჩაბანდში მარკოზას ოჯახს გარდა ცხოვრობდნენ, ქოთოანთ მამაჯანა, ორბელანთ ვართანა და შანშე მილახვარი[83]. ხოლო ერევნელი მარკოზას ოჯახის სახლ-კარს დასავლეთიდან „ტფილისის გალავნის ბურჯი" ესაზღვრებოდა. ეს სახლ-კარი 1806 წელს გაიყიდა და მის ნასყიდობის წიგნში. სხვათა შორის, ნათქვამია: „მოგყიდეთ სახლ-კარი თავისი... ურმის გზითა და კვირაში ერთხელ სოლოლაკის წყლის ჯერითა"[84]. ეს უკანასკნელი მომენტი. სოლოლაკის წყლის ჯერი, იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ამ სახლკარს იქვე ექნებოდა ბაღიც. რომლის მოსარწყავადაც იქნებოდა განკუთვნილი ეს წყალი.

საერთოდ ბაღები ქვემო უბნის ამ მხარეში, დღევანდელი დადიანის (ველიამინოვის) ქუჩის აღ-ით მოსახლეებს ბევრსა ჰქონდათ. ერთი ბაღი ქალაქის ამ ნაწილში დატანილია ვახუშტის გეგმაზე (ე) და სახელდებულია როგორც ბექანის ბაღი. იგი გეგმის მიხედვით მდებარეობს ლათინთა საყდრის (დ) საამხრეთ-დასავლეთით და ქალაქის გალავანსაა მიბჯენილი. ამასთან გეგმაზე აღნიშნულია ბაღის აღმოსავლეთით სიონის ქუჩისაკენ მიმავალი ქუჩა. ამ ქუჩის ად-

---

[81] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, გვ. 61.

[82] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთარი 40, № 127. (1806 წ.).

[83] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad 1920 (1777, S. IV).

[84] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450 დავთ. 40, № 127.

ვილას დღეს გადის ივანიძის ქუჩა, რომელიც ადრე ქალაქის სახელით, ან Докторская улица-ს სახელით იყო ცნობილი. ხოლო ეკ. ხუშტისეული ბეჟანი (ამ ბაღის პატრონი) იყო ერეკლე II დროს კარგად ცნობილი მოქალაქის ფირუზულაანთ ნაზარბეგას შვილის ოსეფას ბიძა. ოსეფას მამა-ბიძა ქვემო უბნის ამ რაიონის საკმაო ტერიტორიის მფლობელებად ჩანან. ამათ ეკუთვნოდათ ადგილები ქალაქის გალავნიდან, ვიდრე ფრანგის საყდრამდე. ამ ადგილებში ფირუზულაანთ ბაღებიც ჰქონიათ. შემდეგში ძმებმა ეს ადგილი შუაზე გაიყვეს, ხოლო უფრო გვიან მათმა შვილებმაც მამათაგან დარჩენილი ადგილ-მამული ერთმანეთში გაიყვეს და დააქუცმაცეს. ფირუზულაანთ ეს გაყრა 1773 წელს მოხდა. ამ დროისათვის ბეჟანის ბაღი, რომელიც სწორედ თავისი სიდიდის გამო ღირსი გახდა ვახუშტის გეგმაზე შეტანისა, შემცირებულ-დაპატარავებული იყო[96].

ფირუზულანთაგან ჩრდილოეთით ჩანს კიდევ ერთი უბანი—ცოცხალაანთ უბანი. ამ უბანს დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ქალაქის გალავანში ჩატანებული ბურჯი, რომელიც ცოცხალაანთ ბურჯის სახელით იყო ცნობილი. ცოცხაალანთ უბანი საბუთებში პირველად 1733 წელს გვხდება[97]. უკანასკნელად კი 1815 წელს[98]. ცოცხალაანთ უბნის აღმოსავლეთით იყო პატრი ფილიპეს სახლი და საერთოდ ე. წ. ფრანგების ქუჩა. ფრანგების ქუჩა, შემდეგში კათოლიკეთა ქუჩა, დღევანდელი პირველი მაისის ქუჩაა.

ფრანგების საყდარსა და შუაბაზრის (ე. ი. ლესელიძის) ქუჩის შორის იდო კიდევ ერთი უბანი—ჯიგრაშნის უბანი. ამ უბანს სახელს აძლევდა აქ აგებული სომეხთა ჯიგრაშნის ეკლესია, რომელიც ლესელიძის ქუჩის მარჯვენა მხარეს იდგა და 40-იან წლებში აღებულ იქნა (პიშჩევიჩის გეგმა № 21, 1800 წ. გეგმა, № 52).

ქვემო უბანში შემავალ სხვა მიკროუბნების განსასაზღვრავად არსებობს ერთი ძვირფასი საბუთი. უცნობი ქართველი მღვდლის ჩანაწერი[99]. ამ მღვდელს სამწყსოდ ჰყოლია ქვემო უბნის ქართველი მოსახლეობა და ეხლა ის ამ საბუთში აღწერს, თუ სახელდობრ რომელი უბნები ებარა მას სამწყსოდ. საბუთი უთარიღოა, მაგრამ მასში მოხსენებული პირები მე-18 ს-ის შუა წლებში ჩანან, ამიტომ ეს საბუთი შედგებოდა XVIII ს. 40-იან წლებში. ამ საბუთის მიხედვით.

---

[96] საქ. ცენ. ა. ფ. 226, (1448) № 4240. შესაძლოა. ვახუშტის გეგმაზე № 37-ით აღნიშნული ბეჟანის ქარვასლა ერეკლის მოედანზე ამავე ფირუზულაანთ ბეჟანისა იყოს.

[97] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის I, 1962, № 139.

[98] საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. 43 № 47.

[99] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I. გვ. 224. 225.

ქვემო უბანი ასეა განსაზღვრული: „ქვემო უბანი რაც არის, სულ მთლად ყარა მდივნის სასახლიდამ დაჭერილი ის გალავნის გამოტანება კოზმნის უბანი, მოლნიანის უბანი, ყორღანაანთ და ფითუანთ უბანი, მანდენაანთ უბანი და იმისი დატანება მელიქის სასახლიდამ წამოსული ფეთხაინის კლდის უბანი, იმის ჩამოტანება მეიდნამდის და მეიდნის უბანი. ქ. მუშრიბის ავთანდილას სახლიდამ მოჰყვება. ჩამოტანება იმისი შერგილაანთ უბანი, ჩითახაანთ უბანი, ჩალუანთ უბანი, ისე ჩამოყოლება ნორაშნის უბანი, მელიქის ძველი უბანი, ბებუთას სახლიდამ საკაშენს გაივლის და მეიდანში ჩავა. ქ. ჩვენის ბაზრის თავიდამ დაჭერილი, რასაც ქვეით ჩაიტანა, დუქანია, ქარვასლა არის თუ დგა ვინმე ქართველი, გაივლის თამამშაანთ უბანა, მარუთაანთ უბანს, გურგენბეგის სახლს გაივლის, მივა მეიდანთ. ქ. სამრეკლოდამ დაჭერილი ალაფების ბანამდისინ რაც ქობებია, ესეები ქვემო უბანია“[29].

რაკი ჩვენ ვიცით საერთოდ ქვემო უბნის საზღვრები, ზემომოტანილი საბუთი გვირკვევს, თუ ქვემო უბანი. თავის მხრივ. რა ცალკეულ უბნებად იყოფოდა. საბუთი უბნების ჩამოთვლას დასავლეთიდან იწყებს, ე. ი. უბნის იმ მხრიდან, რომელიც ყველაზე ახლოა დღევანდელ ველიამინოვის ქუჩასთან და მაშინდელ ქალაქის გალავანთან. უკიდურესი პუნქტი ამ მხრივ ყარა მდივნის სასახლეა. ეს სასახლე ქალაქის გალავანთან მდგარა.

ქვემო უბნის ამ აღწერილობაში, ორიენტირად კოზმნის, მოლნიანის, ფეთხაინის, ნორაშნისა და საკაშენის ეკლესიები გამოგვადგება.

ამათგან პირველი ეკლესია არის სომხური კოზმან და დამიანეს სახელობისა, პიშჩევიჩის გეგმით (№ 41) იგი მდებარეობდა დღევანდელ ენგელსის ქუჩის დასაწყისის სამხრეთით. ამ ეკლესიის სამხრეთით დღევანდელ ახოსპირელის ქუჩაზე ორი ეკლესია იყო მოლნიანისა, დიდი და მცირე (ამ ეკლესიათა შენობები დღესაც დგანან). ფეთხაინი ანუ ბეთლემი აზიზბეკოვის ქუჩაზეა, ამ ქუჩის ბოლოში, მაღლა, კლდის უბანში. ნორაშენი დღეს ლესელიძის ქუჩაზე

---

[29] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 224—225. საბუთი უთარიღოა. მაგრამ იგი უნდა იყოს XVIII ს. 40-იან წლებისა. საბუთში მოიხსენება ავთანდილ მუშრიბი, რომელიც სწორედ ამ ხანებში ცხოვრობს. ჩვენს ხელთ არის 1750 წლის საბუთი, რომელშიაც, როგორც სახლის გამყიდველი, იხსენიება ავთანდილ მუშრიბის ჯალაბი შაისულთანი (დოკ. თბ. ისტ. გვ. 217—219). რაკი აქ სახლებს პყიდის შაისულთანი და არა ავთანდილი, უნდა ვიფიქროთ, რომ ავთანდილი ამ დროს ცოცხალი აღარ არის და ამიტომ ზემო საბუთი 1750 წელზე ადრე იქსებოდა შედგენილი.

ვამოდის ჩრდილო კედლით, სიონის გადასწვრივ, მისი ძველი სამრეკ-ლოს პირდაპირ. სააკაშენი კი იდგა ნორაშენსა და თათრის მოედანს შორის.

ზემოთ მოტანილი საბუთით, ქვემო უბნის უკიდურესი მხარე აღმოსავლეთით თათრის მოედანია.

აქ სისრულისათვის უნდა აღინიშნოს შემდეგი: დღეს ლესელ-ძის ქუჩა, ლენინის მოედნიდან აღმოსავლეთით დაშვებული, სამბრე-თისაკენ უხვევს თათრის მოედნამდე. მაგრამ ადრე ასე არ იყო. XIX ს-ში ლესელიძის ქუჩას შუა ბაზარი ან სომხის ბაზარი ერქვა, დაახ-ლოებით ლენინის მოედანსა და ჩალაუბნის ქუჩას შორის. ჩალაუბნის ქუჩიდან კი თათრის მოედნამდე დღევანდელი ლესელიძის ქუჩის მო-ნაკვეთს ციციანოვის ქუჩა ერქვა. ციციანოვის ქუჩა ერთის მხრივ სიონის ქუჩას უერთდებოდა, მეორეს მხრივ ბატონის ქარვასლის და-სავლეთიდან მოვლით, მიხვეულ-მოხვეულად თათრის მოედნისკენ მიემართებოდა. ციციანოვის ქუჩის ეს მონაკვეთი—ქარვასლიდან ქვევით—იმდენად ვიწრო და მიუხერხებელი იყო, რომ ერევნის მოე-დნიდან თათრის მოედანზე წამსვლელი ამ გზაზე არც კი გადიოდა. თათრის მოედნისკენ გზა სიონის ქუჩიდან მიდიოდა. სიონის ქუჩი-დან მოედნისკენ ორი გზა იყო—პატარა სირაჯხანის აღმართი და ბნელი რიგი (დახურული ბაზარი).

ნორაშენის ქვემოთ მდებარე მონაკვეთი ლესელიძის ქუჩისა სულ ბოლო ხანებშია გაფართოებული. მე-18 ს-ში ნორაშენის ეკლე-სიასთან გამოდიოდა ხარ[illegible]ანა[10]. თვით ნორაშენის დღევანდელი მდე-ბარეობა ამ ქუჩაზე იმას უნდა გვაფიქრებინებდეს, რომ იგი ადრე ვიწრო იყო.

ზემომოყვანილი ქართველი მღვდლის საბუთით ნორაშენის უბნის მომიჯნავეა ჩალუანთ უბანი. ჩალუანთ უბნისა და ნორაშენის მეზობ-ლობა სხვა საბუთებითაც დასტურდება. 1751 წლის ნასყიდობის წიგნში გაყიდული სახლის მიჯნები ასეა აღწერილი: „ერთი გვერ-დი ჩალოანთ ქუჩისაკენ, მეორე გვერდი მონთუანთ ქუჩისაკენ და მესამე გვერდი უკან ყულინათ და მეწვრილმანე საჰაკას სახლის კე-დელი. და მეოთხე გვერდი ნორაშენის პირდაპირ"[121].

ამრიგად ჩალოანთ ქუჩასა და უბანს ნორაშენი მიყვება. ნორა-შენს მელიქის ძველი უბანი და სააკაშენი. მელიქის ძველი უბანი ნო-რაშენის აღმოსავლეთით არის საგულისხმებელი, მაგრამ ამავე საბუ-თის (ქვემო უბნის საზღვრების აღმწერელი) მიხედვით მელიქის სა-

---

[100] საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. № 59. საბ. № 139.

[121] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, I. № 199 გვ. 237—239.

სახლე ფეთხაინის უბნის გვერდზედაკაა აღნიშნული. მართლაც ქალაქის მელიქს რაოდენიმე ადგილას ჰქონდა თბილისში საცხოვრებელი სახლები. მისი ძირითადი ადგილსამყოფელი კი კლდის უბანში იყო. ჩვენამდე მოაღწია 1712 წლის 4 მაისის საბუთმა, რომლითაც ვახტანგ VI უბრუნებს აშხარბეგს სასახლეს კლდის უბანში გალავნის შიგნით[102]. 1801 წლის საბუთით მელიქის სახლი კოზმნის ქუჩაზეა (ე. ი. ისევ კლდის უბანშია) ნაჩვენები[103]. ამ რაიონში აშხარბეგმა და მისმა ჩამომავლობამ მეტად გაიფართოვა ადგილ-მამული. აქვე მათ ააშენეს „დედათა მონასტერი—სურბ-სტეფანოსი. ბებუთაშვილებს თავის სახლებს უკან, სოლოლაკის ქედისაკენ ბაღებიც ჰქონიათ. ბაღების მოსარწყავად მათ სოლოლაკის მთიდან წყალი ჰქონდათ გამოყვანილი მილებით. ამ ადგილებში ბებუთოვთა სასახლის არსებობის გამო იყო, რომ დღევანდელ ენგელსის ქუჩას ადრე ბებუთოვის ქუჩა ერქვა. მელიქის უბანი ქვემო უბანში ერთ-ერთი ყველაზე შეძლებული და უკეთ მოწყობილი იყო.

ამ უბანში იქნა გადმოტანილი სამეფო რეზიდენცია მას შემდეგ, რაც აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი აიოხრა. 1800 წლის გეგმაზე № 59-ით სურბ-სტეფანოსის მონასტერსა და მოღნინის ეკლესიას შორის მდებარე ტერიტორია სახელდებულია როგორც нынешнее место-пребывание его высочества царя.

ქართული დოკუმენტური მასალაც ადასტურებს გიორგი XIII ადგილსამყოფელის აქ არსებობას. მაგალითად, 1800 წლის ერთ საბუთში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მომჩივანი, რომელმაც მეფის პირადად ნახვა ვერ მოახერხა. „ზევიდან კლდეზე ავიდა და იქიდამ მეფეს მაღლის ხმით ჩამოსძახა თავისი სათქმელი“ (საქ. ცა. ფ. 1450, დავთ. 44, № 169). მართლაც, მელიქის უბანი კლდის ქვეშაა და კლდეზე ასული მომჩივნის ყვირილი ადვილად შეეძლო გაეგო აქ დასახლებულ მეფე გიორგის. პუპლია ორბელიანის ცნობითაც მეფე გიორგი მისკარბაშის იოსების (ბებუთაშვილის) სახლში იდგა. (საქ. ხ. ი. ფონდი S 1646/8 გვ. 6).

არსებობდა აგრეთვე მელიქის ძველი უბანი თათრის მოედნისაკენ. ამ მხარეში მელიქის სახლმფლობელობას არაერთი სხვა დოკუმენტიც ადასტურებს. მაგალითად, 1728 წლის მარტის საბუთით აშხარბეგის სახლი „ქვემო უბანშია, ბაზართან“[104].

მელიქის ამ ძველი უბნის მეორე მომიჯნავე საპაკაშენის უბანია. საპაკაშენო ნათლისმცემლის სახელობის სომხური ეკლესიაა. ეს ეკ-

---

[102] საქ. ცა. ფ. 1450 დავთ. № 22, № 74.

[103] ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 1632.

[104] დოკ. თბ. ისტ. გვ. 150—151.

ლესია ააშენა აბედინაანთ საჰაკამ, ამიტომაც მას საჰაკაშენს უწოდებდნენ. ამ საჰაკას შვილის აქიმ ოჰანეზას შვილმა აბედინანთ აქიმმა სტეფანემ ქართული სარწმუნოება მიიღო და ამ მიზეზით მამა-პაპათაგან მიღებულ ეკლესიის დეკანოზობაზე უარი თქვა. მან დეკანოზობა გადასცა ბაინდურანთ ტერ-ასატურას, თვითონ კი ალა-მაჰმადბანის შემოსევისას დამწვარ ამ ეკლესიის აღდგენას მიჰყო ხელი. ეს ამბავი მოხდა 1799 წელს[106]. ამიტომ აქიმ სტეფანეს, პაპის საჰაკას მოღვაწეობა და მის მიერ ეკლესიის აგება დაახლოებით მე-18 საუკუნის პირველი მეოთხედით უნდა დათარიღდეს.

საჰაკაშენის ეკლესია დატანილია პინჩევიჩის გეგმაზე 37 ნომრით. ამ ეკლესიას არ იხსენიებს არც ბროსე და არც პლატონ იოსელიანი, სამაგიეროდ მას იხსენიებს ბროსეს მიერ მოყვანილი ინჯიჯიანი № 4-ით.

ქვემო უბანს თათრის მოედნის მხრიდან საზღვრავდა თამამშაანო და მარეთაანთ უბნები და გურგენბეგის სახლი.

ქვემო უბნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს კლდის უბანი ერქვა, მის სამხრეთით კი ციხის უბანი იწყებოდა.

სანამ ციხის უბანზე გადავიდოდეთ, უნდა დავახასიათოთ თ ა თ რ ი ს მ ო ე დ ა ნ ი და მის აღმოსავლეთით მტკვრისა და ხიდისაკენ მდებარე ტერიტორია.

ეს მოედანი, შარდენის თქმით, სამხედრო მოედანია და ამავე დროს ბაზარიცო.

ქართული საბუთები ამ მოედანს ციხის მოედანს, ქვემო მოედანს ან თათრის მოედანს უწოდებენ. ამასთან ეს სახელები XVIII ს-ში თითქმის ერთმანეთის პარალელურად იხმარება. მაგალითად, „ციხის მეიდანი“ გვხდება 1749 წლის[108] და 1767 წლის[107] საბუთებში; „ქვემო მეიდანი“ 1753 წლის[109], 1757 წლის[109] 1768 წლის[110] საბუთებში. 1773 წლის საბუთში იხსენიება „ქვემო, თათრის მოედანი“[111].

---

[106] საქ. ცენ. ა. ფ. 1448. (226) № 3897.
[108] დოკ. თბ., ისტ. № 180.
[107] იქვე, № 254.
[108] იქვე, № 215.
[109] იქვე, № 229.
[110] იქვე, № 259.
[111] საქ. ცენ. ა. ფ. 226 (1448) № 4240.

იოანე ბატონიშვილის ცნობით. თათრის მოედანთან იგულისხმებიან ბაყლები, მეთევზეები. ყასბები და ალაფები. მაგრამ თუ საბელდობრ რა ადგილას, ეს „კალმასობით“ არ ჩანს. თათრის მოედნის ირგვლივ მდებარე ობიექტთა განსაზღვრა უნდა მოხდეს დოკუმენტური მასალისა და ამ მასალის ქალაქის გეგმებთან შეჯერების შემწეობით.

თათრის მოედანი, როგორც წყაროები იტყობინებიან, სურსათ-სანოვაგის ბაზარი იყო, მოედნის გარშემო ჩამწკრივებული ბაყლების, ალაფების, ყასბების და სხვათა დუქნებით. ალაფხანა მდებარეობდა ამ მოედნის დასავლეთ მხარეს (ე. ი. იმ მხარეს, საიდანაც დღეს ამ მოედანზე ლესელიძის ქუჩა შედის). ალაფხანა ამ ადგილებში ჩანს 1778 წლისათვის (საქ. ცხ. ა. ფ. 1450 დავთ 16, № 10). ალაფხანის ახლოსვეა ყასაბხანა. როგორც ერთი 1798 წლის 21 აპრილის საბუთიდან ჩანს, ალაფხანასა და ყასაბხანას შუა მხოლოდ 9 ადლი ადგილი ყოფილა. ეს 9 ადლი იოანე პენტელაშვილმა ერეკლე II სთხოვა თავისთვის და აქ ოთხი დუქანი ააშენა, ორი ქვეითა და ორიც ზედ დაშენებული. ეს დუქნები შემდეგ გიორგი XIII პენტელაშვილს ჩამოართვა და ექიმ იოსებს (ყარაშვილს) მისცა[112].

თათრის მოედანზე ჰქონდა დუქნები აგრეთვე არუთინა ექიმს. 1796 წ. 26 ივნისს ერეკლე II ამ არუთინას დუქანები უწყალობა, რომლის ჯანა მხარეს გზა მიდიოდა ზარაფხანისაკენ, წინ კი ბაზარი იყო[113]. დუქნის გვერდზე 1797 წ. 14 ოქტომბრის წყალობის წიგნით იმავე არუთინამ კიდევ იშოვა „დუქნები, რომელსა აქვს სიერძე ადლი 6 და სიგანე ადლი ხუთი და 1 ჩარექი“[114]. ამ დუქნების ჩრდ-ით ზემოთ ხსენებული დუქნები ესაზღვრება, აღმ-ით პირი „მხედველ მიედნისაკენ“ და „ბანზე გაკეთებულ დუქნებს პირი სამხრეთით. ალაფხანისაკენა აქვს“. პირველი სართულის დუქნები აღმ-ით, თათრის მოედნისკენ იცქირებიან, ხოლო მეორე სართულისა—სამხ-ით. ალაფხანისაკენ. აქ იგულისხმება მიწის ზედაპირის აღმართ-დაღმართი. სამხრეთიდან ეს დუქნები ერთსართულიანი ჩანს. საინტერესოა. რომ ამ 6 კვ ადლ. ფართობში ორი ძირის დუქანია, „ამავ დუქნების კედელში დატანებული სამი დოლაბია დუქნებათ, რომელშიაც სხედან ბაყალ-შეკირდები“-ო. აქედან უნდა დავასკვნათ. რომ აქვე ყოფილა საერთოდ ბაყლების დუქნებიც. „კალმასობის“ მიხედვითაც ბაყლები, ყასბები და ალაფები ერთი მეორის გვერდზე სხედან.

---

[112] საქ. ცხ. ა. ფ. 1450. დავთ. 6, № 129.

[113] იქვე, დავთ. 19, № 62.

[114] იქვე, დავთ. 19, № 73.

· თათრის მოედნის ჩრდ. აღმ-ით. ძველად რომ მეჩეთი იდგა, იქის ზემოდან გზა მიდიოდა ზარაფხანისაკენ. ზარაფხანა და მისუბანი ამ ადგილებში ჩანს უკვე 1678 წელა[115]. ამ დროისათვის ზარაფხანის ბოსიჯსაველებად ჩახახ ფასულხანა. ისაის შვილი მანველას სახლი და ქესხანა (ქესხანა საჭურჭლე ქარხანაა). ეს საჭურჭლე ქარხანა დატანილია პიშიევიჩის გეგმაზეც № 49. მანველას ოჯახი აქ ჩანს 1710 წლისათვის. ამ წელს მანველას ოჯახმა თავისი სახლი მოლა გიორგის მიჰყიდა. ორივე ამ საბუთში ნახსენები ზარაფხანა ციხისაკენ იცქირება[116]. მართლაც, ვახუშტის გეგმით, იმ ადგილს, სადაც ზარაფხანაა საგულვებელი. ჩრდ. დასავლეთიდან ციხის კედელი ემიჯნება. ეს ის კედელია, რომელიც, ამ გეგმით, ქალაქს მდინარის მხრიდან არტყია. შემდეგში ეს კედელი აღარა ჩანს. ზარაფხანიდან ციხისაკენ მიმავალი გზა მოხსენებულია 1720 წლის საბუთშიაც: „ზარაფხანასთან... ციხისაგან რომ გზა ჩაველის“[117]... ამ საბუთით ზარაფხანასთან მოსაბლობდა ზემოხსენებული მოლა გიორგი.

ზარაფხანას, როგორც ჩანს, საკმარისი ტერიტორია სჭერია. მის კედელთან არა ერთი და ორი დუქანი ჩანს მიყუჟული. ზარაფხანის კედელთან და ე. წ. ზარაფხანის ქუჩასთან გამოდის ქვემო ბაზაზხანა (საქ. ცა. ფ. 226. № 667; ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 1662). ზარაფხანის ქუჩა გამოდის თათრის მოედანზე. მეორე მხრივ. ზარაფხანის კედელთან მდებარე დუქნებს სიონის გალავანი ესაზღვრება. (დოკ. თბ. ისტ. № 259). სიონის გალავანი საგულვებელია საკმარისად მიშორებით თვით სიონის სამხრეთ კედლიდან, ამ გალავანს შიგნით იგულისხმება მრავალი სახლი და ბაღიც კი.

ზარაფხანის ქუჩაში იდგა ბებურიშვილის სასახლე. ეს სასახლე ბებურიშვილებმა 1800 წელს გიორგი XIII მიჰყიდეს. სასახლის გამყიდველები აცხადებენ, რომ ეს სასახლე ჯერ კიდევ მათმა ბაბამ იყიდა თავისი და ქეთევან ხანუმასაგან. ეს გვაფიქრებინებს. რომ ბებურიშვილთა სასახლე აქ მთელი საუკუნის მანძილზე მდგარა[118].

ზარაფხანის სამხ. აღმოსავლეთით. ხიდისაკენ არსებულა სარიმაჯის უბანი.

ეს ადგილები დღეს იმდენადაა შეცვლილი, რომ ძნელია წარმოდგენა, თუ სად რა მდებარეობდა. ძველი ზარაფხანის მახლობლად XIX ს. 20-იან წლებში აშენდა შადინოვის ქარვასლა, რომელიც დღესაც დგას ბამბის რიგის ბოლოს.

---

[115] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 27, გვ. 31.

[116] იქვე, № 70 ამ საბუთით „ზარაფხანასთან ნეხვი ყრია“. გვ. 80.

[117] საქ. ცა. ფ. 1450. დავთ. № 6, № 7.

[118] საქ. ცა. ფ. 1450. დავთ. № 13, № 130.

ზარაფხანიდან (ბოლო დროს აღებულ) მეჩეთამდე საბუთებით ჩანს კიდევ ერთი ქუჩა და უბანი. ესაა სარიმაჯის გზა და სარიმაჯის უბანი. ამ უბნის სალოკალიზაციოდ ძვირფას ცნობებს გვაწვდის 1766 წლის სახლ-კარის გაცვლილობის წიგნი. ამ წიგნით რევაზ ორბელიანი თავის სახლს. ბატონის მოედანზე მდგომს, ცვლის მირზა აბითურაბის შვილების სახლში. ეს სახლი საბუთით ასეა ლოკალიზებული: „ქვემო მეიდნის სარიმაჯის უბანში ორი ხელი სახლ-კარი... რომ არის გაზანდარის ადლითა 353 ადლი“[119]. ამ საბუთით სარიმაჯის უბანი ქვემო მეიდანთანაა საძებნი. მაგრამ მეიდნის საველდობრ რომელ ნაწილში, ამას გვერკვევს ერეკლე II 1780 წლის 5 მაისის წყალობის წიგნი: „იედიგერის შვილ სადუხ ბეგს გიბოძეთ მეიდანში 5 დუქანი. ერთი გვერდი მეჩითის კედელი, ერთი გვერდი სარიმაჯის გზა, უკან თქვენი მამეული სასახლე და წინ მეიდანი“[120]. აქედან ირკვევა, რომ იედიგერის შვილის სასახლე და მის წინ მდებარე ხუთი დუქანი პირით მეიდნისკენ მიქცეული, მეჩეთის კედელსა და სარიმაჯის გზას შორის მდებარეობდა. ახლა გასარკვევი გვაქვს, მეჩითის რომელი მხარე იგულისხმება: სამხრეთი (ბიდისაკენ) თუ ჩრდილოეთი (სიონისაკენ). ამ კითხვას უპასუხებს 1816 წლის ერთი საბუთი, რომელიც თათრის მეიდანზე გაყიდულ სახლებისა და დუქნების ზღვარს არკვევს: „აღმოსავლეთის მხარეს სარიმაჯის ქუჩა, დასავლეთით ზარაფხანის კედლის ქუჩის სიგრძივ, ჩრდილოეთით ზარაფხანის ქუჩა, სამხრეთით ბაზარი“[121].

ყოველივე ამის შემდეგ გამოდის, რომ ზარაფხანიდან მოყოლებული, მტკვრის დინების გასწვრივ მდებარეობდა სარიმაჯის უბანი, ედიგარაწვილის სასახლე და მეჩეთი. ბოლო მეჩეთთან იყო ბიდი, რომელიც ქალაქსა და ისანს აერთებდა.

მართალია სარიმაჯის უბანი მე-19 საუკუნის საბუთებშიაც იხსენიება, მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობის გარკვევა ძნელდება. დოც. ვ. ფუთურიძის მოსაზრებით, სარიმაჯის სახელწოდება შეიცავდა მომდინარეობდეს სპარსული სიტყვიდან سرا რაც ნიშნავს უღელს. აქედან სარიმაჯის უბანი შეიძლება იყოს უღლის მკეთებელ ხელოსანთა უბანი.

---

119 დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის 1, № 246. ამ წიგნის სხვა ვარიანტი ის. იქვე, № 247.

120 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Qd №.

121 საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთარი 42, № 40.

თათრის მოედნის სამხრეთ მხარეს ჩანს მეხაშეების რიგი[122] და აშპაშხანა[123].

ამავე მხარეს ყოფილა აგრეთვე სამეფო დუქნებიც. ეს დუქნები ალა მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად დაიწვა. დამწვარ დუქნების აღგილას, ერეკლე II ბრძანებით, მეფის ნაცვალი იოანე პენტელაშვილი ხელახლა აშენებს დუქნებს. როგორც საბუთი აცხადებს, ხელახლა აშენდა 10 ქვეითი (ე. ი. აღმოსავლეთი) და 22 ზეითი (ე. ი. მოედნის მაღალ ადგილას. მის სამხრეთით) დუქანი. ეს დუქნები ერეკლეს ბრძანებით „იმავ რიგით და იმავ ლარში უნდა ჩაადგო და ააშენო"[124]. დუქნების ერთ ლარში გაჭიმვის აუცილებლობას მოითხოვს ერეკლე II სხვა საბუთშიაც: „(დუქანი) გადაწეულ-გადმოწეული კი არ უნდა იყოს"[125].

დუქნები შენდებოდა თათრის მოედანზე აგრეთვე ციხისდიდის ეკლესიის გალავანზე: „ციხის დიდის ეკლესიის... გალავანზე პირი ბეიდნისაკენ დუქნები ააშენა ზაქარია ვართაპეტმა"-ი[126].

ციხის დიდი საყდარი მოედანს სამხ. დასავლეთიდან ემიჯნებოდა. ხოლო მოედნის სამხრეთ მხარეს გაჭიმულ დუქნების რიგს უკანიდან ებჯინებოდა ბერძენთა ეკლესია წმ. ეკატერინეს სახელობისა. ეს მონასტერი თბილისში აშენდა იერუსალიმის წმ. ეკატერინეს სახელობის მონასტრის მეტოქად. (1800 წ. გეგმა № 36). იგი მდებარეობდა თათრის მოედანსა და დღევანდელ აბანოებისაკენ მიმავალ ქუჩას შორის მოქცეულ კვარტალში. ეს ეკლესია თბილისელებში ბერძენხანის სახელით იყო ცნობილი. ამგვარად აქვს მოხსენებული ის ბროსესაც და ინჯიჯიანსაც[127]. ამ მონასტერსა და მის არქიმანდრიტს ბერძენ იოანიკოსს ერეკლე II 1781 წელს ორი დუქანი შესწირა. საინტერესოა ამ დუქნების მიჯნათა აღწერილობა: „ზევით გვერდი მებურნეოთის დუქანი და მენაბდის დუქანი,... ქვემო მხრის მიჯნა რიგზე რომ დუქნები არის, დღეს ამბარდანს უჭირავს, იმის კედელი. ულანა მიჯნა თავის ეკლესიის (ე. ი. წმ. ეკატერინეს) სასაბლის კედე-

---

[122] მეხაშეების რიგზე დუქნები აქვთ სხვათა შორის ალი ბებუთაშვილს, ყოლაბაშსა და შანშიანთ მარტიროსს შვილ ყარან მდივანს (დოკ. თბ. ისტ. № 253), ციხეში დუქანი თათრის მოედანზე ჰქონდათ აგრეთვე ყორღანოვებს 1818 წლისადმი. (ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd № 3091).

[123] აშპაშხანაშიც ბებუთაშვილებს აქვთ დუქნები. დოკ. თბ., ისტ. № 180. გვ. 914—917.

[124] 1796 წლის 7 აპრილის ოქმი ერეკლესი. საქ. ცენ. ა. ფ. 226. № 9711.

[125] 1796 წლის 30 ნოემბრის ბრძანება. საქ. ცენ. ა. ფ. 226 № 852.

[126] 1797 წლის 1. VI-ის არზა ხელნ. ინსტ. ფ. Qd № 1459.

[127] Brosset, Rapports...ის. აგრეთვე პლ. ოსელიანი, Описание древностей города Тифлиса, Тф. 1866 გვ. 66. 67.

ლი. წინ კედელი ხომ მოედანი არის"[128]. აქედან უკვე გარკვევით ჩანს, რომ ტერიტორია თათრის მოედანზე ვამავალი ამ ორი დუქნიდან თვით ეკლესიამდე, და ალბათ იქითაც, ბერძენი არხიმანდრიტის საფლობელო ყოფილა. აქ ჰქონია მას სასაფლე და სხვა სამეურნეო ნაგებობანი. ამიტომაც იყო, რომ მთელ ამ უბანს ბერძენხანას უწოდებდნენ.

მოედნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს კი, სადაც ბოლო დროს იყო შემჭიდროებული საკუთრივ თათრის ბაზარი, ციხისდიდის ეკლესია იდგა (გადმოცემით ამ ეკლესიაში მოკლეს საიათნოვა ალამაჰმად-ხანის შემოსევისას). ამ ეკლესიას სურბგეორგა ციხის საყდარი ერქვა. რადგან იგი შედიოდა ციხის უბნის ტერიტორიაში. ამავე უბანში შედიოდა აგრეთვე ე. წ. ციხის პატარა საყდარი—მთავარანგელოზის სახელობისა. რაკი ციხისდიდის საყდარი ტერიტორიულად ციხის უბანს ეკუთვნოდა, ამიტომაც ის ციხესთან ერთად ერეკლეს მაჰმადიანებს ჰქონდათ დაპყრობილი.

ციხე. შარდენის თქმით, წარმოადგენდა სპარსული გარნიზონის და სპარსელ ხელოსანთა ადგილსამყოფელს[129]. მაგრამ უკვე ტურნეფორის დროს ციხის გარნიზონი საკმარისად ოაუძლურებულია, იგი შედგება რამდენიმე საცოდავი მაჰმადიანი მოხელისაგან, რომლებიც საყარაულო სამსახურს ეწევიან აქ ჯამაგირისთვის. ესენი აქ ცხოვრობენ თავის ოჯახებთან ერთად[130].

მაგრამ ციხის გარნიზონს, როგორც ჩანს, თავისი უფლებები გაეფერცელებია აგრეთვე ციხის უბანში მდებარე ციხისდიდის ეკლესიაზეც. სომეხთა ამ ეკლესიის დეკანოზის ტერ-არაქელას სიტყვით „ეს ეკლესია დიდი ხანი წარმართთ ეჭირათ და ტყვედ იყო იმათ ხელში, ღთმა გააძლიეროს ხელმწიფობა თქვენი, თქვენ დაიხსენით ტყვეობიდამ"[131] ტერ-არაქელა ეკლესიის გათავისუფლებას წარმართთაგან ერეკლე II სახელს უკავშირებს. მაგრამ თუ სახელდობრ როდის მოხდა ერეკლე II ეს აქტი, ამ საბუთიდან (1797 წლის) არ ჩანს. სამაგიეროდ ჩვენამდე მოაღწია იმავე ტერ-არაქელას მეორე არზამ, 1800 წლის 7 მაისის თარიღისა, რომელშიაც არაქელა თავის საქმი-

---

128 ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 13168. ამ ორი დუქნის ფართობი ასეთია: სიგრძე 10 ადული, სიგანე 8,5 ადული, ფართობი 85 - გაზანდარი (ე. ი კვადრატული) ადული.

129 პ ო ლ ი ე ვ ქ ტ ო ვ ი, ნ ა თ ა ძ ე, ძველი ტფილისი. 1929 წ. გვ. 14.

130 ტურნეფორი საქართველოში იყო 1700 წელს. დასახ. ნაშრ. გვ. 26.

131 1797 წლის ივნისის არზა. ხელნ. ინსტ. ფ. № 1459.

ანრიბის დასაწყისად ციხისდიდის ეკლესიაში 20 წლის წინანდელ დროს მიიჩნევს[132]. ამიტომ ციხისდიდის ეკლესია წარწართთაგან გათავისუფლების თარიღად XVIII ს. 70-იანი წლების დასასრული უნდა მივიჩნიოთ. ჩვენს ხელთაა 1786 წლის საბუთი, რომლითაც ეს ეკლესია უკვე გათავისუფლებული ჩანს[133].

ციხის უბანი, ანუ ციხე (საკუთრივ დაბალი ციხის გალავანი) ულუალოდ ემიჯნებოდა თათრის მოედნის ტერიტორიას. ამ გალავნის აღებას ვახუშტი მიაწერს როსტომ მეფეს: „მეფემან როსტომ ჩამოხდუა კალა ციხიდამ ხიდის ყურემდე და მისცა სპარსთა, მიერითგან უპყრავთ მათო"[134].

ვახუშტის გეგმით საკუთრივ ციხის ტერიტორიას, რომელიც ირგვლივ გალავნითაა შემორტყმული (მტკვრის მხარეს ეს გალავანი არ ჩანს), სამი კარი აქვს დატანებული. ერთი კარი ციხიდან კალაში (ქალაქში) შევიდის თათრის მეიდნის მხრიდან. მეორე კარიდან გზა წავკისის ხევზე (დაბახანაზე) გადებულ ხიდით სვიდაბადისკენ მიდის. ესაა ე. წ. ა ბ ა ნ ო ს კ ა რ ი. მესამე კარი—გ ა ნ ჯ ი ს კ ა რ ი—ბეღლითაა, კლდის ძირში; ამ კარიდან გზა გადის იმავე წავკისის ხევზე გადებულ მეორე ხიდზე. ეს ადგილი დაახლოებით იქაა, სადაც ლიდს ბოტანიკური ბაღის შესასვლელია აბანოების მხრიდან[135].

ვახუშტის დროს ციხის ტერიტორია სპარსელებს ეჭირათ; აქ მისივე თქმით, „მაღალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლოზისა და სასახლე მეფისა. პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი"[136]. ვ. ბერიძის აზრით, ნიკოლოზის ეკლესია, რაკი ის სპარსელებს ეჭირათ, ცხადია გაუქმებული იქნებოდა[137]. ჩვენამდე არ მოუღწევიათ არც ამ ეკლესიას და არც სასახლის ნაშთებს. თუმც 1850 წლის კავკასიის კალენდარში დართულ თბილისის გეგმაზე ნიკოლოზის ეკლესია დატანილია (ასო c-ს ქვეშ).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის სხვა, ვახუშტის შემდეგდროინდელ, გეგმებში ციხის ტერიტორიის მოზღუდულობა ერთგვარი განსხვავებითაა მოცემული. ციხის ის კედელი, რომელიც წავკისის (დაბახანის) ხევის მარცხენა ნაპირს მიჰყვება, ვახუშტის გეგმის მსგავსად. მტკვრამდე მოდის. მაგრამ მეორე კედელი სხვა გეგ-

---

[132] საქ. ცენტ. ფონდი 1450. დავთარი 52. საბ. № 92,

[133] საქ. ცენტ. ფონდი 1450. დავთარი 52. საბ. № 96,

[134] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941., გვ. 52.

[135] ვახუშტის გეგმის ეს ნაწილი დეტალურად აქვს გარჩეული ვ. ბ ე რ ი ძ ე ს. იხ. ანალები... გვ. 138. ჩვენც აქ ვსარგებლობთ მისით.

[136] აღწერა... გვ. 52.

[137] ანალები... გვ. 138.

მებზე თათრის მოდნამდე მოდის, უფრო ზუსტად: ციხისდიდის ეკ-ლესიამდე, ამის ქვემოთ კი, მტკვრისაკენ, აღარა გრძელდება. (პიშჩე-ვიჩი, ბანოვის 1809 წლის გეგმა.) ვახუშტის მსგავსად აქვს წარმოდ-გენილი ქალაქის მოზღუდულობა პუპლია ორბელიანს: „სამხრეთის მხარეს შეივლის მთა მაღალი, ...იქით მხარეს ფრიალოა, ღრმა კლდე, რომელზედაც გავლებული იყო განიერი და მაღალი კედელი, რო-მელსაც ამის თავსა და ბოლოსა ჰქონდა სიმაგრენი დიდი. დასავლე-თის მხარეს კლდეზედ უფრო ნაკლები სიმაგრე... და აღმოსავლეთის კლდეზედ დიდრონი ბურჯები... კოშკებითა. საიდგანაც დიდი შენობა ესე ორ ტოტად ჩამოიყოფოდა: ერთი ქალაქის მხარეს ქალაქს ჩამოებ-ჯინებოდა და მეორე პირდაპირ მტკვარსა“[128].

ასეთია ქვემო უბნის შემადგენელ ნაწილთა მოკლე დახასიათე-ბა.

II. ტფილისი, აბანოების უბანი, სეიდაბადი

ქვემო უბნისა და ციხის უბნის შემდეგ, მტკვრის დინების დაღმა მდებარეობდა ქალაქის უძველესი ნაწილი, საკუთრივ ტ ფ ი ლ ი ს ი, ა ბ ა ნ ო ე ბ ი ს უ ბ ა ნ ი და ს ე ი დ ა ბ ა დ ი.

ა ბ ა ნ ო ე ბ ი ს უ ბ ა ნ ი ძირითადად წავკისის ხევის ბოლო წელზე იყო გაშლილი, განსაკუთრებით ხევის მარჯვენა ნაპირზე. ეს უბანი 1800 წლის გეგმაზე რომაული ციფრი V-ითაა აღნიშნული. ამ ხევისა და მტკვრის შესართავის აღმოსავლეთით, მტკვრის დინების პარალელურად განლაგებული იყო სეიდაბადი და ორთაჭალის ბა-ღები (ამ ბაღთა მფლობელები ძირითადად თბილისის მოქალაქეები და ზოგ შემთხვევაში წავკისელი ან კრწანისელი გლეხები არიან.).

ვახუშტი ამ ადგილებს ასე აგვიწერს: „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი... აქ დასხნა შასეფიმ სეი-დნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“. „არიან მსახლობელ-ნი ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი“[1].

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალაც ადასტურებს ვახუშტის ამ ნათქვამს, რომ ციხესა და სეიდაბადში მაჰმადიანი სპარ-სელები ცხოვრობდნენ უმეტესად.

ერთადერთი გზა, რომელიც სეიდაბადს და აბანოების უბანს ქალაქთან აკავშირებდა, შემოდიოდა ციხეში ე. წ. აბანოს კარით (№ 20 1800 წლის გეგმაზე). აბანოს კარის წინ წავკისის ხევზე გადე-

---

128 ალ. ჯ ა მ ბ ა კ ურ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ძველი მოზღუდულობა ქ. ტფილ-ისისა. ხელნ. ინსტ. ფ. S 1634 (ფურცელი 29, 30).

1 ალწერა... გვ. 52.

პული იყო ხიდი. ხიდის იქით, ე. ი. სამხრეთით, იწყებოდა გზა, რომელიც ჯერ აბანოების, ხოლო შემდეგ თბილისელთა ბაღების (სეიდაბადის) გავლით მტკვრის დინების პარალელურად მიეძართებოდა და მარცხნივ იტოვებდა ორთაჭალის ბაღებს, მარჯვნივ კი — კრწანისისას.

ეს გზა დღევანდელ ქუჩების მიმართულებას რომ შევუფარდოთ, ასეთი იქნება: აბანოების ქუჩა, ახუნდოვის ქუჩა, ტაგი-ზადეს ქუჩა (ყოფილი სურბ-სარქისის), სეიდაბადის მოედანი (ამჟამად ვანო ხუციშვილის სახელობის). შემდეგ ისევ ტაგი-ზადეს (დღეს ბოლნისის ქუჩა) ქუჩა და შემდეგ გორგასლის ქუჩა (უფრო სწორედ ქუჩის ბოლო ნაწილი). ამ ქუჩათა შეხვედრის ადგილს, დღეს რომ 300 არაგველის ბაღია, როგორც შ. მესხია ასკვნის, ხალანაანა ერქვა. ხოლო გორგასლის ქუჩის ის ნაწილი, რომელიც 300 არაგველის სახელობის ბაღსა და თათრის მოედანს შორისაა, XVIII ს-ში და არც მის უწინარეს არ არსებობდა. ეს ადგილები მთლიანად ბაღ-ვენახებს ეჭირათ და მათ შორის მხოლოდ ვიწრო ორღობეები და ბილიკები თუ იყო. ორთაჭალიდან ქალაქში შესვლა შეიძლებოდა მხოლოდ ამ ბაღების ზემოდან მოვლით, ხარფუხის ძირში გამავალი დაღმართისა და აბანოების პირას გამოვლით. 1850 წლის კალენდარი ამ ქუჩას, აბანოების ქუჩიდან რომ იწყება ალმართ-ალმართ და შემდეგ დაბლა ეშვება გორგასლის ქუჩისაკენ, Таможенная-ს უწოდებს (№ 42). ეს სახელწოდება მიუთითებს ქალაქში შემოსასვლელ ამ გზაზე საბაჟოს არსებობას. ამ ქუჩას სურბ-სარქისის ქუჩასაც უწოდებდნენ, რადგან აქ იდგა სურბ-სარქისის სახელობის ეკლესია.

გორგასლის ქუჩის ამ მონაკვეთის გაჭრას კი ვორონცოვს. მიაწერენ. გორგასლის (ყოფ. მიასნიკოვის) ქუჩას ადრე კომუნალური ქუჩა ერქვა, ხოლო ამაზე უწინარეს ვორონცოვისა. პლ. იოსელიანი წერს: „Воронцов для избежания неудобной по крутости своей дороги (იგულისხმება ჩვენს მიერ ზემოთ მოხაზული გზა აბანოებიდან) для выезда за город трассировал новую дорогу, рванув, не трогая садов . . улица эта названная Воронцовской.“[2]

ამ უბნის ძველი მკვიდრი ი. გრიშაშვილი, ძველ ხარფუხელთა მოგონებებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ რაკი ვორონცოვის ქუჩის ადგილას ადრე „მაღნარი ყოფილა უტეხარი“, ამიტომ „სათათრეთში თუ სასომხეთში მიმავალნი ხარფუხის ალმართზე უნდა ასულიყვნენ და მერე დაადგებოდნენ ხოლმე სოღალუხის გზას“[3].

სწორედ ამ გზით შემოიჭრა 1795 წელს თბილისში აღა-მაჰმადხანის ჯარი; აღა-მაჰმად-ხანთან ქალაქის მისადგომებთან შებრძოლე-

---

[2] Пл. Иоселиан, Описание... გვ. 254.

[3] ი. გრიშაშვილი, საგანძოა, გვ. 82.

ბისას ერეკლე II ერთი თანმხლები პირი გადმოგვცემს: „საითაც გა-ბოვიქეცა, წინ ცხენიანმა ჯარმა სოლანლუღის გზიდამ ახლო მომასწრო და ბატონის მიზეზით ძალიან წინაც ვეყავ. გამოიქცა ჯარი და მოგვეყვნენ. რომ მოვედით მელიქის აბანოს ზეით, იმ ვიწროში გავიჭედენით, ერთმანერთი ალარ ვაუშვით... როგორც იქნა ქალაქს შემოვასწარ"[4].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახუშტის თქმით, ქალაქში აბანოების უბანში ექვსი აბანო იყო. 1800 წლის გეგმა აქ უჩვენებს ოთხ აბანოს (№ 71, 72, 73, 74).

ამ რაიონში ექვსი აბანო ჩანს აგრეთვე 1850 წლისათვის. ესაა ორბელიანის, სიონის, სუმბათოვის, მელიქოვის, ყოფ. სახაზინო-ზუბალოვისა, თამამშევისა და მირზოევის (აქედან თამამშევის აბანოვორონცოვის ქუჩაზეა, ეხლანდელი ბალნეოლოგიური კურორტის ახლოს, XIX ს-ის 40-იან წლებში აშენებული.). 1850 წლის კავკასიის კალენდარზე დართული გეგმა თბილისისა ამ აბანოთაგან ცხის ყართან ყველაზე ახლოს სიონის, ანუ თბილელის აბანოს (№ 60) უჩვენებს. ამ აბანოს ერეკლეს აბანოსაც ეძახდნენ. ბოლო დრომდე იქ მამაკაცთა საერთო აბანო იყო. იმავე გეგმით თბილელის აბანოს სამხ. დასავლეთით მდებარეობდა მელიქის აბანო (№ 62 გეგმაზე). მელიქისა და თბილელის აბანოების ახლო მეზობლობაზე მ-ტყველებს 1799 წლის მარტის ნასყიდობის წიგნი, რომელშიაც დაბახანის ხევის პირას მდებარე დაბახანის ეუბანი თბილელისა და მელიქის აბანოებს შორისაა ლოკალიზებული[5].

თბილელის აბანოს ჩრდ-ით მდებარეობს სუმბათოვის აბანო (1850 წ. გეგმა, № 61). სუმბათოვების აბანოს მიდამოები XIX ს. დასაწყისში სრულიად ცარიელი ადგილი იყო. ამ ადგილს ერთი მხრივ თბილი წყალი ჩამოუდიოდა, მეორე მხრივ—ციცი. თბილ წყალთან აბანო იყო აშენებული, ცივთან—ბაღები და ვენახები[6]. ეს ადგილები სუმბათაშვილებს ეკუთვნოდათ. XVIII საუკუნეში ამ ადგილებში გამოჩნდა ყიას ვეზირი. მან სუმბათაშვილებისაგან იყიდა აბანოს მიმდგომი ბაღის ნაწილი. 1808 წლისათვის იოანე სუმბათაშვილი აცხადებს, რომ მათი მამაპაპეული ადგილ-მამულის ნაწილი დღესაც ყიას ვეზირის ჩამომავლობას უჭირავსო. მართლაც სუმბათოვის აბანოს კომპანიონად 1822 წლისათვის ჩანს აგრეთვე ყიას

---

[4] საქ. ცენტ. ა. ფ. 226 (1448) № 3545; დაბეჭდილია კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., გვ. 124.

[5] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთ. № 22, საბ. № 126.

[6] საქ. ხ. ი. ფ. Hd. № 5009.

ვეზიროვი[7]. ამ ვეზიროვის წინაპარი ყიას ვეზირი XVIII-ს დასაწყისში გაუკამპანიონდა ყაიბულაშვილ იმამვერდას აბანოს ექსპლოატაციის საქმეში: „ამას წინათ ვეზირი ყიასა ყაიბულაშვილ იმამვერდას... თავის აბანოზედ შეშარიქებოდა. ვეზირს თავისი წყალი ამ აბანოში მოეყვანა“. აცხადებს 1722 წლის განჩინება[8].

მაგრამ სად იყო ყიას ვეზირის აბანო, საიდანაც მან წყალი ყაიბულაშვილის აბანოში მოიყვანა, ან თვით ამ ყაიბულაშვილის აბანო, ეს არ ჩანს. 1722 წლისათვის ყიას ვეზირის აბანოს ნაოხარს ეძახიან[9]. ამ დროისათვის ვეზირის ნააბანოვარში „ამაქანია (საერთო აბანო).

ამავე უბანში არსებობდა აგრეთვე ენალას აბანო. ენალა ქალაქის მელიქად იხსენიება 1655 –72 წლებში. მელიქ ენალამ აბანო ააშენა და შიგ წყალი შეიყვანა დაუთბანის (1564—79) აბანოდან. რომელიც მის დროს გახარაბებული იყო. შაჰნავაზმა (ვახტანგ V) გამოარკვია, რომ მელიქ ენალას აბანო სამეფო აბანოს წყლით არსებობდა, წყალი წაართვა და ხელახლა კარის აბაბოსაკენ გიუშვა. ახლა ენალას აბანო გახარაბდა. ეს აბანო ხელახლა ააღორძინა მელიქ ენალის შვილმა როსტომმა. მას „ნახარალიხანისათვის „სამეფო კარის აბანოდან ერთი თითი წყალი ვთხოვნა“[10]. ამის შემდეგ ეს აბანო მოქმედებდა უკვე შეუფერხებლივ მთელი XVIII საუკუნე მელიქ ენალას აბანოს სახელწოდებით.

ნ. ბადრიაშვილი ენალას აბანოდ მიიჩნევს ეხლანდელ მირზოევის აბანოს. (აბანო № 10) მისი სიტყვით ენალას აბანო იგივე სახაზინო აბანოა, რომელიც XVIII ს-ს ბოლოს თამარ ბეორგი XIII ასულს ეკუთვნოდა. XIX ს-ს შუაწლებში ზუბალაშვილს, ხოლო ბოლოს მირზოევს[11].

აქტებში მოთავსებულ რტიშჩევის ერთი რაპორტიდან იტყვევა, რომ მელიქ ენალას შვილისშვილის შვილი ენალა უშვილოდ გადაშენებულა XVIII ს-ს ბოლოს. მისი აბანო კი მეფე ბეორგი XIII სახასოდ აქცია და დედოფალ მარიამს გადაეცა. XIX ს-ში კი ენალას ცოლისდას წამოუწყია საქმე ამ აბანოს მისთვის მიკუთვნების შესახებ, მაგრამ საქმე წაგო და აბანო ისევ სახაზინოდ დარჩა[12].

ჩვენი საბუთების მიხედვით კი ენალას აბანო დაახლოებით ქალაქიდან მომავალ შარაზე უნდა ყოფილიყო (ე. ი. დღევანდელ

[7] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. წ. II. საბ. № 362.
[8] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის № 104.
[9] იქვე.
[10] დოკ. თბ. ისტ. № 94.
[11] Бадриашвили. Тбилиси, გვ. 179—180.
[12] АКАК, V.

ბოლნისის ქუჩაზე). ერთი საბუთით სეიდაბადში გაყიდული ადგილი ეძიჯნება ერთი მხრივ ქალაქის შარას. მეორე მხრივ ვეზირის სასასლეს და მესამე მხრივ მელიქ ენალას აბანოს[13].

ამ აბანოთა გარდა დოკუმენტები ასახელებენ აგრეთვე მეითარის აბანოს[14]. ბებუთაშვილების პატარა და დიდ აბანოს, პატრუქის აბანოს[15]. გარდა ამისა ციხის აბანოს, რომელიც ერეკლე II 1748 წელს თავის დას უბოძა[16]. ეს აბანო 1796 წელს ერეკლემ „ისევ საჩვენოდ ზავთი გახადა“[17].

სეიდაბადში გარდა აბანოებისა, როგორც ითქვა, ბაღ-ვენახებიც ბევრი იყო. 1645 წლის საბუთით „აბანოებისა და ძველი გალ:ვნის იქით საიონჯე ადგილია“, ხოლო მეორე მხარეს მეითარ მანუჩარის და ხოჯა ბეჰბუდას ვენახები[18]. ბებუთაშვილების მფლობელობას მოგვიანო საბუთებიც ადასტურებენ. 1777 წელს ერთ-ერთმა ბებუთაშვილმა მელიქ ავეტიქამ აქ ციცი წყარო იყიდა[19].

ეს ადგილები ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად სულ განადგურდა და XIX ს-ს დასაწყისისათვის საბუთებში ხშირად გვხდება „სეიდაბადის ცარიელი ადგილები“[20]. ამავე ხანებში აქ, ძველი ბაღების ადგილას, სუმბატოვის აბანოს ახლოს, ჩანს ქარვასლის შენობაც[21]. XIX ს. დასაწყისში ამ ადგილებში გამრავლდა დაბახანის ქარხნები და დუქნები, რადგან „მმართებლობამ ქალაქის სიწმინდისათვის დაბახანა ქალაქიდამ დაითხოვა“. სუმბატოვებმაც თავისი ბაღის ადგილი მტკვრის პირას დაბაღებს მისცეს[22].

სეიდაბადის ბაღ-ვენახები, მტკვრის პირას გაშენებული, როგორც ითქვა, უერთდებოდა ორთაჭალას და მის ბაღებს. სეიდაბადში მტკვრის პირას წისქვილებიც იყო გაშენებული.

ასეთი იყო თბილისის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი.

III. ბარეთუბანი

ბარეთუბანი ეწოდებოდა კალას გარეთ. მის ჩრდილოეთით და დასავლეთით, მდებარე მთელ ტერიტორიას. დღევანდელ ვითა-

---

[13] 1783 წლის დეკემბრის საბუთი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთარი 23, № 121.
[14] ხელნ. ინსტ. ფ. Hd 3487.
[15] საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. № 22. საბ. № 126.
[16] დოკ. თბ. ისტ. № 175.
[17] საქ. ცენ. ა. ფ. 1448. № 9711.
[18] დოკ. თბ. ისტ. № 7.
[19] საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. № 26, საბ. № 87,
[20] ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 5009.
[21] იქვე.
[22] საბ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. № 42, საბ. № 178,

რებას თუ წარმოვიდგენთ, გარეუბანი იყო ლენინის მოედნის, პუშ-კინისა და ბარათაშვილის ქუჩების საზღვრებს გარეთა (ე. ი. ჩრდ. დას.) მხარე.

ვახუშტის გეგმის მიხედვით უკიდურესი წერტილი ამ მხრისაკენ ქაშვეთის ეკლესია, იქვე მდებარე ციციშვილის სასლით, მტკვრისკენ მეფის საასპარეზო და ყაიბულას ბაღია (ე. ი. დღევანდელი 26 კომუნარის ბაღის გასწვრივ რუსთაველის ქუჩამდე ხაზი იყო საზღვარი ქალაქისა).

ტექნიკურად ვახუშტის გეგმის ის ნაწილი, რომელიც გარეუბანს ასახავს, ისევეა შესრულებული, როგორც კალა. აქაც მთელი ტერიტორია მოფენილია წვრილ-წვრილი ოთხკუთხედებით, შენობათა კომპლექსებს რომ გამოხატავენ. ეს უჯრედები გეგმაზე არსად შეთხელებული არ არის და სრულიად არა გვხდება მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ავანაათ ხევი და ეკლესიათა მიმდგომი სივრცეები იგულისხმება. უჯრედების ეს მიჯრა ქაშვეთის ეკლესიას ებჯინება. ხოლო თვით ქაშვეთის მიდამოები სრულიად ცარიელია გეგმაზე. ეს გარემოება უნდა მიუთითებდეს გარეუბნის ისევე მჭიდროდ დასახლებულობაზე, როგორც თვით ქალაქისა. ამავე რუკაზე დღევანდელი ველიამინოვის ქუჩის ზემოთა ტერიტორია მთლიანად ბაღებით დაფარულად არის წარმოდგენილი. ამ მხარეს მხოლოდ ერთი შენობა ჩანს—ბეჟანის ქარვასლა (№ 37), რომელიც ვ. ბერიძის თქმით დღევანდელი თბილისის საბჭოს შენობის ადგილას მდგომად უნდა იგულისხმებოდეს[1].

გარეთუბნის მჭიდროდ დასახლებულობის შესახებ მარტო ვახუშტის გეგმის ტექნიკური მხარე როდი მეტყველებს. დოკუმენტური მასალაც ასევე გარეთუბანს მეტად მჭიდროდ დასახლებულს წარმოგვიდგენს. 90-მა მშვიდობიანმა წელმა თავისი კვალი დააჩნია თბილისსაც. თბილისის ფარგლები გაიშალა, მოსახლეობა ქალაქის გალავნიდან სულ უფრო შორს მიიწევს ჩრდილოეთისაკენ. ქალაქელები ბაღებსა და ვენახებს, ყანებსა და ბოსტნებს აშენებენ ქალაქის მჭიდროდ დასახლებულ კვარტალებს იქით. XVII—XVIII საუკუნის მიჯნისათვის თბილისის ჩრდილოეთით, მდ. ვერეს აუზი თბილისელთა ბაღ-ვენახებს, წისქვილებს და ყანებს უჭირავთ. XVII საუკუნეში უკვე ჩანს ვერეზე ხოჯა ბეჰბუდასაგან ვადებული ხიდი[2]. ხოლო

---

[1] ვ. ბ ე რ ი ძ ე, XVIII საუკ. თბილისი... ანალები.., გვ. 135.
[2] დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, გვ. 279.

აქეთ და იქით ბებუთაშვილების თუ სხვათა ადგილ-მამულებია. აქვეა წისქვილებიც

ასალი ადგილების ათვისება ქალაქს გარეთ ხდებოდა. ერთი მხრივ ბაღ-ვენახებისა და მეორე მხრივ, სასაფლაო-ეკლესიების აშენების გზით. თბილისელები ჩეხავენ ქალაქგარეთ მდებარე ტყეებს, ავაკებენ კლდოვან ზედაპირს. გამოჰყავთ მთიდან წყალი არხებისა თუ მილების საშუალებით და უშენ ადგილებს ბაღად აქცევენ. ჩვენამდეა თბილისელთა ამგვარი საქმიანობის ამსახველი არაერთი საბუთი.

ერთი ასეთი, ასე ვთქვათ კოლონიზატორი, იყო ზირკინაანთ მიღდისი საკა. ამას XVIII საუკუნის დასაწყისში, საბუთის სიტყვით რომ ვთქვათ, „ქაშვეთის იქიდამ თავიანთვის სასაფლაო ეკლესია რომ აუშენებია. გარშემო ბაღები ადგილებით და წყლით[3]", „დიდის ხარჯით შორე კლდიდან ქვიტკირის მილებით წყალი ჩამოეტანა ეკლესიაში და ბაღებიცა და აუზებიც ვაუკეთებია"[4]. ზირკინაანთ საკასაგან აშენებულმა ეკლესიამ, ე. წ. ზირკინაანთ ეკლესიამ, ბოლო დრომდე იარსება. იგი მდებარეობდა დღევანდელი „ზარია ვოსტოკის" რედაქციის უკან, ძველ კომენდანტის (ახლანდელ გრიბოედოვის) ქუჩაზე. ამ ეკლესიის აგების თარიღად ერთი-ერთი უავტორო ხელსაწერი 1717 წელსა სდებს[5]. ბროსეს ამ ეკლესიის შენობაზე წაუკითხავს თარიღი 1713. რაც, მისი თქმით, ამ ეკლესიის აგებას ან განახლებას უნდა აღნიშნავდეს[6]. მაგრამ რაკი ჩვენი საბუთები ამ ეკლესიის აგებას XVIII ს. I მეოთხედში მცხოვრებ ზირკინაანთ საკას მიაწერენ, ამიტომ 1713 წელი უნდა მივიჩნიოთ ამ ეკლესიის აგების (და არა განახლების) თარიღად.

როგორც ზემომოყვანილი ნაწყვეტი საბუთისა აღნიშნავს, ეკლესიის გარდა. მის დამაარსებელს აქვე გაუშენებია ბაღები. რომელთა მოსარწყავად კლდიდან მილით წყალი ჩამოუტანია. მილით ჩამოტანილი წყალი, როგორც წესი, სპეციალურ აუზში გროვდებოდა, აქედან კი ბაღები ირწყვებოდა. ზირკინაათ წყალი და აუზი ერთადერთი არ იყო ამ ადგილებში. ერთ-ერთი ასეთი აუზი ზირკინაანთ ეკლესიის თავში, მის მაღლა იდგა ლოინანთ სიმოვანას ბაღში. ეს ბაღი დაახლოებით დღევანდელი ალ. ჰავჰავაძის და გრიბოედოვის ქუჩების კუთხეში იყო. ამ ლოინანთ სიმოვანასაც „დიდი ძალის თეთრის დახარჯვით" „კლდიდამ წყალი... ძირს ჩამოუტანია და აუზი აუშენე-

---

[3] საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. № 41. საბ. № 250.

[4] 1792 წ. 1-ის საბ. საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. № 52. საბ. № 98.

[5] ხელნ. ინსტ. ფ. S № 3034.

[6] Brosset. Rapports... 2 livraison. 1850. Cinquième rapport გვ. 6.

ბია და ბაღი გაუკეთებია... და ალიზის ვალავანი შემოუვლია"[7]. ეს ადგილი შემდეგში ხშირად საქეიფოდაც ყოფილა გამოყენებული.

„ზირკინაანთ საყდრის თავში ჰაუზი რომ არის, იქ ბევრჯელ გვა-სომს და რომელნიცა ხანდაქმულნი კაცნი იქმნებიან. ისინი თასს ხელთ დაიჭერდნენ და ლოინანთ სიმოვანას შენდობას ეტყოდნენ. წყალიც იმის ნასყიდი და გაკეთებულია და ეს აუზიცო"[8]. იგონებს ივანე პენტელაშვილი.

გარეთუბანში ჩნდება თავადთა და ბატონიშვილთა საცხოვრებლებიც. მაგალითად, ხორამზე ბატონიშვილმა 1712 წელს იყიდა სახლი გარეთუბანს[9], გარეთუბანშია მუხრან-ბატონის სასახლეც. რომლის ტერიტორია XVIII ს-ში სულ იზრდება მეზობლების ხარჯზე. გარეთუბანშია აგრეთვე საბაგურეს მეზობლად (ყაბასთან) რევაზ ხერხეულიძის, გედევან აბაშიძის, ციციშვილის, შერმაზანაშვილის, თუმანიშვილის სახლები[10]. აქვეა ამილახვართა საერთო საგვარეულო საბახლე. აგრეთვე გარეთუბანშია ვახუშტის გეგმით ციციშვილისა და არაგვის ერისთავის სასახლეები.

მაგრამ მოსახლეობის სწრაფვა გარეთუბნის საზღვრების გაფართოებისა და შორს წასვლისაკენ ოსმალთა ბატონობამ შეაფერხა და მრავალი წლით შეაჩერა.

თბილისურ დოკუმენტებში ასახულია ოსმალთა შემოსევის მძიმე შედეგი თბილისისათვის და განსაკუთრებით გარეთუბნისათვის. საბუთებში არა ერთგზის იხსენიება ურუმობაში გარეთუბნის დაქცევის ფაქტი. „გარეთუბანი დააქცევეს ურუმებმა, როცა ქართლი დაიპყრესო"[11]. ოსმალთა სისასტიკის შედეგად „გარეთუბანი აიყარა და ქალაქში შემოვიდა". ოსმალოებმა გარეთუბნის ბევრი სახლი დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს.

ოსმალოთაგან მიწასთან გასწორებულად მოიხსენიება. მაგალითად, ციციშვილის მამული გარეთუბანში. ამ ადგილის მიჯნებად მოხაზულია შუა კარი, ხელმწიფის ბურჯი და ხევის (—ავანაანთ) პირი. ეს ადგილი დაახლოებით იქ იქნებოდა, დღეს რომ პუშკინის ქუჩა ბარათაშვილის ქუჩას უერთდება. ეს ადგილი. საბუთის სიტყვით, „ოსმალებს გაესწორებინათ"[12] და დიდი ხნის ვანმავლობაში ცარიელი იყო. ავანაანთ ხევის მარჯვენა მხარესა და ქალაქის ვალავანს

---

[7] 1802 წ. სამ. საქ. ცენ. ა. ფ. 226. № 7752.

[8] იქვე.

[9] დოკ. თბ. ისტ. № 77.

[10] დოკ. თბ. ისტ. № 97.

[11] 1786 წ. სამ. საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. № 2. სამ. № 115.

[12] საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთარი № 7, საბუთი № 74.

შორის არსებული ტერიტორია მიწასთან გასწორებული და გავერანებულია. ამ ადგილებში მოსახლეობა მხოლოდ 70-იან წლებში იკიდებს ხელახლა ფეხს და იმდენად მივიწყებულ-მიტოვებულად ჩანს აქაურობა, რომ ქირა ვის აძლიონ, არც კი იციან[13].

თუ ქალაქის გალავანთან მიყუჟულ უბანს ეს დაემართა, ადვილი წარმოსადგენია როგორ გავერანდებოდა გარეუბნის უფრო მოშორებული ადგილები. საბუთებში 70-იან წლებამდე ამ ადგილებში მრავლად ჩანან „ნასახლარები", „ხარაბა ადგილები", ნაეენახრები და სხვ.

ზირკინაანთ ეკლესია, მაგალითად, მთლიანად გახარაბდა, იქვე გაშენებული ბაღები მინდვრად იქცა, წყლის მილები და აუზები დაიმტვრა მიუხედავად იმისა, რომ აქაურობის პატრონი ცოცხალი იყო. მაგრამ ვერც ზირკინაანთ ტერ-საკამ და ვერც მისმა შვილმა გასპარამ ვეღარ მოიბერბეს დანგრეულის განახლება. აქაც, ისევე როგორც გარეუბნის სხვა ნაწილებში, ცხოვრების ხელახალი აღორძინება 60-იანი წლების ბოლოდან იწყება. 1768 წელს ზირკინაანთ ოჯახს ზედსიძედ შემოყავთ ტერ-არაქელა და მას ზირკინაანთ სასაფლაო ეკლესიისა და ბაღების განახლებას ავალებენ[14]. მაგრამ საერთო პირობები იმდენადაა შეცვლილი, რომ ეს საქმე ვერც ამ ტერ-არაქელამ შესძლო მარტოკამ და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ, 1792 წელს სხვა სამღვდელო პირნაც გაიამხანაგა და საერთო ძალით, განსაკუთრებით კი მოსახლეობის დახმარების იმედით, „ამ ეკლესიისა, წყლისა და ბაღების შენობას ხელი მიჰყო"[15].

ოსმალთა შემოსევის შედეგად ასევე გავერანდა ზირკინაანთ ეკლესიის ზემოთ, მის სამხ. დასავლეთით მდებარე ლოინანთ ბაღი თავისი სარწყავი მილებითა და აუზით. ოსმალებმა დაანგრიეს არაგვის ერისთავთა სასახლეც, რომელიც ვახუშტის გეგმაზეცაა დატანილი და ვ. ბერძენიშვილის დაკვირვებით დღევანდელ მეუზეუმის ადგილას იყო. ერთი საბუთის მოწმობით „ურუმებმა რომ ქართლი დაიჭირეს, გარეთ უბანი დააქცევეს, ერისთავის სასახლეც დააქცევეს"-ო. ამის შემდეგ არაგვის ერისთავს სასახლე აღარ ჰქონია თბილისში. როცა მომდევნო ხანებში თბილისში ჩამოვიდა ავთანდილ არაგვის ერისთავი, ის იძულებული იყო თავისი სიძის გიორგი ორბელიანის სახლში გაჩერებულიყო, სადაც თითქმის ორი წელი დაჰყო (1786 წ. საბ. საქ. ცენტ. ა. ფ. 1450 დავთ. 2, № 115).

---

[13] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთარი № 7, საბუთი. № 74,

[14] დოკ. თბ. ისტ. № 255.

[15] საქ. ცენტ. ა. ფ. 1450 დავთ. № 52, საბ. № 98,

1785 წელს შედგენილ პიშჩევიჩის გეგმით ავანაანთ ხევის მარცხენა ნაპირს საცხოვრებელი კვარტალები მხოლოდ ამ ხევის ქვედა ნაწილში, ვანქის უბანშია ნაჩვენები.

ალ. ამილახვარის «История георгианская» - გვირკვევს, რომ 1770 წელს ქალაქში შავი ჭირის გავრცელებისას ქალაქიდან დილმისაკენ მიმავალ გზის პირას მუდმივი მოსახლეობა აღარა ჩანს. მისი სიტყვით ამ გზის პირას კარვებში ცხოვრობდნენ შავი ჭირის შიშით ქალაქიდან გამოქცეულები „все обывватели, выехавшие по вышесказанной причине (ე. ი. შავი ჭირის გავრცელების გამო) из города жили круг оного на поле в палатках"[16].

საერთოდ კი დასახლებული კვარტალები არც ვახუშტის დროს (ე. ი. ოსმალობამდე) ქაშუეთის ეკლესიას არ სცილდებიან.

ახლა რას წარმოადგენდა თვით გარეუბანი.

საერთოდ გარეუბანში ოსმალობის შედეგად გავერანებულ ადგილთა ხელახლა ამოჩენება XVIII საუკუნის 60-70 წლებზე მოდის. ამ ხანებში ხდება ნასახლარ-ნაბაღარების შეპყრობა, ნაობარ ადგილების ძველი პატრონების გამოჩენა და სხვა. მაგრამ, როგორც ჩანს, გარეუბნელ პირობებში ისეთია, რომ მოსახლეობა ვერ ახერხებს ოსმალობის წინადროინდელ ვითარების აღდგენას. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა კი გარეუბნის ხელახალ ზრდას ისევ აჩერებს.

გარეუბნის ტერიტორია, თავის მხრივ, კიდევ იყოფოდა მიკროტერიტორიებად, უბნებად.

ვიწყოთ მტკვრის პირიდან და ამოვყვეთ ეხლანდელ პუშკინის ქუჩას.

როგორც ითქვა, ქალაქიდან გარეუბანში გამომავალი ყველაზე ქვედა კარი, მტკვრის პირთან უახლოესი. იყო „დაბლა კარი", „ქვემო კარი", იგივე „წყლის კარი". წყლის კართან (ისევე როგორც სხვა კარებთან). გალავანში დატანებულია ბურჯი. სწორედ ამ ბურჯთან იყო მიშენებული მუხრან-ბატონთა სასახლე. ამ სასახლის ტერიტორია მთელი XVIII ს. მანძილზე სულ იზრდება მეჯობლების ბარჯზე. მუხრან-ბატონები ხდებიან ამ ადგილების ერთად-ერთ მფლობელებად და სწორედ ამიტომ გარეუბნის ამ ნაწილს მუხრანთუბანი შეერქვა თანდათანობით. მუხრანბატონთა სასახლემ, მრავალჯერ შეკეთებულმა და გადაკეთებულმა, იარსება XIX ს.-ის მეორე ნახევრამდე. იგი მდებარეობდა დაახლოებით დღევანდელ ჩახრუხაძისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში[17]. აქედან დაწყებული, მტკვრამდე,

---

[16] История георгианская, გვ. 86.

[17] ამ სახლის მოდელი, ნაბატოვის მიერ შესრულებული, დგას თბილისის მუზეუმში.

ავანათ ხევის ორივე ნაპირას მდებარე ტერიტორია მუხრან-ბატონებისა იყო. შემდეგში, ავანათ ხევის ადგილას გამავალ ქუჩასაც მუხრანსკის ქუჩა ეწოდებოდა (დღევანდელი ბარათაშვილის), მუხრანსკის სახელი შეერქვა აგრეთვე ამ ქუჩის ბოლოს მტკვარზე გადებულ ხიდსაც.

მუხრან ბატონიანთ უბნის ჩრდილო და ჩრდილო დასავლეთით მდებარეობდა ვანქის უბანი. ამ უბანს სახელი შეერქვა სომეხთა მონასტრის ვანქისაგან. ეს უბანი 1800 წლის გეგმაზე აღნიშნულია რომაული ციფრებით VII და VIII. თვით ვანქი დღევანდელ არეულის ქუჩაზე იდგა, დღეს აქ სომხური საშუალო სკოლის შენობაა და სამრეკლო. ვანქის დასავლეთით სომეხთა სასაფლაო იყო; ამ სასაფლაოს, როგორც ეს ვახუშტის და პიშჩევიჩის გეგმებიდან ჩანს, საკმაო ადგილი სჭერია. ხოლო თვით ვანქის სამხრეთით მდებარე ტერიტორია საკმარისად მცირეოდ დასახლებული ყოფილა. ამასვე მოწმობს დოკუმენტური მასალაც.

ვანქის უბნის გვერდით, მტკვრის მიმართულების აღმა, გაშლილი იყო ორბელიანთა უბანი. ჩვენ ზევით ვამბობდით, რომ ორბელიანები ცხოვრობდნენ ბატონის შოედანთან. ამავე დროს ამ საგვარეულოს წევრები ადგილ-მამულს იძენენ აგრეთვე ქალაქს გარეთაც. ვარეუბანში, მტკვრის პირას, აქ მათი გაფართოება განსაკუთრებით XVIII ს-ში ხდება.

ეს ადგილები აღრე, როგორც ჩანს, სამეფო საკუთრებას შეადგენდა. ვახუშტის გეგმით, აქ მდებარეობდა „მეიდნის სასახლე" (№ 27), საასპარეზო (№ 28) და მეფის საბაზიერო (№ 30) შენობა. მაგრამ ვახუშტის მომდევნო ხანებში ამ მიდამოებში ორბელიანები ჩანან. 1751 წლის 9 იანვრის წყალობის წიგნით თეიმურაზ მეორემ სარდალ რევაზ ორბელიანს სასახლის ადგილი უწყალობა. ამ სასახლის ადგილმდებარეობის შესახებ საბუთში შემდეგია ნათქვამი: „მოგვიდექით კარსა და ქალაქის გ ა რ ე თ უ ბ ა ნ ს სასახლის წყალობას დაგვეჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ გ ა რ ე თ უ ბ ა ნ ს მ ე ი დ ნ ი ს პ ი რ ზ ე დ ჩვენი სახასო სასახლის ადგილი, რაც დღეს გალავანი აგლია, შიგ გალავანში თავისის საყინულითა. ერთი გვერდი მტკვრის რიყის მიდგმამდია. მეორე გვერდი მეიდნის მიდგმამდის. ბოლო რაც დღეს კედელი არის გავლებული, ისე გადასწვრივ მტკვრის მიდგმამდის და თავი მტკვრისკენ, მოგლეჯილს ფლატესთან რომ ლურჯი კლდე არის და გალავანი მიადგამს, იქამდის"[18].

---

[18] დოკ. თბ. ისტ. I, № 191.

ამ წყალობის წიგნით ორბელიანებს ებოძათ ტერიტორია მეიდანსა (ე. ი. ყაბახს—26 კომუნარის ბაღსა) და მტკვარს შუა. ეს ადგილი, როგორც საბუთიდან ჩანს, გალავნით ყოფილა შემოზღუდული და ადრე „სახასო სასახლის ადგილად“ ითვლებოდა.

ჩვენამდე მოაღწია ორბელიანთ მამულის ამ ზღურბლის ერაკლი ნანვრეევმა და აგრეთვე ორბელიანთ კარის ეკლესიამ. ხოლო თეიმურაზისაგან ნაწყალობევ სასახლის ადგილას შემდეგში გრიგოლ ორბელიანის სახლი იდგა. დღეს ეს შენობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებას უჭირავს. თეიმურაზისაგან ნაწყალობევი ამ სასახლის ადგილი ვახუშტის გეგმისეული „მეიდნის სასახლე“ (№ 27) უნდა იყოს. ვახუშტის გეგმაზე მეიდნის სასახლე და ქაშვეთი ერთ ხაზზე მდებარეობენ. ამ ნიშნით ქაშვეთიდან სწორ ხაზზე მტკვრისაკენ სწორედ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობა მდებარეობს. ორბელიანთა უბანში, რასაკვირველია, მარტო ორბელიანები არ ცხოვრობდნენ. მაგალითად, 1786 წელს ჩანს ჯალათანთ ოსეფას ქალი, რომელიც ყაფლანის შვილ ზაალს სახლისა და ბაღის ალაგს ედავებოდა მტკვრის პირას[19].

ორბელიანთ უბანს სამხ. აღმოსავლეთიდან ვანქის უბანი ესაზღვრებოდა. თამაზ ორბელიანის სახლი, მაგალითად, ვანქის ტერ-ყაზარას სახლს ემეზობლებოდა[20].

ორბელიანთა უბნის დასავლეთი საზღვარი ყაბაური იყო. (ვახუშტის გეგმა № 28, პიშჩევიჩის გეგმა № 75, 1800 წ. გეგმა—Плошадь Кабахи). ყაბახი დოკუმენტებში უფრო ხშირად მოხსენებულია როგორც „გარეთუბნის მოედანი“. ქალაქიდან ამ მოედნამდე გზა შუა კარის ქვემოთ. ავანანთ ხევზე გადებული ხიდით და შემდეგ ვანქის სასაფლაოს ზემოდან (დასავლეთიდან) მოვლით მიდიოდა. სწორედ ასეა ეს გზა ვახუშტის გეგმაზე აღნიშნული. დოკუმენტური მასალა ამ გზის ნიშანდობლივ აღწერილობას იძლევა. მაგალითად, გიორგი ამილახვარი 1709 წელს ჯვარიმამას წირავს ადგილს, რომლის ადგილმდებარეობა შემდეგნაირად არის აღწერილი: „ჩვენი... ნასყიდი ადგილი, ქალაქს გალავანს გარეთ, ხევის გაღმა, მოედნისაკენ ხიდი და გზა რომ გავა, ვანქს სასაფლაებთან აქათ, ქალაქისაკენ, სიგძე ადლი 45, განი ადლი 25“[21]. ეს გზა ქალაქიდან ვანქისა და მოედნისაკენ, ავანანთ ხევის პირას მიემართებოდა, შემდეგ კი მტკვრისაკენ ეშვებოდა დიაგონალურად. ამ გზას ვანქის გზა ერქვა. ვანქის

---

19 საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. № 2, საბ. № 184.

20 1786 წ. 10. XI-ის საბ. (საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთარი № 2, საბ. № 114,

21 საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. № 51, საბ. № 191.

გზის პირას ადგილი ჰქონდა ზემოთ ხსენებულ გიორგი ამილახვარს „გარეთუბანში... შუაკარის ხიდის გზის პირზე მიკრული“, „ერთი გვერდი ვანქის წყლის გზა რომ ხიდის სისწვრივ, მეორე გვერდი სასაფლავო, მესამე გვერდი... ოდელასშვილის მიწა, მეოთხე გვერდი ვანქის გზა რომ ხევის პირია“[22]. ეს გზა („ვანქის გზა“) მოედნისაკენ მიემართებოდა დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის, კოლმეურნეთა მოედნის და პრესის ქუჩის ადგილას.

გარეთუბნის მოედანთან, როგორც ჩანს, ყოფილა საქურო[23] ან სააგურე[24], აგურხანა ყაბახ ქვეშ[25]. მოედნის ანუ ყაბახს აქეთ, მტკვრის აღმა, ვახუშტის გეგმა უჩვენებს გრძელ ოთხკუთხედად ყაიბულას ბაღს. ესაა ამ რუკაზე უკიდურესი წერტილი ქალაქისა ჩრდილოეთით. ყაიბულას ბაღი ჩანს საბუთებშიაც, ჩვენამდე მოაღწია 1712 წლის ნასყიდობის წიგნმა, რომლითაც ყაიბულანთ ქაიხოსრო ყიდის „ბაღს ყაბახს. ზეით“. (დოკ. თბ. ისტ. № 78).

საბუთებში ხშირად იხსენიება ბოშის უბანი. იგი მოთავსებულია გარეუბანში. შუა კარის მიდამოებში. ბოშის უბანი ქრონოლოგიურად პირველად 1725 წელს გვხდება[26], შემდეგ 1738 წელს[27], 1745 წელს[28], 1785 წელს[29] და ბოლოს გვხვდება XIX საუკუნეშიაც, 1810[30] და 1815[31] წლებში. უმეტეს წილად ეს უბანი სახელდებულია როგორც ბოშის უბანი, ზოგჯერ კი თანსდევს სახელიც, მაგალითად, ბოშა მურადანთ ფიროანი სახლი[32], ან ბოშის შვილი სოსიას სახლი[33]. მაგრამ ამ უბნის სალოკალიზაციოდ მხოლოდ ერთი ორიენტირი გვაქვს. ესაა თეკენამის ეკლესია. თეკენამის ეკლესია ბოშის შვილის. სახლთან მდებარედ არის მოხსენებული (1815 წ. საბ.), მაგრამ რომელია თეკენამის ეკლესია? ეს ეკლესია გვხვდება 1789—1815 წლების შუალედის საბუთებში. ამასთან ამ ეკლესიის ხსენების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნათქვამია, რომ იგი გარეთუბანს მდებარეობს. თეკენამის ეკლესია როგორც გაუქმებული, დატანილია

---

22 საქ. ცენტ. ა. ფ. 1448, № 4646.
23 1787 წ. საბ. საქ. ცენტ. ა. ფ. 1450. დავთ. 48. საბ. № 45.
24 დოკ. თბ. ისტ. № 97.
25 საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთარი № 42, საბუთი № 198.
26 იქვე, დავთ. 23. საბ. № 102.
27 საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთარი № 32, საბ. № 34.
28 იქვე, დავთარი 33 № 303.
29 იქვე, დავთარი 7, № 90.
30 საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთარი 55, № 42.
31 იქვე, დავთარი 55, № 43.
32 საქ. ცენტ. ა. ფ. 1450, დავთარი 7, № 90.
33 იქვე, დავთარი 55, № 42.

1828 წ. გეგმაზე იმ ადგილას, სადაც დღეს ბარათაშვილის ქუჩაზე გამავალი დიდი სახლი დგას. ამ ეკლესიის არსებობის ნაშთია Тенешамский переулок რომელიც ბარათაშვილის ქუჩის პერპენდიკულარი იყო და გამოდიოდა ეანქის (დღეს გოგჩის) შესახვევში. თეკენამის შესახვევმა ჭანეთის შესახვევის სახელწოდებით იარსება ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე, როცა მთელი ეს მიდამოები დაინგრა ახალი სახლის ასაგებად.

შემდეგი უბანი გარეუბნისა შუა კარის მიდამოები იყო. (შუა კარი პუშკინის ქუჩის ბოლოს იყო დაახლოებით). შუა კართან მდებარეობდა ბერძენი ბანიათას პურის ფურნე. შუა კარის პირდაპირ დღევანდელი ხელოვნების მუზეუმისა და მისი მიმდგომი ადგილები ვახუშტის გეგმით ერთიანად დასახლებულია, სახლების მიჯრას წარმოადგენს. ეს მიჯრა სახლებისა ვახუშტის გეგმით იყოფა პატარა ქუჩით, რომელიც შუა კარიდან არაგვის ერისთვის სასახლემდე მიდის და იქ დიღმის გზას უერთდება. არაგვის სასახლე დაახლოებით დღევანდელ მუზეუმის ადგილას იყო.

მეორე ქუჩა შუა კარიდან მის ხელმარცხნივ (ზურგით ქალაქისაკენ) მიდიოდა, აწინდელ პუშკინის ქუჩის მიმართულებით, ლენინის მოედნამდე. აქ ეს გზა კვეთავდა კოჯრის ანუ ზემო კარიდან მომავალ გზას. ამ გზაჯვარედინიდან ერთი გზა კოჯრისკენ მიდის, დღევანდელი კიროვის ქუჩის მიმართულებით, მეორე—დიღმისაკენ. რუსთაველის პროსპექტის გზით.

რას წარმოადგენდა გარეუბნის ტერიტორიის ის სამკუთხედი, რომელიც პუშკინის, რუსთაველის და მუზეუმის ქუჩებს შორის მდებარეობდა? ამ მხარეში ვახუშტი ორ ობიექტს ანსხვავებს სხვა შენობათაგან. ესაა სომხის საყდარი (№ 36) და არაგვის ერისთავის სასახლე. (№ 35). ეს სასახლე, როგორც ითქვა, ოსმალებმა დაანგრიეს, ხოლო სომხის საყდრის ქვეშ იგულისხმება ქამაანთ საყდარი. ქამაანთ საყდარი მდებარეობდა ნატო ვაჩნაძისა და რუსთაველის ქუჩების კუთხეში. ეს ეკლესია დაანგრიეს 1927 წელს. დღეს ამ ადგილას ცეკავშირის სახლის ზემო ნაწილია.

საბუთები ქამაანთ (ქამოანცის) საყდრის (რუსები ეძახდნენ Церковь Камоенская) გვერდზე ასახელებენ ლამბარაანთ ქარვასლას. ამ ქარვასლასა და საყდარს შორის გადიოდა ქუჩა, რომელსაც „ქამაანთ საყდრის სათემო ქუჩას“[34] ეძახდნენ. ხოლო თვით ქამაანთ საყდრის პირდაპირ, რუსთაველის ქუჩის მეორე მხარეს, საბუთები ასახელებენ ნაოხარ ადგილებსა და ვენახებს[35].

---

[34] დოკ. თბ. ისტ. № 194.

[35] ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 13103.

ამავე რაიონში მუშაობდა ჭურჭლის ქარხნები. საბუთებიდან ცნობილია, რომ შუა კარის პირდაპირ მდებარე ქუჩის პირას ჩამწკრივებული ყოფილა საჭურჭლე ქარხნები ანუ ქურახანები, თავისი დუქნებით. ამ დუქნების ერთ ნაწილს თანდათანობით იძენს ვანქის ტერ-ყაზარა და მისი ჩამომავლობა (1743 წელს)[36]. 1772 წლისათვის ტერ-ყაზარა უკვე რამდენიმე ქურახანის პატრონია ამ ადგილებში. მან ამ წელს შეისყიდა შიოშ გედევანიშვილისაგან (ქათალიკოსის სარდალი) 2 დუქნის ადგილი, რომლის მიჯნები ნასყიდობაში ასეა განსაზღვრული: „მოვყიდე გარეთუბანში თქვენი ქურახანის მიკრული მახათაძის, ჩემის ყმის, მზითვათ გატანებული ორი დუქნის ალაგი, რომ არის სამძღვარი:... ერთი გვერდი თქვენი ქურახანის კედელი, მეორე, ზეითი გვერდი, მთაწმინდისკენ შენი ქურახანის კედლის მიდგმამდისინ, მესამე გვერდი კედელ რაც შენის ქურახანის კედელი ეაიტანს... წინ შარა"[37].

ქურახანათა ეს რიგი, რომელშიაც ტერ-ყაზარას ასე დიდი ნაწილი ჰქონდა, შუა კარის ბურჯთან იწყებოდა. ბურჯთან მიკრული ქურახანა (იგივე ქეასანა, ქეზანა) ჩანს მაგალითად, 1711 წლის ნასყიდობის წიგნში. ამ საბუთით ირკვევა, რომ ქეზანის თავდაპირველი მესაკუთრე ნაზირ სადუბია, რომელმაც იგი თავის შვილებს ბეჟანსა და მამაშარიფს დაუტოვა. ამათ კი ეს ქეასანა ნაწილ-ნაწილ ეიჰყიდეს ოქოანთ ბეჟუას[38]. შემდეგში ჩანს მის ქეასანასაც ტერ-ყაზარა და მისი ჩამომავალნი - ტერყაზარანთ შექარა და ტერ-ყაზარანთ აღალუა დაპატრონებიან. ტერ-ყაზარანთ აღალოას ხელი (XIX ს. დასაწ.) ნაზირ სადუბის 1716 წლის ქეასანის ნასყიდობის საბუთზე მიწერილია: „ციხის კარის გარეთ რომ ალაგია, ის ქეზანა ყოფილა,.. ახლა გაყრაში ჩვენ გვერგო"[39]. ეს მინაწერი გარდა ტერ-ყაზაროვთა მფლობელობისა ამ ქეასანაზე, იმასაც გვიჩვენებს, რომ მინაწერის გაკეთებისას ეს ადგილი ცარიელი ყოფილა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჭურჭლის ქარხანას ამუშავებს აგრეთვე ნაცვალი იოანე პენტელაშვილი. მისი ქურახანა და იქვე საცხოვრებელი სახლიც მდებარეობდა დაახლოებით კეცხოველის ქუჩისა და ლენინის მოედნის კუთხეში[40]. იოანე პენტელაშვილის თიხის ჭურჭლის ქარხანა აქ 1811 წლამდე მუშაობდა[41].

---

36 დოკ. თბ. ისტ. № 165.

37 ხელ. ინსტ. ფ. Hd № 13074 (1772. 17, IX).

38 დოკ. თბ. ისტ. № 74 და №92.

39 იქვე, გვ. 111.

40 იქვე, № 254.

41 ბ ა ბ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი. კალოუბანი. გაზ. „ახ. კომუნისტი". 13. IV. 1957 წ. № 45.

ჭურჭლის ქარხანათა ეს რიგი იგელისხმება ალ. ამილახვრის „История георгиевская"-ში. როცა 1771 წელს ალ. ამილახვარმა ქალაქიდან გააძარა გაქცეული, მან ქალაქის მცველების თვალის ასახვევად საჭურჭლე ქარხანაში ჭურჭლის ყიდვა მოინიზეა: „пошел к . . к городским воротам, . спрашивая их (караульных) о посудном заводе, которой была за городом"[43].

ეახუბტის გეგმით გალეთებნის დასახლება დაახლოებით სამკუთხა ფორმისაა კალოუბნიდან დაწყებული ქაშვეთამდე. ალეთები ამ ადგილებში საცხოვრებელ სახლთა გარდა, დუქნებსაც ასახელებენ. ქაშვეთის ქუჩაზე გამავალი დუქნები ქმნიან რასტაბაზარს, ანუ ეროელ რიგს სავაჭროებისას. მაგრამ ალა მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად ეს ადგილები გაპარაბდა და ძველი მობინადრეთა გზაკვალის პოვნა ძნელი შეიქნა. ანჩიფანთ სტეფანეს ამ ადგილებში სამი ნადუქნარი ჰქონდა, რომელთა მიჯნებს საბუთი ასე ახასიათებს: „ქვემოთი ზბარე სირაჯი პაპია რომ იჯდა, იმის დუქნის გვერდი, უკან თავისის ოთახებით, რომ ამ ოთახებს კარები უკანადამა ჰქონია ქუჩისაკენ. ზემოთი მზარე ქაშვეთისაკენ. ზემო მარის მომიჯნავე აღარავინ ჩანდა-დიდი ხნის ხარაბა იყო. წინ რასტაბაზარი, პირდაპირ მელიქისა და ჰოწოწანთ დუქნებია"[44].

კალოუბანსა და ქაშვეთს შუა, როგორც ირკვევა, ორი გზა იყო. ერთი დილმის გზა (დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი) და მეორე - ქვეითი ქაშვეთის დუქნების წინ რომ გადიოდა, საბუთის ჩვენებით[44], ეწლანდელ კეცხოველის (ყოფ. ლორის-მელიქოვის, უფრო უწინარეს ატაშანის) ქუჩის ადგილას.

ასეთი იყო საცხოვრებელ უბანთა დანაწილება გარეუბანში. დილმის გზის აღმოსავლეთით, დილმის გზის დასავლეთით კი (ე. ი. მარცანივ, ზურგით ქალაქისაკენ), XVIII ს-ის თბილისში იყო გაშენებული ბაღ-ვენახები, რომლებიც მთაწმინდის კალთებამდე იყვნენ შეფენილნი.

სოლო გარეუბნის იმ ნაწილში, რომელიც ველიამინოვის ქუჩის დასავლეთით იყო გაშლილი, დღევანდელი სოლოლაკის ადგილას, მთლიანად ბაღებით იყო დაფარული. აქ შეიმჩნევა, რომ თუ გარეუბნისა და სეიდაბადის ბაღების მესაკუთრენი უბრალო მოქალაქენი იყვნენ, ამ ადგილებში ძირითადად მეფის ოჯახის და თავადიშვილთა ბაღებია.

---

[43] История георгиевская ... გვ. 85.

[44] 1796 წ. 20 XII-ის სბ., საქ. ცენ. ა. ფ. 226, № 5645.

[44] 1813 წ. VI. ხელნ. ინსტ. ფ. Ad № 1477.

ვახუშტის გეგმით აქ არის მეფის დიდი ბაღი[45] (№ 40), დედოფლის ბაღი (№ 39) და მამასახლისის ბაღი (№ 38). პიშჩევიჩის გეგმითაც ამ ადგილებში ნაჩვენებია მეფისა და დედოფლის ბაღები, ხოლო ავანანთ ხევის ხელმარცხნივ—გიორგი ბატონიშვილის ბაღი.

ვახუშტის გეგმაზე № 41-ით აღნიშნულია ოთხკუთხი შენობა, დაყოფილი პატარა უჯრედებად, რასაც ვახუშტი ამარათს უწოდებს. ამარათი სპარსული სიტყვაა და შენობას ნიშნავს. ამარათი დატანილია კოჯრის გზის ხელმარცხნივ, ე. ი. სამხრეთით, დაახლოებით ამ ადგილას, სადაც დღეს მახარაძის ქუჩა ენგელსის ქუჩას უერთდება. საინტერესოა, რომ ამავე ადგილას პიშჩევიჩის გეგმა უჩვენებს სამეფო რეზიდენციის ნანგრევებს (№ 81). აქედან გამოდის, რომ ვახუშტის ამარათი სამეფო სასახლე ყოფილა, პიშჩევიჩის დროს უკვე ნანგრევებად ქცეული. ქართულ დოკუმენტურ მასალაში ამ სასახლის ნანგრევების ხსენება მხოლოდ ერთხელ გვხვდება. ესაა ერეკლე II 1796 წლის პირველი აპრილის წყალობის წიგნი, ბოძებული ისევ თაყუაშვილისადმი. ამ საბუთით ერეკლე თაყუაშვილს უბოძებს სალალაკის წყლის ძირს მდებარე ნაწისქვილარს, რომლის უკიდურეს მიჯნად საბუთი ასახელებს ამარათის აუზს: „ნაწისქვილარი სამკვიდროთ და საშვილიშვილოთ გვიბოძებია ძველი ამარათის აუზამდინ"[46]. 1796 წლისათვის სახელწოდება ამარათი ისევ შემონახულია, თუმცა ეს ამარათი უკვე ძველია. ეს საბუთი იმასაც გვირკვევს, რომ ამარათის სახელით ცნობილ სასახლის კომპლექსში აუზიცა ყოფილა.

1803 წლის საბუთით დარეჯანი თავის ქალს თეკლეს მზითვის წილ აძლევს ბაღს, რომელსაც ესაზღვრება: ერთ მხარეს ტფილისის გალავანი, მეორე მხარეს მეფის ბაღი, და მესამე მხარეს კლდე.[47] და სწორედ იმიტომ, რომ ამ ადგილებში ბაღები მეტწილად მეფის ოჯახისა იყო, ნასყიდობის ობიექტად ისინი არცა ქცეულან და ამიტომ არც დოკუმენტურ მასალაში ასახულან.

ბაღების ამ სივრცეს დღევანდელი ლენინის მოედნის მხრიდან, ვახუშტის გეგმით, ბეჟანის ქარვასლა უდგას წინ (ბეჟანის ვინაობის შესახებ მოსაზრება ზემოთ გვქონდა გამოთქმული გვ. 26).

ქაშვეთიდან მტკვრის აღმა ტერიტორიაზე, დიღმის გზის ორივე მხარეს, გაშენებული იყო ქალაქელთა ბაღ-ბოსტნები და ყანები, რომლებიც საკმარისად შორს იყვნენ გაჭიმულნი ჩრდილოეთისაკენ და მდ. ვერეს კალაპოტსა და წყნეთის ძირამდე აღწევდნენ. თვით წყნეთშიც ბევრი მიწა ქალაქელისა იყო.

[45] მეფის დიდი ბაღი ვახუშტის გეგმის გამოცემაში ამოკითხულია როგორც მეფის დის ბაღი. (Полиевктов, Натадзе.—Старый Тифлис. 1929).

[46] საქ. ცენ. ა. ფონდი 1450, დავთ. 18, საბუთი. 15.

[47] საქ. ცენ. ა. 1450. დავთარი 55. № 72.

მოსახლეობის ხელახალი სწრაფვა გარეუბნის მხრისკენ მრავალი წლის შეფერხების შემდეგ ძირითადად XVII—XVIII ს-ში ხდება. მაგრამ, როგორც ითქვა, ოსმალთა შემოსევის შედეგად თბილისელები იძულებული გახდნენ გარეუბნის ტერიტორიაზე უარი ეთქვათ და ქალაქის კედლებში შეკეტილიყვნენ. გარეუბანში მეორეჯერ დამკვიდრება XVIII ს. 60-70 იანი წლებიდან იწყება. ამჯერად კი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა გახდა მიზეზი გარეუბნისაკენ მოსახლეობის სწრაფვის შეჩერებისა.

IV. ავლაბარი

ავლაბარი გარეგნულად ქალაქის სხვა ნაწილებსა ჰგავდა. ავლაბარში ორი გალავანი იყო: ერთი მთელ ავლაბრის ტერიტორიას ერტყა გარს, მეორე—მის შიგნით, მეტეხის გარშემო იყო შემოვლებული მტკვრის პირამდე. ვახუშტის გეგმაზე კარგად ჩანს, რომ მეტეხის ვალავანი თბილისის ციხის გალავნის გაგრძელებაა. თბილისის ციხის უბანი და ავლაბრის მეტეხის უბანი ერთი მთლიანი ობიექტია, გალავნით შემოზღუდული. რომელსაც მტკვარი შუაზე ჰყოფს. მტკვარზე გადებული ხიდიც ძირითადად ამ ორ გამაგრებულ პუნქტთა შემაერთებელია[1]. ავლაბრის ამ ორ გალავანთაგან პირველს საბუთები ავლაბრის გალავანს უწოდებენ, ხოლო მეორეს—ქალაქის გალავანს. ეს ორი მოზღუდულობა კარგად ჩანს 1800 წლის გეგმაზე. ამ გეგმაზე ავლაბრის მთელი ტერიტორია აღნიშნულია ციფრით X-ით, ხოლო საკუთრივ მეტეხის ციხის ტერიტორია—ციფრით XI.

თვით ავლაბრის ტერიტორია, ხიდიდან დაწყებული მტკვრის დაღმა, სულ უფრო ფართოვდება.

მეტეხს გარეთ ავლაბრის ტერიტორიაზე ვახუშტის გეგმა ორ ობიექტს უჩვენებს ჩხოლოდ: სომხის საყდარს (№ 57) და ბერძნის საყდარს (№ 58). ბერძნების ეკლესიის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს წმ. მარინეს ეკლესია.

ავლაბრის დიდ გალავანს ჩრდილო მხარეს დატანებული ჰქონდა კარი, ეს იყო ქალაქის მეექვსე კარი „ავლაბრის კარი". აქედან იწყებოდა გზა კახეთისაკენ. ავლაბრის კარიდან შიგნით—ავლაბარში შემავალი გზა, პიშჩევიჩის გეგმით, შუაზე სჭრიდა ავლაბრის ტერიტორიას. ამავე გეგმით. ამ ქუჩაზე მდებარეობდა სანოვაგის ბაზარი. ავლაბრის ეს ბაზარი ხშირად იხსენიება ქართულ დოკუმენტებში[2]. ავ-

---

[1] ბანოვის გეგმაზეც ეს ძალიან ცხადად ჩანს. გეგმა შედგენილია 1809 წ. ინახება თბილისის მუზეუმში.

[2] მაგ., 1770. 2. V. (საქ. ცენ. ფ. 1450. დაეთ. № 5. საბ. № 151).

ლაბარში ყოფილა ქარვასლებიც. ერთ-ერთი ასეთი ქარვასლა ჰქონია ფირაუულანთაც[3].

გზა ქალას ტერიტორიიდან ავლაბარში მტკვარზე გადებული ხიდით მიდიოდა. ხიდიდან მაშინვე იწყებოდა ალმართი, რომელზედაც ღვინით მოვაჭრეთა, სირაჯების, დუქნები იყო და ამიტომ ამ გზას სირაჯხანის უწოდებდნენ. სირაჯხანის გადმონაშთად ჩანს ამ ქუჩის დღევანდელი სახელწოდება Винный ряд. ამ ადგილს ასე აღწერს პუბლია ორბელიანი: „ხიდზე რომ გახვიდოდით და პატარას წაივლიდით, ზევით შარაგზაზე დაგვხვდებოდათ ალაყაფის დიდი კარი. მტკვრის პირის მახლობლად ზომაღლოზედ. რომელსაცა სამხრეთისკენა ჰქონდა განიერი და მაღალი კედელი და ეს კედელი იქვე კარებთან კლდეზე აივლიდა კარგა მაღლა და როდესაც კლდის დასასრულზე დადგებოდით, იქ ნახავდით ზომრგვალოს... მოსწორებულს კლდესა, რომელიცა გადმოჰყურებს მტკვარს მდინარეს ზევით და მთელს ქალაქსაცა. იქ... ეკლესია არის. ...ამ ალაყაფის კარებს შეავლიდა გზა ალმართად და როდესაც ავვალთ. იქ გაივაკებთ მინდვრად. სადაც იმ ვაკეზე დგანან ნაწილნი ტფილისისა, რომელსაცა ჰქვია ავლაბარი"[4].

ამ აღწერილობიდან გარკვევით ჩანს ავლაბრის ტერიტორიაზე ორი მოზღუდულობის არსებობა. ერთი მეტეხის ირგვლივ (ტფილისის გალავანი), ხოლო მეორე დანარჩენი ავლაბრის გარშემო. რომელსაც საკუთრივ ავლაბრის გალავანი ერქვა და იწყებოდა მტკვრის პირის, სირაჯხანის მარცხენე (ზურგით მტკვრისაკენ). ეს ზომენტი კარგად ჩანს დარეჯან დედოფლის ერთ წყალობის წიგნში: „კიბოძეთ ავლაბარში სადუქნე... ადგილი... რომლისაც მიჯნა არის: წინ შარაგზა, რომელიც ქალაქის გალავნით გამოსული შეუდგება ავლაბარს და უკანით გალავანი ავლაბრისა, რომელიცა არს მტკვრისა ანუ რიყის მხარეს. თავს... სხვა დუქანი... და ბოლოს ტფილისის ქალაქის გალავანი, რომელზედაც შიკრულარს იგი ადგილი"[5].

ამ აღწერილობიდან ცხადია, რომ შარაგზა (აქ იგულისხმება დიდი სირაჯხანა), რომელიც ხიდიდან იწყება. ჯერ გაივლის ქალაქის გალავანს და ხელმარცხნივ იტოვებს ავლაბრის გალავანს. ავლაბრის ვალავანი „მტკვრის ანუ რიყის მხარესაა". საბუთის სიტყვით. მართლაც სირაჯხანის ალმართის მარცხენა მხარე. ანუ ალმოსავლეთი — უშუალოდ მტკვარს არ ემიჯნება, სირაჯხანასა და მტკვარს შუა რიყე დევს.

---

[3] 1799 წ. 15. X-ის წყალი. წიგნი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთარი № 26, საბ. № 281.

[4] საქ. ხ. ი. ფ. S 1634.

[5] 1799 წ. 15. X-ის წიგნი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთარი № 26. საბ. № 281,

ამ შარაგზის (სირაჯ-ხანის) ბოლოს, გზის მარჯვენა მხარეს, დარეჯან დედოფალმა აიშენა სასახლე და ეკლესია. ეს სასახლე და ეკლესია დღესაც დგას „ღვინის აღმართის“ მარჯვენა მხარეზე. დარეჯანის სასახლის ბოლოს, მის ჩრდილოეთით, თავდებოდა ტფილისის გალავანი. ამ ადგილას გალავნის კარი იყო, აქედან იწყებოდა ვაკე, საკუთრივ ავლაბრის ტერიტორია. გალავნის ამ კართან ზეთსახდელი იყო, რომელიც 1798 წელს დარეჯან დედოფალმა უწყალობა ოსეფა ყორღანოვს: „გიბოძეთ... სამკვიდრო მამულად ავლაბარში ტფილისის გალავნის კარს გვერდით... ზეთსახდელი... და საბდლის წიხ რაც ცარიელი ადგილია ტფილისის გალავნის კედლამდინ“[6].

ერთი სიტყვით, ტფილისის გალავანი ისანში მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე ციხის გაგრძელებაა და ეს ორი გამაგრებული სიმაგრე ერთად საკუთრივ ტფილისის ტერიტორიას ქმნიდნენ. ვახუშტის გეგმით „ისნის ტერიტორიაზე შემოზღუდულია მხოლოდ მეტეხის ირგვლივ ტერიტორია, ხოლო საკუთრივ ავლაბრის ტერიტორია შემოზღუდული არ არის და მას გარს მხოლოდ თხრილები და ხევები უელის“[7]. პიშჩევიჩის 1785 წლის გეგმაზე კი ავლაბრის მთელი ტერიტორია უკვე შეიოზღუდულია. ავლაბრის ეს ზღუდე განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს 1800 წლის და ბანოვის 1809 წლის გეგმებზე. ავლაბრის გალავანი მე-18 საუკუნის მეორე და მესამე მეოთხედებში უნდა აეგოთ. მაგრამ პირდაპირი ცნობა ამ ფაქტის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

მეტეხის მოზღუდულობას (ტფილისის გალავნის გარდა) ზოგჯერ ავლაბრის ციხესაც ეძახდნენ. ავლაბრის ციხეს, როგორც ითქვა, კარი ჰქონდა დარეჯანის სასახლის ზევით. მაგრამ ერთი საბუთის ცნობით, ამ ციხეს ჰქონია ადრე სხვა კარიც, რომელიც საბუთის შედგენის დროს უკვე ძველ ნაკარევად იხსენიება. ეს ნაკარევი რიყის მხარეზე ყოფილა, ციხის კარის პირდაპირ. ამ ნაკარევის მიდამოებში მიკირტუმ თაყოაშვილმა ვორჯილისა და თოფის წამლის ქარხანა ააგო, აქვე XVIII ს. 70-იან წლებში დუქნებიც გახსნა თოფის წამლის გასასყიდად[8]. თვით მეტეხის ციხე იყოფოდა მაღლა და დაბლა ციხეებად. თეიმურაზის ქართლში გამეფებისას მეტეხის დაბლა ციხე ცარიელი იყო. ციხის კართან სანეხვე იყო. (1782. 25 მაისის საბ. საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. № 11. საბ. № 142). 1782 წლის აღწერა ავლაბარს ორ ნაწილად ჰყოფს: გარეთ ავლაბარი და შიგნით ავლაბრის ციხედ. (საქ. ცენ. ა. ფ. 226 № 1148).

---

6 1798 წ. 3. IX. საქ. ხ. ი. ფ. Hd № 10404.

7 ვ. ბ ე რ ი ძ ე... ანალები, I, გვ. 133.

8 1773. I, აგვისტოს საბუთი. საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. № 18. საბ. № 16,

მე-17 საუკუნიდან შეიმჩნევა ავლაბრის ტერიტორიის ზრდა ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მტკვრის დინების პარალელურად.

სამხ. აღმოსავლეთიდან ავლაბარს ნავთლუღი და დირსიჭალა ემიჯნებოდა. დირსიჭალა მტკვრის პირას იყო, მის მოპირდაპირე მხარეს, ცოტა ზემოთ, ორთაჭალის ბაღები იყო გადაშლილი. დირსიჭალაც ძირითადად თბილისელთა ბაღ-ვენახებისაგან შედგებოდა. დირსიჭალას ზემო ნაწილს ღომელაურის წყალი რწყავდა. ღომელაურის წყალი ითვლებოდა ავლაბრისა და ნავთლუღის საზღვრად[9].

რაც შეეხება ავლაბრის ზრდას ჩრდილოეთისა და დასავლეთით მახათის მთისკენ, აქაც ისევე როგორც გარეუბანში, სასაფლაოები და ეკლესიები კაფავენ გზას. მახათის მთის ქვეშ მე-17 ს-ში სასაფლაოა, რომელსაც როსტომ მეფე „ქალაქის სასაფლაოს" უწოდებს. ამავე დროს ეს სასაფლაო ყოფილა ზარაბთუხუცესის ხოჯა ბეჰბუდას „მამა-პაპათ... ნაქონი მკვიდრი სასაფლაოც"[10]. აქ. ამ სასაფლაოზე, ხოჯა ბეჰბუდამ როსტომ მეფის დასტურით საყდარი ააშენა და ხევიდან წყალიც გამოიყვანა აქაურობის მოსარწყავად. ხოჯა ბეჰბუდასაგან აშენებულმა საყდარმა და სასაფლაომ ხოჯავანქის სახელწოდებით ბოლო დრომდე იარსება. ეს საყდარი ვახუშტის გეგმაზეცაა აღნიშნული (№ 59) მელიქის საყდრის სახელით.

იმავე ხოჯა ბეჰბუდამ სასაფლაოს გვერდზე ბაღიც გააშენა. ამ ბაღის მოსარწყავად წყალი მახათის მთიდან მოიყვანა. ბაღი დატანილია ვახუშტის გეგმაზე (№ 60). ხოჯავანქის ჩრდილოეთით, ბებუთას ბაღის სახელწოდებით. ბაღს გეგმაზე დასავლეთიდან ჩაუდის პუნქტებით აღნიშნული, ქალაქიდან მომავალი გზა, რომელსაც ვახუშტი ლილოს გზას უწოდებს. როსტომ მეფის 1654 წლის წყალობის წიგნიც, რომლითაც მეფე ბებუთას ამ ბაღის მფლობელობას უმტკიცებს, ადასტურებს, რომ ბაღთან ქალაქის შარა გადიოდა. ამის შესახებ საბუთში ნათქვამია: „სასაფლაოს გვერდით საყდრის ზედათ მხარს ბაღის აშენება მოინდომეთ და იმ ალაგსაც გვიაჯენით. შეიწყალეთ და გიბოძეთ წყალი მისის სათავითა. იმას გარეთად მეორე წყალი მახათას ძირიდამე გამოიტანეთ. იმ ბაღის სამძღვარი თქვენი სასაფლაოს მიდგმამდის, ზედათი მბარი ორისავე წყლის სათავემდისინ, ერთის მხარით ხევამდისინ (ეს ხევიც ჩანს ვახუშტის გეგმაზე) და ქალაქის შარის მიდგმამდის და ხატის ღმრთების სალოცავამდი"[11].

---

[9] 1784 წ. 21. ივლისის საბ. ხელნ. ინსტ. ფ. Hd № 13126.

[10] 1654 წლის წყალობის წიგნი, დოკ. თბ. ისტ. № 12.

[11] 1654 წლის წყალობის წიგნი, დოკ. თბ.. ისტ. № 12.

შენობათა გარეგანი სახე, ჭუჩები და ქალაქის ფულით მომარაგება

ეხლა, როდესაც დავამთავრეთ თბილისის ყოველი უბნის საზღვრებისა და ამ უბნებში ძირითად ობიექტთა აღწერა, გადავიდეთ თვით შენობათა გარეგან სახეზე.

მე-18 საუკუნის თბილისის სახლები ძირითადად ორი ტიპისა იყო: დარბაზი და შირვანული სახლი. ჩვენს დრომდე არ მოუღწევია ამ ორი ტიპის არც ერთ სახლს, თუ არ ჩავთვლით ფორაქიშვილების დარბაზს ავლაბარში, მეტეხის ქუჩაზე. მაგრამ ეს დარბაზიც მრავალჯერაა გადაკეთებული და, რაც მთავარია, გვირგვინმოხსნილი და კედლებში ფანჯრებ ჩამატებულია. ამიტომ იგი მხოლოდ ნაწილობრივ წარმოგვიდგენს ძველ თბილისურ ნაგებობათა აგრე გავრცელებულ ტიპს.

ვახუშტი ქალაქურ სახლების შესახებ ამბობს, რომ „სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯით, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული“[1]. ვახუშტის „სპარსული რიგით“ ნაშენი სახლი თბილისური დოკუმენტებით შირვანულია, ხოლო „ქართული რიგისა“—დარბაზი. ძირითადი განსხვავება ამ ორ ტიპის ნაგებობათა შორის გადახურვაში იყო. თბილისური დარბაზი, ისევე როგორც ქართლის დარბაზი, ცნობილია გვირგვინოვანი გადახურვით, ე. ი. თაღებით, გვირგვინის ცენტრში დატოვებული სანათურით. გვირგვინი, შიგნიდან რომ კონუსის ფორმისა იყო, გარედან მასზე დაყრილი დატკეპნილი თიხით შედარებით უფრო ბრტყელ ფორმას იღებდა და უცხო თვალისთვის დარბაზის სახურავი და შირვანული სახლის ბანი ერთნაირი ჩანდა. შირვანული ტიპის სახლი კი ხასიათდებოდა ბრტყელი, კედლების პერპენდიკულარული გადახურვით, რომელიც ზემოდან მიწადაყრილ ბანს წარმოადგენდა.

უცხოელისათვის თვალში საცემი სწორედ ბანი იყო, ამიტომაცაა რომ თბილისის ყოველი ევროპელი აღმწერელი უეჭველად აღნიშნავს—თბილისურ სახლებს ბრტყელი სახურავები აქვთ. რომელზედაც სეირნობენ და სძინავთ კიდეცო (გიულდენშტეტი, კლაპროტი, დელაპორტი, ნეგრი, გამბა, მურავიოვი).

მაგრამ გარეგნულად ერთნაირი ბანების ქვეშ სულ სხვადასხვაგვარი ნაგებობა იმალებოდა.

დარბაზული ტიპის ნაგებობა, გარდა გვირგვინოვანი გადახურვისა, შეიცავდა მრავალ თავისებურებას. ამ ნაგებობაში საკუთრივ

---

[1] ვახუშტი, აღწერა... გვ. 54.

დარბაზი ერქვა ნაგებობის ცენტრალურ. გვირგვინის კონუსის ცენტრქვეშ მდებარე ნაწილს. ნაგებობის სხვა ნაწილებს კი უკვე სხვა სახელები ჰქვიათ. დარბაზის ბოლოში გადაყოფილ ნაწილს ოთახი ერქვა, ხშირად დარბაზს შიგნით იყო სათორნე, საკუჭნაო. გარეთ კიდევ დერეფანი ჰქონდა მიდგმული.

სახლ-კარის ნასყიდობის წიგნებში ხშირად ჩამოთვლილია, თუ საბელდობრ, რა კონკრეტულ დანიშნულების ნაგებობებს შეიცავს გაყიდული სახლ-კარი. ამ ჩამოთვლიდან შესაძლებელი ხდება დაახლოებითი წარმოდგენა თბილისური სახლებისა. ამგვარ საბუთთა ზერელე წაკითხვაც ნათელს ხდის, რომ დარბაზი, ვახუშტის სიტყვით, „ქართული რიგის“ სახლი, უფრო დიდი ფართობისა და უფრო მრავალსათავსოიანია, ვიდრე „სპარსული რიგის“ ე. წ. „შირვანული დახურვილი სახლი“ (თვით ეს სახელწოდება მიუთითებს განსხვავებას გადახურვის სისტემაში). შირვანული სახლი საკუთრივ ერთი ოთახისაგან შესდგება, რომელსაც ზოგ შემთხვევაში გარედან მიდგმული აქვს დერეფანი. დარბაზის ტიპის სახლებში კი შიგნით რამდენიმე განყოფილებაა. „დარბაზი, შიგნით სათორნე და ერთი საკუჭნავო“. „დარბაზი, შიგნით ოთახი, სათორნე და საკუჭნავო“. ხშირად დარბაზებს ქვეშ ცადაქნილი სარდაფებიცა აქვთ. ზოგი დარბაზი კი გადალობილია სპეციალური დარაბით, ე. წ. რუსებით. რუსებს იქით მოთავსებულ ნაწილს დარბაზისას შანიშინს ეძახდნენ. ხშირად დარბაზის ქუჩისპირა ნაწილში გამოყოფილი იყო დუქანიც.

მაგალითად, 1736 წლის ერთ ნასყიდობის წიგნში გაყიდული სახლ-კარი ასეა დახასიათებული: „ერთი დარბაზი და ოდან ორი ოთახი, დარბაზის წინ დერეფანი და ქვეშ სარდაფი და წინა ბახჩა“[2]. ან კიდევ „დიდი დარბაზი მარნითა და შანიშინითა. სათორნე, დარბაზის წინ დერეფანი. ეზო, გარეთ ჭიშკარი“[3]. „დარბაზი. შიგნით სათორნე. ზეით შანიშინი, სარდაფი, გარეთ დერეფანი, ჭიშკარი“[4].

საბუთებში სახლ-კარის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ხშირად მოიხსენება ტახტი. მაგალითად. „მოგყიდე პარარა დარბაზი, შიგნით სათორნე. წინ ტ ა ხ ტ ე ბ ი და ეზო“. (1779 წლის საბუთი, ხელნ. ინსტ. ფ. Qd 875). ან „მოგყიდე ტახტის გვერდით ზევით ოთახი... მიჯნა თქვენი ტ ა ხ ტ ი ს კედელი“. (1786 წ. საბუთი. ხელნაწერთა ინსტიტუტი ფ. Ad, 960). „ერთ ძმას ერგო დარბაზი... და გარეთ ტახტი. ტახტზე ერთი ბოძი მიჯნა არის“ (1788 წ. საბუთი. ხელნ. ინსტ. ფ. Hd 13127); „მოგყიდე... დარბაზი, ტახტი“. (1777 წ. ხ. ი.

---

[2] დოკ. თბ. ისტ. I № 143

[3] დოკ. თბ. ისტ. I, № 220.

[4] 1775 წლისა. საქ. ცენ. ა. ფ. 226. № 4104.

Hd 1648) უკვე ამ მოკლე აღნუსხვიდანაც კარგად ჩანს, რომ ტახტი აქ დღევანდელი მნიშვნელობისა არ არის. ტახტი შენობის ნაწილია, ამასთან იგი შენობის გარეთ არის. მას ბოძებიც უდგას და ხშირად მის გვერდით ოთახიცაა ჩადგმული. ტახტი, როგორც წესი, დარბაზის წინა ნაწილშია მოთავსებული. ხშირად ტახტი აქვს აგრეთვე ქულბაქსაც: „ბოგყიდე ქულბაქი და ერთი ჩარექი ტახტიო". (დოკ. თბ. ისტ. № 108). ტახტი, ჩვენი აზრით, თანამედროვე ალვნის მსგავსი ნაგებობას ერქვა. ტახტი შენობის გარეთაა, შენობაზე მიბჯენილი, მას სახურავი არა აქვს. იგი ბოძებით არის მიწაზე დამაგრებული და უშუალოდ მიწაზეა ამოშენებული, ტახტი ალბათ უფრო საწოლად იყო გამოყენებული და ამიტომაც ერქვა ამ ნაგებობას ეს სახელი. ტახტის სინონიმად ჩანს საწოლიც. იესე ოსეს ძეს მოთხრობილი აქვს, რომ როცა მისი მამის ქონება მემკვიდრეებს შორის გაყვეს, იესეს ძეექვსედი ერგო: „მეექვსედი, ეზოში პაწაწა საწოლი რომ არის, ის მერგო[5], -დაბლა საწოლი მოგვცეს, თქვენი წილი ეგ არისო... მკათათვის დღეებში მოადგის მზე და სიცხით ვიბოცებოდით, ბარგიც თავს გვეყარა, ზანდუკი, კიდობანი და დიაღ მცირე ადგილი იყო, ერთი კუთხე ადგილი, იმაზე მივიცქნაფებოდით"[6].

უცხოელ მოგზაურთა თქმით, თბილისური სახლები მეტწილად ერთსართულიანია. მხოლოდ შიკადაშიგ იყო ორსართულიანი ნაგებობა. ასეთ შემთხვევაში ქვედა სართული დუქანი იყო, ზედა ოთახი. ოსე ს[illegible]ქაძეს მაგალითად. ქვემო მეიდანში ჰქონდა „აბანი და ზედ ორი დუქანი"[7].

თბილისურ სახლებს ჰქონდა სხვადასხვა სამეურნეო ნაგებობანიც. ეს იყო სათორნე, საბძელი, ბარანი, საკუჭნაო, სარდაფი. სახლს პატარა ეზოც ჰქონდა. ხშირად ეზოში ძირითად ნაგებობის გარდა, სხვა ოთახიც იყო ხოლმე ჩადგმული. ზოგ სახლს ჰქონდა საყინულეც—ღრმად ამოთხრილი სარდაფი.

ნასყიდობის წიგნებში ზოგჯერ აღნიშნულია გაყიდული სახლკარის ფართობი, მაგრამ ეს აღნიშნავს მეტწილად ეხება მთელ საცხოვრებელ ფართობს. როგორც სამეურნეო და საცხოვრებელ ნაგებობებს, ასევე ეზოსა და ბაღჩას. საბუთში მოცემულია მთელი ამ ფართობის სიგრძე და სიგანე ადლებში და ნაანგარიშევია რამდენ კვადრატულ ადლს (გაზანდარ ადლს) შეიცავს აღებული ფართობი. მაგრამ თითოეული ობიექტის ფართობი კი ძალიან იშვიათად არის აღნიშნული. ჩვენს ხელთაა 1778 წლს შედგენილი ვალში გაყიდუ-

---

[5] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, აკ. იოსელიანის გამოც., გვ. 21.
[6] იქვე. გვ. 306.
[7] იქვე. გვ. 235.

ლი სახლის ანაზომები[8], რითაც ეს საბუთი ჩვენთვის მეტად საინტერესოა. ამ საბუთში მოცემულია თითოეული ობიექტის განი და სიგრძე ადლობით და არეზე გატანილია განისა და სიგრძის ნამრავლი ე. ი. აღებული ობიექტის ფართობი.

ამ საბუთის მიხედვით დარბაზის ფართობი შეადგენს 50 კვადრატულ ადლს (სიგრძე 7,5 ადლია, სიგანე 5 ადლი და 3 ჩარექი).

სათორნისა—15 ადლი (სიგრძე—4 ადლი, სიგანე—1 ადლი, 3 ჩარექი).

საბძლისა—16 ადლი (სიგრძე—4 ადლი, სიგანე—4 ადლი).

საკუჭნაოსი—11 ადლი (სიგრძე—5 ადლი, სიგანე—2 ადლი. 1 ჩარექი).

სარდაფისა—20 ადლი (სიგრძე—4 ადლნახევარი. სიგანე—4 ადლნახევარი).

დერეფნისა—12 ადლი (სიგრძე 4 ადლი, სიგანე 3 ადლი).

გარეთ ოთახის და ეზოსი—39 ადლი (სიგრძე—6 ნახევარი ადლი, სიგანე—6 ადლი).

პატარა ეზოსი—9 ადლი (სიგრძე—3 ნახევარი ადლი, სიგანე—2 ნახევარი ადლი).

ესაა ტიპიური სახლი ცოტა თუ ბევრად შეძლებული თბილისელისა. მაგრამ თბილისში ბევრი იყო ისეთი მეკომური, რომელიც ერთ ქოხში ან ერთოთახიან შირვანულ სახლში იყო მიყუჟული. ასეთი სახლების ფასი 3—4 თუმანი იყო და ეს მაშინ, როცა თბილისში სახლ-კარის ყოველი ადლი დაახლოებით 8 აბაზი ღირდა და ამისდა მიხედვით იანგარიშებოდა მთელი სახლის ფასიც. ერთი დოკუმენტის მიხედვით თბილისში 1752-54 წლებში გაყიდული სახლების ფასი 5 თუმნიდან 20 თუმნამდეა[9].

თბილისური სახლის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენდა ეივანი. ეივანი სპასრული სიტყვაა და ნიშნავს ბალკონს. ღია გალერეას და აგრეთვე სახლის გადმოშვერილ ნაწილს (выступ дома с окнами) აივანი ორგვარი იყო, ერთი საბუთის მიხედვით „მოაჯირმოვლებული და გარდმოსახედავი“ და მეორე აფიცრული.

თუ როგორი იყო ეივანი, ეს ჩანს იმ პირობის წიგნიდან, რომელიც ქოთოანთ სტეფანამ დაუდო თავის მეზობელ ზაზა თარხნიშვილს: „თქვენ სახლებთან რომ მე სახლი მიყიდნია, რომ შენი ეივანი ჩემს სახლს ყურობს, ეს პირობა მოგეცი, რომ რაც სიმაღლით არის დახურვილი, ამაზედ აღარ ავამაღლო, შენს ეივანს კარსა და ფანჯრებს არ ავაცილო“[10].

---

[8] საქ. ცენ. ა. ფ. 226 № 1678.

[9] დოკ. თბ., ისტ. № 211.

[10] 1780 წ. 15. V-ის საბ. საქ. ხ. ა. ფ. Hd № 13104.

ამ საბუთიდან კაოგად ჩანს რომ ეივანი იმ სიმაღლესაა გაკეთებული, რომ მეზობელი სახლის სახურავი მის კარს უსწორდება. ამასთან ეივანი აქ გადმოკიდებული ჩანს, თანაც მას კარი და ფანჯრები ჰქონია. აქედან უკვე ცხადია. რომ ეივანი მარტო მოაჯირშემოვლებული კი არ იყო, არამედ ზოგჯერ ეივანი აფიცრული და ფანჯრებ დატანებულიც ყოფილა.

ასეთი აფიცრული გადმონაკიდი შენობისა ჰქონია. მაგალითად. სოლომონ ლეონიძის სახლს: „სოლომონ მდივანბეგს თავის სახლებიდამ ჩვენს მბარეს (იგულისხმება ნათლისმცემლის ეკლესიის მბარეს) ჩარდახი გაუკეთებია, რუსი და ფანჯარა აქვს დატანებულები, თავის მიჯნებიდამ ჩვენის მამულის მხრისაკენ ფიცრულიც წამოუკიდებიაო"[11]. ეს ფიცრული ქვიტკირის კედლიდან ადლნახევარზე ყოფილა წამოწეული[12]. ამ ფიცრულს საბუთი უწოდებს აგრეთვე წამოკიდებულ ყავრულსაც[13].

მაგრამ ეივანი და ამგვარი ფიცრული მხოლოდ ორსართულიან სახლებზე შეიძლებოდა ყოფილიყო, ტიპიურ თბილისურ სახლს კი, არც დარბაზს და არც შირვანულს, ეივანი ვერ ექნებოდა. ეივნის დანიშნულებას იქ ე. წ. ტახტი ასრულებდა.

ზემომოყვანილი ყავრულისა და ეივნის პატრონები კი ზაზა თარხნიშვილი და სოლომონ ლეონიძე არიან. ესენი კი, ცხადია, ჩვეულებრივ თბილისელებზე უკეთესი სახლების მქონენი იქნებოდნენ.

საერთოდ დიდკაცთა სახლები თბილისში სხვებისაგან გამოირჩეოდნენ. ალა-მაჰმად-ხანის თბილისში შემოსევის ერთი თვითმხილველი აცხადებს, რომ „ბატონის სასახლე და მელიქისა, მილახვრისა თუ სხვა ჩინებული სახლები, გადაუწვიათ, ბაზარი მთლად დაუწვავთ და ცუდი სახლი კლდის უბნისაკენ თუ სხვაგან იშვიათ მორჩომილა"[14].

ეს კაცი თბილისელთა სახლებში ორ უკიდურესობას ხედავს— ჩინებულსა და ცუდ სახლებს. ცუდი სახლები მას კლდის უბნისაკენ ეგულება ძირითადად. მართლაც, დოკუმენტური მასალა ცხადყოფს, რომ კლდის უბანი ქალაქის ყველაზე უფრო ვიწრო და მოუწესრიგებელი უბანი იყო. ამ უბნის ბუნებრივი ზედაპირი მიხვეულ-მოხვეულ გზებს ქმნიდა, ხოლო სახლებს ძალაუნებურად მიწაში აძვრენდა, კლდის უბნის სახლები ზურგით და ხშირად სამი მხრიდან მიწა-

---

[11] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები. წ. V გვ. 111.
[12] იქვე, გვ. 112.
[13] იქვე.
[14] ქართული წყაროთმცოდნეობა I, გვ. 126.

ში, კლდეში იყო. კლდის უბანში შეფენილი ქოხმაჩები ვიწრო, უსანათლო და მოუხერხებელი იყო.

ასეთივე ვიწრო სახლები იყო ავლაბარშიც: „სადგომები თითო საქათმესა ჰგავს, ქოხებში ვყრივართო", ჩვენან ავლაბრელები[15].

როგორი იყო ეს სახლები შიგნიდან?

თბილისურ დარბაზს, როგორც ითქვა, გვირგვინის წვერში სანათური ჰქონდა დატანებული. დარბაზი აქედან ნათდებოდა. შიგნით დარბაზის კედლებში დატანებული იყო წალოები, განჯინები და თახჩები, მოხარატული კარებით, ხოლო დარბაზის ერთ მხარეს, მთელი კედლის სიგრძეზე, დიდი და განიერი ტახტი იყო დატანებული. სწორედ ასეთი სახლი აქვს აღწერილი სუნდუკიანცს თავისი გმირის პირით:

„ერთ დარბაზში ერთად ცხოვრობდნენ. სამი-ოთხი ძმა ცოლშვილით ერთად თავსდებოდნენ... საოჯახო ტახტი იდგა ხოლმე. ზედ მთლად ერთიანათ ორბო ეფინა ხოლმე... დაღამდებოდა, ვეება მაშხალას შუაზე ავანთებდით... მერე ტახტზედ ერთ წვერიდამ მეორემდინ ლურჯ დახატულ სუფრას გავშლიდით. შემოუსხდებოდით გარშემო... დარბაზის სანათური გვქონდა, რომ ოცდახუთ ფანჯრათ ლირდა... გათენდებოდა, ცის სინათლე იქიდან გვეწვეოდა და დაღამდებოდა. ვარსკვლავების ბრწყინვაც იქიდამ... მერე ყველას ლოგინებს ერთად გავშლიდით"[16].

აქ მოხსენებული ტახტი იყო თბილისური ავეჯის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი. კედელში დატანებული განჯინები, წალოები და თახჩები და აგრეთვე სხვადასხვა ზომისა და ყაიდის სკივრები და ზანდუკები ამთავრებდნენ ოთახის მოწყობილობას. ხოლო კედელზე ჩამოფარებული თახჩაფუშები, ხალიჩაფუშები და სკივრებზე შევდებული სხვადასხვა სახის ძვირფასი მატერიის ბოღჩები შნოსა და ლაზათს აძლევდნენ სახლის მოწყობილობას.

საუკეთესო შენობად თბილისში, ცხადია, მეფის სასახლე ითვლებოდა. სამეფო სასახლე როსტომ მეფემ გადმოიტანა ციხის უბნიდან სიონ-ანჩისხატის რიგზე. ჩვენამდე მოაღწია საბუთებმა, რომლითაც როსტომ მეფე ამ რიგზე მცხოვრებთ სხვაგან აძლევს ადგილმამულს, მათ ძველ ადგილს კი თავის სასახლეს უმატებს.

---

[15] ციტირებულია შ. მესხიას მიხედვით. იხ. დ. გერიტიშვილი, შ. მესხია. თბილისი გვ. 139.

[16] გ. სუნდუკიანცი, პიესები, თბილისი, 1950 წ. პიესა „დაქანცული ოჯახი", გვ. 156—7.

მეფის ამ სასახლის შარდენისეული აღწერილობა ფართოდ არის ცნობილი და ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ[17].

სამაგიეროდ შევჩერდებით ამილახვართა ნაკლებად ცნობილ სასახლეზე. ამილახვართა სასახლე დატანილია ვახუშტის გეგმაზე ანჩისხატის ეკლესიის ჩრდ. კედლის გვერდით. ამას გარდა, მას იხსენიებს ალ. ამილახვარიც. მისი სიტყვით ეს სასახლე მტკვრის პირას იყო აშენებული «и сей дом построен был в три этажа и на иерсицкий вкус»[18].

სასახლე გივი ამილახვარის ცოლს. თამარ ბატონიშვილს, მოყვა მზითვად. მანამდე იგი სამეფო ოჯახისა იყო. ამილახვარი პირველი თავადიშვილი იყო, რომელმაც სასახლეთა ამ რიგზე დაიდო ბინა. გივიმ და მისმა ცოლმა სასახლე შეაკეთეს და გააფართოვეს. სასახლეს სამხრეთით, ანჩისხატის მხარეს, დიდი დარბაზი ჰქონია. თამარ ბატონიშვილმა დარბაზს ახალი კარი გაუჭრა ანჩისხატის მხარეს. მანვე ეს დარბაზი მთლიანად მოახატვინა მაშინდელ მხატვარს აბელ კალატოზიშვილს. ამავე აბელმა ახლად გაჭრილი კარის თავზე თამარის და გივის პორტრეტებიც დახატა. „ანჩის ხატის გვერდზე კარი გამოუღია ბატონიშვილს თამარს, კარს ზევით ცოლი და ქმარი სწერია, აბელ კალატოზიშვილის დაწერილია და ის მხარეც იმათი დახატულია“—ნათქვამია საბუთში[19]. სასახლისათვის ახალ პატრონებს საყინულეც მიუმატებიათ. საერთოდ ამილახვართა სასახლეს, ძველ და ახალ ნაგებობებიანად და სამეურნეო-სასამსახურო შენობებთან ერთად, საკმაოდ დიდი სივრცე ეჭირა. ვახუშტის გეგმით, მისი წინა მხარე ანჩისხატის ხაზზეა, ე. ი. შავთელის ქუჩაზე, ხოლო მოპირდაპირე მხარე. ალ ამილახვარის ცნობით, მტკვარს გადაჰყურებდა. ამილახვართა სასახლე დღევანდელი შავთელის ქუჩის, შავთელის დაღმართის და საქართველოს ტრიკოტაჟის ქარხნის შორის მოთავსებულ ტერიტორიას შეიცავდა.

ამილახვართა სასახლეს მტკვარი მრავალი წლის მანძილზე საძირკველს უთხრიდა და ბოლოს, 1763 წელს ამ სასახლის მტკვრისპირა მხარე ჩამოინგრა. ამის შემდეგ სასახლე აღარ აღორძინებულა, მით უფრო რომ გამომეღავნდა დიმიტრი და ალექსანდრე ამილახვართა პაატას შეთქმულებაში მონაწილეობა. შემდეგში ამ ადგილებში სხვა შენობები ჩანს. პიშჩევიჩის რუკაზე ანჩისხატის გვერდზე, ჩრდილოეთიდან პატრიარხის სახლია აღნიშნული.

---

[17] იხ. დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია გვ. 134—136.

[18] История георгиянская . . . გვ. 54. ამის შესახებ იხ. ე. ბურიძე.. ანალები I, გვ. 134.

[19] დოკ. თბ. ისტ. № 206.

ზემოთ ჩვენ ვამბობდით, რომ ამილახვართა სასახლე შიგნიდან ყოფილა მოხატული. კედლების მოხატვა მაინც და მაინც იშვიათი არ უნდა ყოფილიყო თბილისში. იესე ოსეს ძე, როცა მდივნობა ჩამოართვეს და (1776 წელს) უსაქმოდ დარჩა, თავს ხან მწიგნობრობით იქცევდა და ხან ოთახის კედლების ხატვით. „ხან ჩემს პატარა ოთახს ვხატავდი"-ოო, ამბობს ის[20].

XIX საუკუნის დასაწყისიდან თბილისის საამშენებლო ტერმინოლოგიაში რუსული იკიდებს ფეხს. 1804 წელს მანუჩარ თუმანიშვილი თავისი სიმამრის სტეფანე ტერ-შმოელანოვის სახლს აშენებს და მას „აკოშკებსა" და „პოლს" უკეთებს[21].

XVIII ს. ბოლოდან ხმარებაში შემოდის შპალერის ქაღალდი[22].

ორიოდე სიტყვა სავაჭრო ნაგებობებზეც.

თბილისურ სავაჭრო ნაგებობას ქულბაქი ან დუქანი ერქვა. დუქანი ხშირად სახელოსნოც იყო.

ხშირად დუქნები ორ სართულად შენდებოდა. ქვედა დუქნებს ძირის დუქანი ერქვათ. ზედას—ბანის დუქნები. იყო აგრეთვე მეორე სართულის დუქნის სხვა ტიპიც—ბალახანა ბალახანა სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ზედა სართულის ოთახს. ჩვენში ბალახანა ჩუბინაშვილის განმარტებით იყო „სახლთა შინა ჭერის ქვეშ გაფიცრული ადგილი რაგინდარას შესანახავად". ჩვენი საბუთებით ბალახანა საერთოდ ზედა სართულის ოთახია, რომელიც ქვედა სართულს უერთდება შიგნითა კიბით. ასეთ ბალახანაში საცხოვრებელიც შეიძლებოდა ყოფილიყო და დუქანიც. მაგ., ივანგულოვებს ჰქონდათ დუქანი რომლის „ზემოთ კიდე ბალახანა დუქანია"[23]. ორსართულიან დუქანთა წყება იყო ბატონის მოედანზე და თათრის მოედანზეც. მაგრამ ამ ორ სართულს ორივეს ცალ-ცალკე შესავალი ჰქონიათ. რაკი მიწის ზედაპირი აქ დალმართი იყო, თათრის მოედნის დუქნები პირით მოედნისაკენ გადიოდნენ, ხოლო მათ ბანზე დაშენებული დუქნები მოწინააღმდეგე მხარეს იყურებოდნენ და შესასვლელიც იქიდანა ჰქონდათ მიწის პირიდან[24]. დუქანთა ფართობი მეტწილად ძალზე პატარაა.

დუქნის კედლებში ხშირად იყო დატანებული ნიშის მსგავსად დოლაბი, რომელიც აგრეთვე დუქნებად გამოიყენებოდა. (ჩუბინაშვი-

---

[20] ანდერძი... გვ. 75.

[21] მასალები საქარ. ეკონომიური ისტორიისათვის. წ. I, გვ. 203—205.

[22] მ ა ნ ი ს ა ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მასალები XVIII საუკ. ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, I, თბ., 1965, გვ. 194.

[23] 1789 წ. 23. სექტემბრის სიბუთი. საქ. ცენ. ფ. 1450. დავთ. № 4 შეადარე დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია—თბილისი, 1952. გვ. 127.

[24] საქ. ცენ. ფ. 1450. დავთ. № 19 სიბ. № 73.

ლი დოლაბს თარგმნის Вынемка в стене). ასეთი დოლაბი ჰქონდა ვარედან მაგალითად, ოსეფა აქიმის ორ დუქანს თათრის მოედანზე. მათი სიგრძე 6 ადლი იყო, განი 5 ადლი და ერთი ჩარექი. დუქნების ბეერდითა კედელში. საბუთის სიტყვით, „დატანებული სამი დოლაბია დუქნებათ, რომელშიაც სხედან ბაყალ-შეგირდები“[25]. მაგრამ ასე ვიწრო დოლაბებს გვერდით თბილისში იყო ფართო დუქნებიც. ზოგ ასეთ ფართო დუქანს ქვეშ საყინულე ჰქონდა. იყო დუქნები, რომელთა ქვეშ აბანოც კი იყო გამართული[26].

დუქან-ჭულბაქების გარდა XVIII ს-ის თბილისში იყო ქარვასლებიც. თბილისურ ქარვასლებს ქებით მოიხსენებენ შარდენი და დელაპორტი. ვახუშტის გეგმაზე. თბილისში 4 ქარვასლა ყოფილა. აქედან სამი -მეფის, თბილელის და მელიქის ქარვასლა -ქალას ტერიტორიაზეა. სიონის ქუჩის მიდამოებში, მეოთხე -ბეჟანის - გარეთუბანშია, დღევანდელი ლენინის მოედნის პირას.

ამათგან სამი პირველი ქარვასლა დღესაც არსებობს, უფრო სწორედ დღევანდლამდე მოაღწიეს ამ ქარვასლათა ადგილას გვიან ხანებში დაშენებულმა თუ ხელახლა აშენებულმა ქარვასლებმა.

მაგრამ ივავე ვახუშტის ხანაში თბილისის ტერიტორიაზე ჩანან სხვა ქარვასლებიც; მათი ვახუშტის გეგმაზე აუსახველობის მიზეზი ალბათ ნაკლებმნიშვნელობით უნდა აიხსნას.

ასე მაგალითად, 1719 წლისათვის იხსენიება „ტფილისის ქალაქს ჯვარის მამის ქარვასლა“[27]. აგრეთვე ზემო უბანში ბურჯთან ოქოანთ ქარვასლა 1737 წლისათვის[28]. შემდეგ ხანებში ჩანს აგრეთვე ღაშბარაანთ ქარვასლა ქამაანთ საყდართან[29], მილთონის ქარვასლა, რომელიც 1797 წლისათვის დაქცეული ყოფილა[30]. თვითონ ბებუთაშვილებსაც რამდენიმე ქარვასლა ჰქონდათ, ერთი ე. წ. მელიქის ქარვასლა, ვახუშტის გეგმაზე აღნიშნული, სიონის ქუჩაზე მდებარეობდა. ამ ქარვასლის გარდა ბებუთაშვილებს ჰქონდათ ქარვასლა კათოლიკეთა ეკლესიის უკან[31] და აგრეთვე ჯვარის მამის სახლს უკან[32]. ქარვასლები ჩანან ავლაბარსა და სეიდაბადში.

მაგრამ, რასაკვირველია, ყველა ეს ქარვასლა ერთი ზომისა და მნიშვნელობისა არ იყო. მეფის, თბილელისა და მელიქის ქარვასლე-

25 1797 წ. 14 ოქტომბრის საბუთი საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. № 19, საბ. № 73.
26 ეფესე ოსეს ძის ანდერძი გვ. 24.
27 დოკ. თბ. ისტ. № 100.
28 იქვე, № 146.
29 იქვე, № 194.
30 საქ. ცენ. ა. ფ. 226. № 591.
31 1811 წ. 28. III. საბ. საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთ. № 40, საბ. № 109,
32 დოკ. თბ. ისტ. № 180.

ბი, დღევანდელ სიონის (ერეკლეს) ქუჩაზე მდებარენი. ყველაზე მნიშვნელოვანი იყვნენ ქალაქში.

ქარვასლები უცხო ქვეყნებიდან მოსული ქარავნების დასასვენებლად იყო განკუთვნილი. ქარვასლა იტევდა აგრეთვე სტუმართა ცხენ-აქლემსაც. ვაჭარ-ხელოსნები აქ ზოგჯერ მუდმივად სახლობდნენ და საქმიანობდნენ. ერთ-ერთი ასეთი ქარვასლა ნაზარბეგიანთა ყოფილა. სადაც. შ. მესხიას აზრით. 1781—82 წწ. აღწერის მიხედვით მრავალი სხვადასხვა დარგის ხელოსანი და ვაჭარი ცხოვრობდა[33]. ყორღანოვების ქარვასლაში. მაგალითად, მოთავსებული იყო ერთი მეფურნის დუქანი, ორი მიკიტნისა და ერთიც ოქრომჭედლის[34].

ქარვასლებში სტუმრების მიღებისას, როგორც ჩანს, უურადღება ექცეოდა აგრეთვე მომსვლელის რელიგიურ მიმართულებასაც. 1820—24 წლებს შორის თბილისში მყოფი გამბა აღნიშნავს, რომ თბილისის ორ ძველ ქარვასლიდან ერთში სპარსელები ცხოვრობენ, ხოლო მეორეში— ყარსიდან და არზრუმიდან ჩამოსული სომხები[35].

ქარვასლის პატრონს, როგორც ჩანს, კიდევ ერთი მოვალეობა ჰკისრებია: ცხენი მიეცა მეფის ჩაფრისათვის და სასწრაფო საქმეზე გაგზავნილისათვის. მაგრამ ზოგ შემთხვევაში ხელისუფლება ქარვასლის პატრონს ამგვარ მოვალეობისაგან ათავისუფლებდა. ასეთი ყოფილა. მაგალითად. ჯვარის მონასტრის ქარვასლა. ბაქარ მეფე 1719 წელს ჯვარიმამის ქარვასლას უმტკიცებს იმ შეღავათს, რომელიც ამ ქარვასლისთვის გიორგი XI მიუნიჭებია: „მეფეს გიორგის... ჯვარის მონასტრის ქარვასლისათვინ ასეთი წიგნი ებოძებინა, რომე ვერა მოძალე და უნებური მდგმური ვერ დადგებოდა, ვერცავინა იქიდან ვერას დაჭირებისათვინ ცხენს ვერავინ გამოიყვანდა... ჩვენც ეს წიგნი ხელახლა უბოძეთ... ჯვარის მონასტრის ქარვასლაში... ნურც ჩაფარი. ნურც სასწრაფო გაგზავნილნი ცხენს ნუ გამოიყვანებენ"[36].

ასეთივე შეღავათი ჰქონია მელიქ აშხარბეგის ქარვასლას: „მელიქ აშხარბეგის ქარვასლიდამ ცხენს ნურავინ გამოიყვანს, ნურა დაჭირებული ჩაფარი და საქმეზედ გაგზავნილი ნუ მოინდომებს. როგორც უწინ ჯინჯილი ჰქონებია, ისრეკ კარზედ ჯინჯილი გაბან და გაუკეთონ"[37]. ჯინჯილის გამბა ქარვასლის კარზე, უნდა ვიფიქროთ. სწორედ იმის მაუწყებელი უნდა ყოფილიყო. რომ ამ ქარვასლიდან ცხენის გამოყვანა არ მოხერხდებოდა.

---

[33] დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია. თბილისი, გვ. 132.
[34] ხელ. ინსტ. ფ. Hd № 3091.
[35] პოლიევქტოვი, ნათაძე, ძველი ტფილისი, 1929 წ. გვ. 79.
[36] დოკ. თბ. ისტ. № 100.
[37] საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთარი № 22. საბ. № 62.

* * *

თბილისში მოქმედებდა ე. წ. „ქალაქური განწესება“, რომელიც საზღვრავდა თბილისში სახლების აგების და მათი მოვლის წესს. ეს განწესება კრძალავდა თბილისში ისეთი სახლის აგებას, რომელიც მეზობლის სახლს რაიმე ზიანს მიაყენებდა. მაგალითად, თუ ვინმე თავის სახლს იმდენად აამაღლებდა, რომ მისი სახურავიდან ჩამონადენი წვიმის წყალი მეზობლის სახურავს ეცემოდა, „ქალაქური განწესება“ აიძულებდა ასეთს სახლი ისევ დაედაბლებინა. ქალაქის განწესება კრძალავდა აგრეთვე მეზობლის ფართობში* შეჭრას და აუცილებელს ხდიდა ყოველ მეკომურს თავისი ღობე ჰქონოდა, რომლითაც ის მეზობელს გაემიჯნებოდა.

თბილისში ძველთაგანვე დამკვიდრებული იყო სახლ-კარისათვის თოვლისა და წვიმის წყლისათვის გზის მიცემის წესი. თითოეულ სახლს ადრიდანვე მიჩენილი ჰქონდა სპეციალური გზა ამ წყლის საჯენად. თბილისური სახლები, როგორც ითქვა. ბანიანები იყო, ბანის ირგვლივ სახურავს ჩაწყობილი ჰქონდა ნახევარწრის ფორმის თიხის მილები, რომლებშიაც იწრიტებოდა ბანზე დანადენი წვიმის წყალი, ეს მილები სახლის პატრონს იქითკენ უნდა გაეხსნა და გაეშვა წყალი, სადაც ეს წყალი მეზობელი სახლებისათვის უმტკივნეულოდ იდენდა. ამ მხარეს სახლს ჰქონდა დაყოლებული პატარა თბრილიც, რომელშიც, გარდა იმისა რომ საკუთარ სახურავიდან ჩამოდენილ წყალს იწრიტავდა, მასზე უფრო მაღლა მდგარ მეზობელი სახლის წყალიც მიედინებოდა და თვითონაც უფრო დაბლა მდგომი სახლის თხრილს უერთდებოდა. წვიმის სადინარი მილების მიმართულებას და მილებიდან გამონადენი წყლის სავალ თხრილს ქართული დოკუმენტები „წვიმისა და თოვლის წყალს“ უწოდებენ. წყლის ღარის გაკეთება სახლისათვის ისევე აუცილებელი იყო, როგორც ადგილმამულისათვის შესასველელის მიცემა. ამიტომაცაა, რომ თბილისში სახლ-კარის ნასყიდობის წიგნში ამ სახლ-კარის მიჯნებთან ერთად უეჭველად აღნიშნულია, რომ სახლი გაიყიდა „თავის შესავალ-გასავლით“ და „თოვლისა და წვიმის წყლის გზით“. თუ სახლს ასეთი გზა არ ექნებოდა, იგი ვერც გაიყიდებოდა, რადგან მყიდველი არასოდეს არ იქნებოდა დაზღვეული მეზობლებთან უსიამოვნებისაგან.

საბუთებში არა ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ უჩივის თბილისში მცხოვრები თავის მეზობელს რიგიანი წვიმის წყლის გზის უქონლობას. როცა ნათლისმცემლის ეკლესია წინამძღვარმა „აამაღ-

---

* ქალაქური განწესების ძალით, მაგ., სოლომონ ლიონიძეს მოაშლევინეს ოთარანი, რომელიც მეზობლად მდგომ ნათლისმცემლის ეკლესიას გადაჰყურებდა.

ლა და კრამიტი დახურა, კრამიტი გრძლად ჩამოჰკიდა", მისმა მეზობელმა სოლომონ ლიონიძემ იჩივლა, რადგან ამ ეკლესიიდან „წვიმა ჩემს სახლებს ბანზედ დადისო, სახლებს მიხდენს, მილპობსო". სამართალმა, რა თქმა უნდა, წინამძღვარი გააძტყუნა და დაადგინა: „წინამძღვარმა ეკლესიის ბანის წყალს ასეთი გზა უნდა მისცეს, რომ თავის მამულში ბანის წყალი ადინოსო"[39]. მთავარი ბანის წყლის დინების წესში ის იყო, რომ ამ წყალს საკუთარ მამულზე ევლო და მეზობლების სახლები არ დაეზიანებინა. ქალაქში სახლების სიმჭიდროვის გამო წყლის გზის ზუსტი განსაზღვრა განსაკუთრებით იყო საჭირო. წვიმის წყლის სადინარი გზის გარდა ყოველ სახლს ჰქონდა აგრეთვე ბანიდან გადასაყრელი თოვლის ადგილიც. საიდანაც დამდნარი თოვლი წვიმის სადენ გზას შეუერთდებოდა. ისეთ შემთხვევაში, როცა იყიდებოდა სახლის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელსაც საკუთარი წყლისა და თოვლის გზა არა ჰქონდა, სახლის გამყიდველი ცდილობდა უეჭველად გამოენახა იგი თავის მამულში. ასევე ხდებოდა ოჯახის წევრთა გაყრისასაც. გაყრილი ოჯახის თითოეული მეწილე თავის მამულში იტოვებდა სპეციალურ გზას. რომელზედაც უნდა ედინა ბანის წყალს; ზოგჯერ კი ეს წყალი ორ მეწილეს ერთ საერთო გზაზე უდიოდა. „დარბაზისა და ოთახის ბანის წყალი საგანაყოფო ქუჩისკენ უნდა წაეიდეს და თოვლიც იქით უნდა გარდიყაროსო" — ნათქვამია ერთ საბუთში[40]... წყლისათვის გზის მიცემის გარდა, თითოეული ქალაქელი მოვალე იყო თავისი სადინარი კიდეც გაეწმინდა „კლდის ღორღი და ნიალვარი ერთად უნდა ადინონ და აგრეთვე ერთად უნდა გაწმინდონ"[41].

სხვადასხვა სახლთა წვიმის ეს გზები ერთმანეთს უერთდებოდა და მტკვრისაკენ ეშვებოდნენ. წვიმის გზათა დანიშნულება სახლთა უხიფათობა იყო და ქუჩების დაცვას ტალახისა და ნიალვრისაგან სრულიად არ ისახავდა მიზნად. ადვილი წარმოსადგენია, რა ზომისა იქნებოდა მტკვარში შერწყმული ის ნიალვარი, რომელიც კლდის უბნიდან ჩამოვარდნილი თავის უბეში შეიერთებდა გზაზე შემავალ ყოველი სახლის ბანის წყალსაც. ბანის წვიმის წყლის გზა მის საბოლოო დისტანციაში. საბუთის სიტყვით რომ ვთქვათ, „ტალახის და ღვარის წყლად" იქცეოდა. ღვარისა და ტალახის სპეციალური სადინარი ყოფილა მაგალითად ბატონის ქარვასლის ნაპირზე. სიონის

---

[39] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. გვ. 112.

[40] დოკ. თბ. ისტ. № 145.

[41] ბებუთაშვილების გასამყრელი 1815 წლისა. საქ. ცა. ფ. 1450 ოპეთ. № 42 საბ. № 1.

ქუჩის პერპენდიკულარულად მეორე ასეთი სადინარი მელიქისა და ტფილელის ქარვასლებს შორის იყო. ორივე ეს სადინარი მტკვრისაკენ მიედინებოდა[29].

წვიმის გზები და ღვარის სადინარები კანალიზაციის მაგიერობას ეწეოდნენ და ქალაქში წვიმის წყლისაგან ზიანის ამაშორებელი ამგვარი სისტემის არსებობა შუა საუკუნის ქალაქისათვის ერთვეარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამ სისტემის ნაკლი ის იყო, რომ იგი ისედაც მოუკირწყლავ ქუჩებს კიდევ უფრო ატალახიანებდა.

ქალაქის ქუჩები ვიწრო და მოუკირწყლავი იყო. ქუჩების უმეტესობა იმდენად ვიწრო იყო, რომ მასზე ცხენიან კაცსაც კი უჭირდა ვავლა. ზოგი ქუჩის სიგანე კი იმოდენა იყო, რომ ურემს შესძლებოდა მობრუნება. ბევრი ქუჩის სიგანე სამ ადლს არ აღემატებოდა. „ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნიო“—აღნიშნავდა ვახუშტი. ქალაქის ქუჩათა სივიწროვეს. მის უშუალო მხილველთა აღწერილობათა გარდა, კარგად უჩვენებს ძველი კალას რაიონში დღეს არსებულ ქუჩათა სივიწროვეც. ეს ქუჩები ხომ ძველად არსებულ ფოლორცთა ადგილას არის გაყვანილი. ისინი დღესაც ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულია. ქუჩებს დაგრეხილ მიმართულებას აძლევდა ამ ადგილას ქალაქის ზედაპირის მთაგორიანობა. გზები დაბლიდან (მტკვრის პირიდან) მაღლა (სოლოლაკის თხემისაკენ) მოიწევდნენ. ასეთი გზა კი, როგორც წესი, ყოველთვის მიხვეულ-მოხვეულია, რათა სიმაღლეზე ასვლა თანდათანობით მოხდეს და არა უცბად. ქუჩათა სივიწროვეს კი ქალაქის მჭიდრო დასახლება იწვევდა. კალას რაიონში არსებულ ქუჩებს შორის ყველაზე ფართო იყო დღევანდელი ლესელიძის ქუჩის ადგილას გამავალი მაგისტრალი, რომელსაც საბუთები ფართო შარას ეძახიან.

თბილისში იყო ე. წ. სათემო ქუჩა, რომელსაც შარას და გზასაც უწოდებდნენ. სათემო ქუჩა ქალაქის საკუთრება იყო და ამ ქუჩაზე კარის გამოღება ყოველი თბილისელის უფლებას წარმოადგენდა. მაგრამ სათემო ქუჩათა გარდა იყო აგრეთვე ისეთი ქუჩები, რომელთა მესაკუთრე რომელიმე კერძო პირია. ასეთ ქუჩებზე სხვისაგან კარის გამოღება და სიარული ქუჩის პატრონთან მორიგებაზე იყო დამოკი-

---

[29] 1778 წელს გაყიდული დუქნის მიწნებია: „ერთი პირი მექვაბეების წინ რომ ტალახი და ღვარის წყალი ჩამოდის, ბატონის ქარვასლის ნაპირზედ, და მეორე პირი ამის ნიშანი მელიქის ქარვასლის გვერდი, და ტფილელის ქარვასლის გვერდი, რომელიც ამ ორს ქარვასლას შუა ღვარისა და ტალახის სადინარი არის“. (საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთარი № 7, ნუსხა № 1).

დებული. ასეთ ქუჩებად ჩანან მაგალითად, ფითოანთ ქუჩა, ფონდოანთ ქუჩა, შებიანთ შარა და სხვ. მრავალი.

ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა 1769 წლის ერთი განჩინება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობდა ქალაქის მმართველობა ქალაქელთათვის მოსახერხებელი გზების გამონახვას. ფითოანთ ქუჩაზე ადგილების მყიდველ სამ სხვადასხვა პირს დაავალეს გარკვეული მიმართულებით ქუჩის გაშვება, რომელზედაც სამივე ამ პირს უნდა ევლო: „ნასყიდი ალაგის წინ ერთი ქუჩა გაიშვას და ყველამ იმ ქუჩაზე უნდა იაროს, რომ საცა უნდათ თავთავის კედელში კარი გაიღონ ვიწრო ქუჩაზე და იარონ“-ო—ნათქვამია საბუთში[43]. ახლად გაშვებული ქუჩის მიმართულების განსაზღვრისას ხელისუფლება ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად შეკვეცილიყო მეზობელ მცხოვრებთა მფლობელობა. ამასთან ახალი ქუჩის გაშვების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქური განწესება ცდილობდა ქუჩაზე ურმის მოსაბრუნი ადგილის დატოვებას. როცა ეს ქუჩა საამისოდ ვიწრო იყო, მაშინ ქუჩის თავში სტოვებდნენ ფართო ადგილს ურმის მოსაბრუნებლად[44].

საერთოდ ერეკლე II დროის დოკუმენტურ მასალაში აღბეჭდილია არა ერთი ფაქტი ხელისუფლების ზრუნვისა ქალაქის კეთილმოწყობისათვის. ხელისუფლება მოითხოვდა, რომ დუქნები, მაგალითად, თათრის მოედანზე, უეჭველად ერთ ლარში, ანუ ერთ ხაზზე ყოფილიყო აშენებული. ხელისუფლება კრძალავდა შენობათა უსწორმასწორო აგებას. (მაგალითად, „ძირის დუქნების საძირკველზე ატანილი გაკეთებული დუქნები... გადაწეულ-გადმოწეული... არ უნდა იყოს“)[45]. ხელისუფლება ზრუნავდა აგრეთვე ქალაქის სიმაგრეთა დაცვა-შეკეთებაზე. ქალაქის გალავნის ჩამონგრევისას იქვე მსახლობელნი მოვალენი იყვნენ საერთო ძალით შეეკეთებინათ გალავანი. მაგრამ ხშირად ასეთ საქმეში მეფეც ერეოდა მატერიალურად[46].

ქალაქში სისუფთავის დაცვა ქუჩათა სივიწროვის, მჭიდრო დასახლებისა და კანალიზაციის უქონლობის პირობებში მეტად ძნელი იყო. მიუხედავად ამისა, სამეფო ხელისუფლება რამდენადაც შეეძლო, ენერგიულად იბრძოდა სისუფთავის დასაცავად, თუმცა ხში-

---

[43] დოკ. თბ. ისტ. № 267.

[44] „ახალი დაგდებული ქუჩის გული სამი ადლი საერთოდამ დავაგდეთ და ამ ქუჩის ზემო მხარეს ურმის დასაბრუნებელი ადგილი უნდა და

რად ხელისუფლება ერთგვარ დაბრკოლებას აწყდებოდა თვით ქალაქელთა მხრიდან. ეს გარემოება კარგად ჩანს ციხისდიდის ეკლესიის შაგალითზე.

ეს ეკლესია თათრის მოედნის მაღლა დგას და იგი ერთხანს ქალაქის ციხის გარნიზონს ეპყრა. ეკლესია, საბუთის თქმით, „წარმართთა ტყეებაში იყო“ და მას ციხისუბნელი მაჰმადიანები დაეპატრონენ: „გალავანი დაეტეიათ, სანათურებამდე შიგ გოროხში და ნეხვში იყო, რომ ეკლესიის ბანზე დედაკაცები ჯაჰრას ართამდნენ და ეკლესიის გვერდზეც დიდი და მაღალი სანეხვე იყო“[47].

მას შემდეგ, რაც ერეკლემ ეს ეკლესია „წარმართთაგან გაათავისუფლა“, ეკლესიის დეკანოზმა ტერ-არაქელამ 1786 წლისათვის მეფისაგე დახმარებით მოახერხა ეკლესიის ეზოდან სანეხვეს აღება და მტკვარში ჩაყრა. მაგრამ მეზობელ თათრის დედაკაცებს „ღამით იქნება თუ დღისით კიდევ მოაქვსთ (ნეხვი) ჰყრიანო“[48],— ჩივის ტერ-არაქელა. ერეკლე II 1786 წელს გამოსცა ოქმი, რომლითაც აკრძალა ეკლესიის გალავანში ნეხვის ჩაყრა და ამისათვის ჯარიმა დააწესა: „ვინც დღეის იქით საყდრის გალავანში ნეხვი ჩაყარონ, იმ ეკლესიის დეკანოზმა და კრებულმა ის ჩამყრელი ადიბეგას (იასაულს ამ საქმეზედ) უჩვენონ. ადიბეგამ ავად მოპყრობით გააწმენდინოს ვინც იყოს და მას უკან ჩვენთან გამოაცხადოს და რაერთიც ჯარიმა განვაჩინოთ, ის გარდაახდევინოს“[49].

მაგრამ ამგვარად დამყარებული წესრიგი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ხელახლა აირია: „ქალაქის წახდენის აქათ გარეშემოთ მდგომნი თათარნი და თუ ურცხვნი დედაკაცნი ნეხვის დაყრას კიდევ არ იშლიანო“—ამბობს იგივე ტერ-არაქელა 1800 წლის არზაში[50].

საერთოდ ქალაქის ტერიტორიაზე, მტკვრის პირას, ჩანს სპეციალური ადგილები ყოფილა გამოყოფილი ნეხვის დასაყრელად. ერთი ასეთი ადგილი იყო მაგალითად, ზარაფხანასთან, მეტეხის ხიდის უბეში, მტკვრის პირზე: „ზარაბხანის კარზედ რომ ნეხვი ჰყრიაო“[51]. მეორე ასეთი ადგილი ჩანს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, მეტეხის ციხესთან: „მეტეხის ციხეში ...დაბლა ციხეში. ციხის კართან... ცარიელი სანეხვე იყო“[52].

---

[47] 1797 წ. 1 ივნისის საბ. ხელნ. ინსტ. ფ. Qd № 1459.

[48] 1786 წ. 17. ნოემბრის საბუთი, საქ. ცენ. ა. ფ. 1450. დავთ. № 52. საბ. № 96.

[49] იქვე.

[50] საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. 52, საბ. № 95.

[51] დოკ. თბ. ისტ. № 70.

[52] 1782 წ. 25 მაისის საბ. საქ. ცენ. ა. ფ. 1450 დავთ. № 11, საბ. № 142.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ქალაქის წყლით მომარაგების შესახებ.

ქალაქის სასმელი წყლით მომმარაგებელი ძირითადად მტკვარი იყო. მცხოვრებლები მტკვრიდან ეზიდებოდნენ წყალს თუნგებით. შიგადაშიგ ქალაქში იყო ჭებიც. ზოგან იყო წყაროც. მაგალითად, მეითარ მანუჩარის სასახლეში, რომელიც მტკვრის პირას იდგა, მოედნის ქვემოთ, დიოდა წყარო[53];

მაინც ძირითადი წყალი მტკვარი იყო, იესე ოსეს ძეს მოთხრობილი აქვს. რომ როდესაც მას მდივნობა ჩამოართვეს, გაჭირვებულს თვითონ მოუხდა წყლის მოტანა: „ჩვენ წყალი არა გვქონდა. ბიჭს ვინ მოგვცემდა და მუშა იმ დროს არ მოვიდოდა, ღამე იყო. დიდ თუნგს ჯოხი გაუყარეთ, წყალზე წავედით და მოვიტანეთ"[54]: იესე ოსეს ძე ქალაქის ცენტრში ცხოვრობდა, მოედანთან ახლოს და აქაც. როგორც ჩანს, წყლის მოტანა ძნელი ყოფილა.

1800 წლის გეგმაზე ნაჩვენებია გვირაბი, რომელიც ციხიდან მტკვრისაკენ გადიოდა (№ 18). ეს გვირაბი, გეგმის შედგენისას უკვე დანგრეული, ციხეში მტკვრიდან წყლის მოსატანად იყო განკუთვნილი. ამ მიწისქვეშა გზას ახსენებს ვასილი გაგარა (პოლიეევქტოვი, ნათაძე —ძველი ტფილისი. გვ. 11). მეორე ასეთი გვირაბი ციხიდან წავკისის წყლისაკენ მიდიოდა (№ 6).

საერთოდ კი წყაროები ქალაქის ცენტრიდან შორს იყო, სოლოლაკის ქედსა და მთაწმინდის კალთებზე. მაგრამ მიუხედავად სიშორისა, ქალაქში, როგორც ჩანს, მაინც ხერხდებოდა მათი შემოყვანა თიხის მილების საშუალებით. არქეოლოგიური გათხრებით ასეთი მილები რამდენიმე ადგილას არის ნაპოვნი ქალაქის ტერიტორიაზე (მაგ. ენგელსის ქუჩაზე და როსტომის საბანლეთან[55].). გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს პირდაპირი მითითებებიც. პლ. იოსელიანის ცნობით, მეფის სასახლის ეზოში ორი იყო გაკეთებული, რომელშიაც. სჩქეფდა წავკისიდან გამოყვანილი წყალი[56], ე. წ. ბაღის წყალი ჩანს აგრეთვე სიონთან მდებარე ბაღშიც. ამ ადგილებში წყალი სპეციალური მილებით შემოჰყავდათ. ასეთი მილი ნახსენებია მაგალითად. 1679 წლის წყალობის წიგნში: „გარეთ გალავნის ძირს სახლები აგებულნებინათ და მის წყალობას დაგვეჯენით... ჩვენც... გიბოძეთ ხუციტურას სახლის კვერდით წ ყ ლ ი ს გ ა მ ო მ შ ვ ე ბ ს მილთანა გალა-

---

[53] 1708 წ. სამ. საქ. ცენ. ა. ფ. 1450, დავთ. 37, № 239,

[54] იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. გვ. 75.

[55] ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ს. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უძველესი ბეგლები. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957 წ. 21. II. № 23.

[56] П. И о с е л и а н и. Описание... გვ. 247.

ვნის ძირზედა"[67]. ამ ცნობაში, მართალია, არ ჩანს, თუ სახელდობრ სად იყო ეს მილი, საგრამ გვიჩვენებს, რომ იგი ქალაქის გარედან შემოდის, გარეთ გალავნის ძირთან და მეს წყლის გამომშვები მილი ეწოდება. საბუთები უჩვენებენ აგრეთვე ოქროყანიდან წამოღებულ წყაროს, რომელიც აგრეთვე მილებით მოდიოდა: „ოქროყანის კლდიდან თბილელის ბაღის ხევს გაღმა წყარო... (ამ) წყაროს ზემოდამ რომ წყალი არის, მილით რომ მოდის და იმავ... წყალში ერევა" (დოკ. თბ. ისტ. გვ. 296—297).

ასევე მილით იყო შემოტანილი წყალი სოლოლაკიდან ბებუთაშვილების სასახლეში, რომელიც კლდის ძირას, ჯვარის მამის ეკლესიის ზემოთ, დღევანდელი ენგელსის (ძველათ ბებუთოვის) ქუჩის დასაწყისში იდგა სხვადასხვა ნაგებობათა და ეზო-ბაღის კომპლექსის სახით. სასახლის ამ ტერიტორიაზე იყო, სხვათაშორის, პატარა აუზი მარმარილოს ლომებით და აგრეთვე ქვის აუზიც. ამ აუზებში წყალი სოლოლაკიდან მოდიოდა შაისტახტის მხრიდან. ამას გარდა ბებუთოვების მამულში წყალი შემოდიოდა ე. წ. „წყლის სადენი გზით", რომელიც ვახტანგ ორბელიანის (ყოფ. სამეფო) ბაღიდან მოედინებოდა კლდის უბნის ძირისაკენ შადინაანთ მამულების გავლით[68].

აუზები საერთოდ წყლის საგუბრად იყო გამოყენებული. აუზში დამდგარი წყალი შემდეგ აუზის ირგვლივ ადგილ-მამულების მორწყვას ხმარდებოდა. აუზები ქვისა ან ქვითკირისაგან კეთდებოდა. ასეთი წყალსაცავი აუზების არსებობა საბუთებში მრავლად დასტურდება განსაკუთრებით ქალაქის ვარეუბნის ტერიტორიაზე. სწორედ ამ წყლის საცავებს უნდა გამოხატავდეს ვახუშტის გეგმაზე ბაღებად აღნიშნულ ადგილების შიგნით ჩახატული წრეები და ოთხკუთხედები.

დოკუმენტური მასალით იმკვეცა. რომ ასეთი წყლის საცავი აუზები იყო სამეფო ბაღებში, სეიდაბადის ბაღებსა, გარეუბნის დიღმის გზისპირა ბაღებსა და ავლაბრის ბაღებში. ამასთან ავლაბრის ბაღების აუზებში წყალი მახათის მთის წყაროებიდან იყო მილებით გამოყვანილი. გარეუბანში წყალი სოლოლაკის მთიდან, წავკისიდან. ოქროყანიდან და მთაწმინდის კალთებიდან შემოჰყავდათ.

ერთი ასეთი აუზი დატანილია 1800 წლის გეგმაზე. ამ აუზში წყალი გროვდებოდა წავკისის წყლიდან გადმოგდებული არხით. ზუსტად ამავე ადგილას აუზი ნაჩვენებია ვახუშტის გეგმაზეც ბებუთას ბაღის ტერიტორიაზე. № 60. აუზი და საგუბარი, თუ ერთი მხრივ

---

[67] დოკ. თბ. ისტ. № 29.

[68] საქ. ცენ. ა. ფ. 1459. დათ. № 42. № 1.

წყალს იკრებდა, მეორე მხრივ წყალს ანაწილებდა მეზობელ ბაღებზე. ეს კარგად ჩანს ბებუთაშვილების გასამყრელოს ერთი ადგილიდან: „ჩვენი ბაღის თავზედ საგუბარი რომ მაქვს, იქიდამ მილით არის დაწყობილი შარამდინა, იმისი შენი რასათი მილის ხარჯი მომეცა სრულობით. ამის იქით შენი წილია. წყალი უნდა იმ მილიდან წაილო“ (საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთარი 57, № 1). ქალაქის განწესება მკვეთრად საზღვრავდა ამა თუ იმ წყალს ვის მამულებში უნდა ედინა და რა ხანგრძლიობით. დასტურლამალით ირკვევა, რომ ბატონის ბაღის წყალს ჭილებით სხვადასხვა მხარეს უდენია და მორიგეობით რწყავდა ციხეს, ბატონის ბაღებს, თბილელისა და ქალაქის ბაღებს და აბანოების მხარეს[60]. ამ წყლით სარგებლობის წესი „ბატონის წყლის გარიგების წიგნში“ იყო გაესაზღვრული. წყლის გარიგების წიგნი მოქალაქეთა შორისაც იდებოდა, რომელშიაც ისაზღვრებოდა წყლით სარგებლობის რასათი (ჯერი). ერთი ასეთი წიგნი დაიდო მაგალითად მელიქიანთ, გემიჩოვებსა და მირიმანოვებს შორის[61].

ამასთან ეს განსაზღვრა ეხებოდა აუზიდან თუ წყლის საცავიდან წყლის მილებით გამოყვანის ჯერს, ხოლო თვით აუზიდან წყლის წამოღება თავისუფლად ხდებოდა: „აუზის სათავიდან ქელად წაილოს და ზიდვით მოიხმაროს ვისაც უნდა“[61].

საინტერესო მასალას იძლევა თბილისის გეგმები ქალაქის წყლით მომარაგების შესახებ. ვახუშტის გეგმაზე აღნიშნულია არხი. რომელიც წავკისის წყლიდან არის გადმოგდებული და სოლოლაკის ქედის თხემზე გავლით შაისტახტიდან ქალაქის ციხეში შემოდის. ეს არხი ნაჩვენებია პიშჩევიჩის გეგმაზეც. ამ გეგმით არხი უერთდება დიდ წყალსაცავს, რომელიც ციხის ტერიტორიაზეა მოთავსებული (№ 57). ამგვარადვეა ეს სისტემა დატანილი 1800 წლის გეგმაზეც, სადაც იგი სახელდებულია როგორც „Водяной ров проведенный из реки Цавкиси для пущения воды в водохранилище, в крепости находящееся“ აქაც არხით მოტანილი წყალი წყალსაცავში გროვდებოდა (водохранилище. № 5). 1800 წლის გეგმა ციხის ტერიტორიაზე უჩვენებს მეორე ასეთსავე წყალსაცავს (№ 11). ასეროვ

---

[60] „ბატონის წყლის გარიგების წიგნი... ყოველს პარასკევს დღეს წყალმა ციხის ამბრისთვის უნდა იდინოს. და პარასკევს სალამოს, შაბათს, კვირას დღე და ღამე ბატონების ბაღში უნდა იდინოს. ორშაბათს და სამშაბათს დღე და ღამე თბილელის და ქალაქის ბაღებისათვის უნდა იდინოს. ოთხშაბათსა და ხუთშაბათსა ციხისა და აბანოებისაკენ იდინოს“. დასტურლამალი. გვ. 14.

[60] საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთ. 44, საბ. № 111,

[61] იქვე.

სამი ეს სხვადასხვა დროს შედგენილი გეგმა თბილისის ციხეში წაეკისის წყლის შემომტან არხს ერთნაირად გვიხატავს.

გეგმები უჩვენებს აგრეთვე არხთა სისტემას, რომელიც განკუთვნილი იყო თბილისის გარეუბნებში გაშენებული ბაღების მოსარწყავად. ამ არხებს 1800 წლის გეგმა შემდეგი სახელწოდებებით მოიხსენიებს: „ров водяной для пущания по садам воды, водяной ров из реки Павкиси для пущания воды в сады."

თბილისური დოკუმენტებით აშკარა ხდება წყალსაცავებისა და წყლისგამომყვანი მილების მრავალ ადგილას არსებობა. წყაროების სიშორე და მათი მაღლობებზე მდებარეობა განსაზღვრავდა თვით თიხის მილთა მაგისტრალის სიგრძეს. ამ მაგისტრალთა არსებობა კი თავისთავად მიუთითებს წყლის მეურნეობის მაღალ დონეზე თბილისში.

დანართი

ვახუშტის ბეგმის ანალიზაციები

(დედანი დაცულია საქ. ხელნ. ინსტიტუტში. ფ. II № 2079)

1. მეფის სასახლე
2. დედოფლის სასახლე
3. ყარის საყდარი
4. მეფის მოედანი
5. ბატონიშვილის სასახლე
6. ანჩის ხატი
7. ამილახვარის სახლი
8. ბატონიშვილის სახლი
9. ლეონისაბისა
10. შუხრანის ბატონისა
11. სიონი
12. თბილელის ქარვასლა
13. ძელქის ქარვასლა
14. მეფის ფუნდუკი
15. ციხის მეიდანი
16. სიკოლოზის საყდარი
17. ციხის საყდარი
18. მაღალი ციხე
19. სტამბოლის გოდოლი
20. შაჰის ტახტი
21. კოერის ყარი
22. დიღმის ყარი
23. მეიდნის ყარი ხიდით
24. ქეშო ყარი ხიდით
25. ვანქი
26. სასაფლაო სომეხთა
27. მეიდნის სასახლე
28. მეიდანი ანუ ასპარეზი
29. ყაიბულას ბაღი
30. საბაზიერო მეფისა
31. სასაფლაო თათრისა
32. ოცოშვილის სახლი
33. ქაშვეთი
34. ყალოებანი
35. არაგვის ერისთავის სახლი
36. სომხის საყდარი
37. ბეყანას ქარვასლა
38. მაჰმასახლისის ბაღი
39. დედოფლის ბაღი
40. მეფის დიდი ბაღი
41. ამარათი
42. თბილელის ბაღი
43. სალალაკის წყალი
44. იმეტრეკი
45. მთაწმინდა
46. ტბილისის ხიდი ციხიდამ
47. ტბილისის ბაღი სეიდაბადისა
48. ხალათყარი
49. მთაბორი
50. თათართა საფლავი
51. ციხის ბაღი
52. ოქუანთ ხიდი
53. წაეკისის წყალი
54. კრწანისის ბაღი
55. მეტეხი ციხით
56. აელაბარი, ისნი
57. სომხის საყდარი
58. ბერძნის საყდარი

59. მელიქის საყდარი
60. ბებუთის ბაღი
61. სომხის საყდარი
62. ჩელურეთი
63. კეირაცხოველი
64. ახალი სოფელი
65. ახალი ბაღი მეიდნისა
ა. კალა ანუ ტბილისი
ბ. მიმასახლისის საყდარი
გ. სომხის საყდარი
დ. ლათინთ საყდარი
ე. ბეეანას ბაღი
ვ. მოღნისი
ზ. კლდის უბნის საყდარი
თ. ციხე დაბალი
თ. მაღალი ციხე
ი. სეიდაბადი ანუ ტბილისი
ია. ხიდი ავლაბრისა
იბ. გარეთუბანი
იგ. ავლაბრის კარი
იდ. მდინარე მტკვარი
...გზა
111 ღელე
იე. თბილი
გორა
ივ. ფრანგის საფლავი

დედანზე მოთავსებული წარწერები ჩვენს გამოცემაში შეცვლილია ციფრებით, რაც ქვემოთ მოგვყავს

66. ეუმისის გზა
67. ეოერის გზა
68. ეოერის გზა
69. ბაღების გზა ყარაბისა
70. ეახეთის გზა
71. შეატბის გზა
72. ლისის გზა
73. მახათა
74. ავჭალის გზა
75. ზედა გზა

ექსპლიკაციები თბილისის 1785 წლის გეგმისა

გეგმა დაბეჭდილია **Записки императорского одесского общества Истории и древностей-ს XXIV** ტომში, შესრულებულია ფრანგულ ენაზე, თან ერთვის ექსპლიკაციები. მოგვყავს მათი ქართული თარგმანი.

გეგმა დახაზულია ალექსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს წმიდა გიორგის ციხეში, კოკასიის მთების ხაზზე.

გეომეტრიული გეგმა ქალაქ თბილისისა, საქართველოს დედაქალაქისა, რომელიც მდებარეობს მდინარე მტკვრის ნაპირას და არის საქართველოს მეფის ერეკლეს რეზიდენცია.

ქალაქი თბილისი იყოფა სამ ნაწილად, რომელთაგან ჩრდილოეთით მდებარეს ეწოდება კალა და წარმოადგენს ქართველთა უბანს. მეორე ნაწილი სამხრეთით მდებარეობს, ეწოდება საკუთრივ თბილისი და წარმოადგენს სომეხთა უბანს. მესამე ნაწილი აღმოსავლეთითაა, გამოყოფილია ქალაქისაგან მდინარე მტკვრით და ეწოდება ავლაბარი.

პირველი ნაწილი, რომელიც ჩრდილოეთითაა და კალა ეწოდება

1. წყლისკარი
2. კათალიკოზის სახლი
3. საკათალიკოზო ტაძარი
4. ქართული ეკლესია ანჩისხატი
5. ქართული ეკლესია წმიდა გიორგისა
6. სამლოცველო მეფე ერეკლესი.
7. სამეფო კარი და მეფის რეზიდენცია
8. სამეფო ოჯახის აპარტამენტები
9. გიორგი ბატონიშვილის აპარტამენტები
10. ღვთისმშობლის ტაძარი
11. მეფე ერეკლეს აპარტამენტები
12. სტაფბა
13. ქართული ეკლესია ნათლისმცემელი
14. ცხელი ბანო, რომელიც მუშაობს ცხელი წყლით
15. მეჩახმახეთა და ზეინკალთა დუქნები
16. მეჩეთი
17. მღებავთა ქუჩა
18. ოქრომჭედელთა ქუჩა
19. სომეხთა ეკლესია სურფნიშანი
20. თოფხანა
21. სომეხთა ეკლესია ჯიგარაშენი
22. მაღლაკარი
23. დიღმის კარი

24. კათოლიკური ეკლესია
25. სომხების ახალი ეკლესია
26. მეუდით მოვაჭრეთა დუქნები (ბაზაზხანა)
27. რკინეულობისა და აბრეშუმის დუქნები
28. ხარაზხანა
29. ქართული ეკლესია ნათლისმცემელი
30. სიონი
31. მეფის ქარვასლა
32. სომეხთა ეკლესია ნორაშენი
33. ქართული ეკლესია ჯვარისმამა
34. მეჩეთი
35. მექვაბეების დუქნები
36. ქარვასლა, სადაც ჩერდებიან ვაჭრები
37. სომეხთა ეკლესია სანაკაშენი
38. მეჩეთი
39. სომეხთა ეკლესია მოღნინი
40. თოფხანა
41. სომხების ეკლესია კოზმანი
42. სომხების მონასტერი
43. სომხების ეკლესია ფეთხაინი
44. სინაგოგა
45. სომხების ეკლესია კლდის საყდარი
46. თათრის ბაზარი
47. ზარაფხანა
48. მეჩეთი
49. ჭურჭლის ქარხანა
50. სომხების ეკლესია ციხის საყდარი
51. საბაჟო
52. სომხების ეკლესია
53. საბაჟო
54. ცხელი აბანო
55. თურქების ეკლესია
56. ციხისკარი სამოცი საჟენის სიმაღლეზე, სადაც წინათ იყო რეზიდენციაც სპარსეთის ხანისა.
57. წყლის რეზერვუარი, სადაც წყალი გროვდება პატარა არხით, რომელიც იმავე სიმაღლეზეა და მოემართება მთიდან.
58. ქართული ეკლესია
59. ცივი აბანო
60. საპატიმრო
61. განჯის კარი სპარსეთის გზისაკენ
62. ცხელი აბანო
63. დაბახანა
64 წრისქვილი

მესამე ნაწილი — ამლაბარი

65. ხიდი მტკვარზე
66. სომხების ეკლესია
67. სანოეგის ბაზარი
68. სახლი გეორგი ბატონიშვილისა
69. ეკლესია
70. წისქვილი
71. აელაბრის კარი, დაღესტნის დიდ გზაზე გამავალი

მონასტრის გარეშანი

72. სომეხი ბერების მონასტერი
73. წისქვილი
74. სომხების სასაფლაო
75. საასპარეზო
76. ქართული ეკლესია ქაშუეთი
77. ქართული ეკლესია კალოებანი
78. სომხების ეკლესია ქაშოახთი
79. თოფისწამლის ქარხანა
80. წისქვილი
81. ნანგრევები საქართველოს მეფის ძველი რეზიდენციისა
82 თათრების სასაფლაო
83. ველი, სადაც ხალხი მიდის ქვის სამტვრევად
84. ცივი წყარო, მინერალური
85. ქართველთა მონასტერი
86. სომხების მონასტერი

ექსპლიკაციები თბილისის 1800 წლის გეგმისა

Снимал и чертил капитан Чуйко

(დედანი დაცულია მოსკოვში ЦГВИА ф. ВУА № 22660)

დაცულია ლენინის მარცხენა

План города Тифлиза, резиденции царства грузинского с описанием его частей и в них главных публичных строений сочинен 1800 года.

Описание городовых частей

I. Нарин-Кала, на татарском языке значит главная крепость.
II. Цихе- на грузинском языке значит — крепость.
III. Колаки — на грузинском языке значит город
IV. Небольшой замок Шай-тахт.
V. Предместье Абанусби
VI. Предместье Кара Убани
VII. Предместье Ванкис Убани
VIII. Замок Вани
IX. Замок Арбельванова
X. Авлабар
XI. Замок Метех
XII. Предместье Авлабрис Убани.

Описание главных крепостных и цивильных строений.

В Нарин-Кале (ე. ი. I)

1. Цареградская башня
2. Тавризская Башня
3. Погреб для снарядов артиллерийских
4. В башне пороховой погреб
5. Водохранилище.
6. Вход в Нарин-кале.

В Цихе (ე. ი. II)

7. Разоренная грузинская церковь Преображения
8. Крепостные ворота с подземным входом
9. Подземной ход к воде, ныне испорченный
10. Жилое строение
11. Водохранилище
12. Наружные крепостные пристройки, кои во многих местах развалились.
13. Прежде бывшее, ныне испорченное строение для артиллерийских снарядов.
14 и 15. Батарей

16 и 17. Башни

18. Разворенный подземной ход к воде

В Колаке (р. о. III)

Городовые ворота

19. Гандзинские

20. Банные

21. Авлабарские, сии ворота не в городовой стене, но в стене небольшого укрепления, прикрывающего от стороны Авлобара мост через реку Куру.

22. Цавкисские

23. Дюгомские

24. Мухравоны

Грузинские церкви

25. Собор успение пресвятыя богородицы

26. Разворенная, Иоана Предтечи.

27. Благовещание

28. Разворенная, Иоана Предтечи

29. » , рождество Иоана Предтечи

30. Рождество богородицы

31. Святого великого-мученика Георгия

32. Нерукотворного образа

33. Ныне строющаися во имя Рождества Христова

34. Святого апостола Фомы

35. Часовня во имя нерукотворного образа

Греческие церкви

36. Святые великомученицы Катерины

37. Иерусалимская, воздвижении Креста

Армянские церкви:

38. Св. мученика Артемия

39. Архангела Михаила

40. Святых 12 апостолов

41. Св. великомученика Георгия

42. Пресвятой Богородицы Вефлиемской

43. Разворенная, Иоана Предтечи

44. Пресвятыя Богоматери

45. Девичий монастырь св. великомученика архидиакона Стефана

46. 47. 48. 49. Св. великомученика Георгия

50. Телетинская св. Георгия
51. Разворенная, Иоана Предтечи
52. Благовещение.
53. Святителя Николая

Мечети

54. Татарская мечеть, в коей отправются и ныне молитвы.
55. 56. 57. 58. Разворенные татарские мечети
59. Нынешнее местопребывание Его Высочества Царя.
60. Прежде бывшей, а ныне разоренной царской дворец.

Лавки

61. Верхний базар
62. Большой базар.
63, 64, 65, 66 Караван-Сарай или Гостинные дворы

Площади

67. Батонис-Мейдан или Царская площадь, где ныне и плац парад
68. Татрис Мейдан или Татарская площадь
69. Монетный двор
70. Баня

В. Абанусби (д. о. V)

71.
72. Бани
73.
74.

В Кара Убани (д. о. VI)

Грузинские церкви

75. Св. великомученика Георгия, в небольшом замке Кашуети называемом.
76. Св. великомученика Георгия, в небольшом замке называемом Калоубани.
77. Пресвятые тройцы
78. Армянская церковь св. великомученика Георгия.

В Замке Ванки (д. о. VIII)

Армянские церкви

79. Успение богоматери
80. Разоречная, всех святых.

В Ванкис Убани (д. о. VII)

Армянские церкви

81. Св. Сергия

82. Св. великомученика Георгия

В Замке Арбельянова (д. о. IX)

83. Арм. церковь св. великомуч. Георгия.

В Авлобаре (д. о. X)

84. Груз. ц. св. мученика Ираклия и св. мученицы Дарии

Армянские церкви

85. Рождество Богородицы

86. Св. велико-мученика Георгия

87. Дворец Ея высочества вдовствующей царицы Дарии Георгиевны

88. Лавра

В замке Метех (д. о. XI)

89. Груз. церковь пресв. богородицы

В Авлобарис Убани (д. о. XII)

90. Груз. церковь св. великомученицы Марины

91. Арм. церковь именующая Ериванским святого мини.

Експликация знаков

— Кварталы, черной краской покрытия, означают разворенные строения.

— большие дороги

небольшие дороги, по которым обозы ходят

Малые, только верхоезжая или пешеходные дороги

Маас-штаб: Английский дюйм разделен на 25 сажен

ბუბნაზე დატანილი წარწერები

ორთაჭალის, სეიდაბადის ტერიტორიასა და თამბორის მთის კალთებზე

1. Ганджинская дорога какою всходит дорога от многих персидских городов, сия дорога из Анатолии.

2. Дорога в деревню Крцанисн.

3. Ров водяной для пущания по садам воды.

4. Армянская церковь святого Сергия.

5. Разваленное крепостное строение Халат-хан называемое

6. Бадна (?) Чаподарис хеви

7. Разоренное укрепление Корча-Кале.

8. Дорога в деревню Табахмел.

9. Гора Табор
10. Ров Суп-Саркиса
11. Родник холодный
12. Родник теплый (4 ადგილას)
13. Каменный мост
14. Татарское кладбище
15. Дорога в деревню Табахмел
16. Речка Цавкис она же Солаки
17. «Водяной ров проведанный из реки Цавкиси для пущания воды в подохранилище в крепости находящиеся».

გარეუბნის ტერიტორიაზე

1. Водяной ров из речки Цавкиси для пущания воды в сады
2. Верховая дорога в деревню Цавкиси, а от оной в Анатолию,
3. Водяной ров из речки Цавкиси для пущания по садам воды
4. Армянское кладбище
5. Грузинское кладбище
6. Дорога в местечке Мцхет, а от онаго идет в Россию до города Моздоки и в Имеретию до города Кутаиса.
7. Выходит на мцхетскую дорогу.
8. Кирпичные заводы
9. Площадь Кабах.
10. Погреб

ავლაბრის ტერიტორიასა და მტკვრის მარცხენა ნაპირებზე

1. Разоренная грузинская церковь святого Георгия
2. Дорога из деревни Натлиа
3. Нижняя дорога из кахетинских селений.
4. Верхняя дорога из кахетинских селений.
5. Давний окоп, теперь немного только приметный
6. Дорога из селения Маркоби
7. Дорога из селения Маркоби
8. Грузинское кладбище
9. Разоренная армянская церковь Иоана Предтечи
10. Урочище Чугурети
11. Разоренная грузинская церковь святого апостола Фомы
12. Дорога в деревню Авчал а от оной у местечка Мцхет выходит на большую в Россию идущую дорогу.
13. Балки внутри Цховели хеви.
14. Дорога к мельницам

ქალაქის შიგნით

1. Армянское кладбище
2. Признаки давнего укрепления.

თბილისის ტოპონიმიკა

(გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი)

ფრჩხილებში ჩასმულია ტერმინთა განმარტება

აბანოების მბაღი—76
აბანოების უბანი—38
აბანო ბებუთიშვილებისა—42
აბანოს კარი—5, 37, 38
აბანო დაუთხანისა—41
აბანო ენალაი—41, 42
აბანო ზუბალოვისა—40
აბანო თამამშვილისა—40
აბანო თბილელისა—40
აბანო მეითრისა—42
აბანო მელიქისა—40
აბანო მელიქოვისა—40
აბანო პატრეკისა—42
აბანო სუმბათოვისა—40
აბანო ყიას ვეზირისა—41
აბანო ჩარხისა—9
აბანო ციხისა—42
აბაშიძე-გედევანის სახლი—45
აგურხანა—50
ავანანთხევი—43, 55, 47, 49
აელაბარი—4, 55, 56, 58, 67, 75
აელაბრის გალავანი—55
აელაბრის კარი—55
აელაბრის ციხე—57
ალაფუბის ბანები—28
ალაფუბის დუქნები—31
ალაფხანა (მარცლეულისა და ფქვილის საყაროთა რიგი)—31
ამარათი—(სასახლე)—54
ამილახვარის სასახლე—8, 65, 66
ამილახვართა საგვარეულო სასახლე—45
ანჩისხატი—6
ანჩის ხატის ქუჩა—7
არაგვის ერისთავის სასახლე—45, 46, 51
აშპაშხანა —(სასადილოთა რიგი)—35
ბაზაზხანა —(ფართლეულთ მოვაჭრეთა რიგი)—16, 19, 20, 22
ბაზაზხანა ზემო—18
ბაზაზხანა ქვემო—18, 19, 33
ბატონის ბაღი—76
ბატონის, მეფის, ზენო მოედანი—6, 18, 10, 12, 13, 14, 15, 23, 48
ბატონის ეკლესია—იხ. ეკლესია ბატონისა
ბატონის სასახლე—23
ბაულების დუქნები (სახოვაგი მოვაჭრეთა დუქნები) 31
ბებუთას ბაღი—58
ბებუთაშვილების სასახლე—30, 75
ბებურიშვილის სასახლე—33
ბეჟანის ბაღი—26
ბეჟანის ეკლესია—იხ. ეკლესია ბეჟანისა
ბერძენხანა—35, 36
ბოშის უბანი—50
ბაბოის კარი—5, 37
გარეთუბანი—5, 42, 43, 44, 45, 56
გედევანიშვილის სასახლე—25
დაბახანა—(ტყავის დამუშავებელთა ქარხნები) — 37, 40, 42
დაბლაკარი—იხ. წყლის კარი
დავითგარეჯის სასახლე—9
დარეჯან დედოფლის სასახლე—56, 57
ვიანახანა—(საბელმწიფო ყანცელარია)—18
ლირსიპალა—58
ლილმის გზა—51, 53, 54
ლილმის კარი შუა კარი—5, 24
ეკლესია წმ. გიორგისა—6
ეკლესია წმ. ეკატერინესა—6, 35
ეკლესია ზირკიხანაში—33, 44, 46
ეკლესია თეკენამისა—50, 51
ეკლესია კათოლიკეთა, ლათინთ საყდარი, ფრანგის საყდარი—25, 27, 67
ეკლესია კერაცხოვლისა—6, 25
ეკლესია ეოზმან და დამიანესა—6
ეკლესია მოღნინისა—6, 30
ეკლესია ნათლისმცემლისა—6, 14, 15

ეკლესია წმ. ნიკოლოზისა—37
ეკლესია ნორაშენი—6, 17, 28, 29
ეკლესია ორბელიანთ კარისა—49
ეკლესია საკაშენი—6, 28, 30, 31
ეკლესია სურბნიშანი—24
ეკლესია ქაშეთი—43, 47, 49, 53, 51, 54, 67
ეკლესია ციხისდიდი—6, 35, 36, 37, 73
ეკლესია ციხის პატარა საყდარი—36
ეკლესია ხოკავანქი—58
ეკლესია ყვარისშამა—6
ეკლესია ყიგრაშენი—6
ვახტის გზა—49, 50
ვახტის უბანი—47, 48
ვერე—43, 54
ზარაფხანა (სახლი, სადაც ფული იჭრებოდა)—33, 34, 73
ზემოკარი—51
ზემო მოედანი—იხ. ბატონის მოედანი
ზემო უბანი—6, 7, 22, 23, 26, 67
ზემო უბნის ბურჯი—22
ზარკინანთ ეკლესია—იხ. ეკლესია ზარკინანთი
თათრის||ქვემო მოედანი—6, 15, 17, 26, 29, 30, 31, 32, 33, 34, 35, 36, 37, 73
თამამშანთ უბანი—28, 31
თბილელის ბაღი—76
თოფხანა (არსენალი)—12, 20
თოფხანის ქუჩა—12
თუმანიშვილების სახლი—45
იალანი—4, 57
კათოლიკეთა საყდარი—იხ. ეკლესია კათოლიკეთა
კალა—4, 6, 37
კალოუბანი—53
კლდის უბანი—30, 31, 63, 75
კოზმნის უბანი—28
კოჯრის კარი||მაღლა კარი—5, 6, 23, 26
კოჯრის კარის ქუჩა—23
კრწანისი—39
ლათინთა საყდარი—იხ. ეკლესია კათოლიკეთა
ლილეხანა (საშლებროთა რიგი)—19
ლილოს გზა—58
ლოინანთ ბაღი—43
მანდენაანთ უბანი—28
მარუთაანთ უბანი—28, 31
მახათას მთა—58, 75
მეიდანი (ყაბახი)—49
მეიდნის სასახლე—49
მეითრიშვილების სასახლე—9
მელიქის სასახლე—63
მელიქის უბანი—30
მელიქის ქარვასლა—იხ. ქარვასლა მელიქისა
მელიქის ძველი უბანი—28, 30
მეტეხი—55, 56
მეტეხის დაბლა ციხე—57
მეტეხის მაღლა ციხე—57
მეტეხის უბანი—55
მეტეხის ხიდი—73
მეფის სასახლე—7
მექკაბეთა რიგი—18, 22
მეჩეთი—13, 33, 34
მეხაშეების რიგი—35
მოღნინის უბანი—28
მროველის სასახლე—9
მტკვარი—6
მუხრანბატონის სასახლე—8, 47
მუხრანბატონის უბანი—47, 48
ნაეთლელი—58
ნარიყალა—4, 5, 6
ნაღარახანა—(მესაკრავეთა სამყოფი)—13, 14
ნორაშენი—იხ. ეკლესია ნორაშენი
ნორაშნის უბანი—28
ორბელიანთა კარის ეკლესია—49
ორბელიანთა უბანი—48, 49
ორთაჭალა—39, 58
ოქრომჭედლების ბაზარი—24
ოქრომჭედლების რიგი—24
ოქროყანის კლდე—75
რასტაბაბარი—სწორ ხაზზე განლაგებული სავაჭროები—15, 16, 17, 18
რასტაბაბარი გარეთუბანს—53
როსტომის სასახლე—74
ხაკეურე—44
საკაშენი—იხ. ეკლესია საკაშენი
საკპარეზო, ყაბახი—42, 45, 48, 49

ალაკბი—13
სამეფო სასახლე—64
სარაჯხანა—(ცხენის აღკაზმულობათა საბელოსნოების რიგი)—15, 16
სარიმაჯის უბანი—33, 34
სეიდაბადი—4, 37, 38, 39, 42, 53, 67, 75
სიოსი—6, 16, 20, 21, 26, 74
სიონ-ანჩიისხატის რიგი—64
სირაჯხანა—(ღვინით მოვაჭრეთა რიგი)—19, 56
სირაჯხანა—დიდი—19
სირაჯხანა პატარა—19
სირაჯხანის აღმართი—29
სოლოლაკი—53, 75
სომხის ბაზარი—იხ. შუა ბაზარი.
სტამბა—9, 14
სურბნიშანი—იხ. ეკლესია სურბნიშანი
სურბსტეფანოსი (მონასტერი)—6, 30
ტფილისი—4
ურდეკარხანა (აბრეშუმეულობით მოვაჭრეთა რიგი)—20, 21, 33
ფეთხაინი—6
ფეთხაინის კლდის უბანი—28
ფეთხაინის უბანი—30
ფითუანთ უბანი—28
ფრანგის საყდარი—იხ. ეკლესია კათოლიკეთა
ფრანგების ქუჩა—27
ჭამაანთ საყდარი—იხ. ეკლესია ჭამაანთი
ქარვასლა აშხარბეგისა—69
ქარვასლა ბატონისა—18, 20, 21
ქარვასლა ბეჟანისა—43, 54
ქარვასლა თბილელისა—20, 22
ქარვასლა შელქისა—22, 67
ქარვასლა მილთონისა—67
ქარვასლა შუნთოანთი—22
ქარვასლა ოქუანთი—22, 67
ქარვასლა ფირუულაანთი—22
ქარვასლა ფირუულაანთი აელაბარში—55
ქარვასლა ღამბარაანთი—51, 64
ქარვასლა ჯვარიმამისა—68
ქაშვეთი—იხ. ეკლესია ქაშვეთი
ქეზხანა, ქესხანა—(იგივე ჭურახანა—ჭურეულის ქარხანა)—33, 52
ქვემო კარი—იხ. წყლის კარი
ქვემო უბანი—6, 26, 38
ქვემო მოედანი—იხ. თათრის მოედანი
ციხის კარი—40
ქსნის ერისთვის სასახლე—25
ქურახანები—52
ღომელაურის წყალი—58
ყაბახი—იხ. საბაბარეზო
ყაბულის ბაღი—43, 50
ყასაბხანა (ხორცის საკაპროთა რიგი)—32
ყაჯარდუნის დექნები—(უნაგირის ქვეშ საფენის მკეთებელი ხელოსანი)—17
ყორღანაანთ უბანი—28
ყორჩიანთ ქუჩა—12
შერგილაანთ უბანი—28
შერმაზანაშვილის სახლი—45
შუაბაზარი სომხის ბაზარი—6, 23, 27
შუა კარი—45, 49, 50, 51
შარსტახტი—4, 75, 76
ჩალუანთ უბანი—28, 29
ჩითახანო უბანი—28
ჩორსუ (გზაჯვარედინზე ჰოწყობილი საკაპროები)—16, 17, 18
ცოცხშვილის სასახლე—25, 43, 45
ციხე—75
ციხის დიდი ეკლესია—იხ. ეკლესია ციხისდიდი
ციხის უბანი—31, 36, 37, 64
ცოცხალაანთ უბანი—27
ცოცხალანთ ბურჯი—27
წაეკისის წყალი—75, 76, 77
წაეკისის ხეები—37.
წყლის კარი, ღაბლა კარი, ქვემო კარი—5, 7, 8, 10, 47
წყლის გზა—10
წყნეთი—54
ჭონხანა—(მექუდეების ხელოსნოთა რიგი)—16, 17, 18
ხალანხანა—39
ხარაზხანა—16, 17, 19, 29
ხარფუხი—39
ხელმწიფის ბურჯი—45
ხერხეულიძე რუკაბის სახლი—45
ხოჯავანქი—იხ. ეკლესია ხოჯავანქი
ჯვარის მამა—იხ. ეკლესია ჯვარის მამა
ჯვარის მამის სასახლე—10, 67
ჯიგრაშენი—იხ. ეკლესია ჯიგრაშენი
ჯიგრაშენის უბანი—27



ვანეშენის ბაღი



[illegible] 1800 [illegible]

სარჩევი

შესავალი . 3

I. კალა 6

1. ზემო უბანი 6

2. ქვემო უბანი 26

II. ტფილისი, აბანოების უბანი, სეიდაბადი . . 38

III. გარეთუბანი 42

IV. ავლაბარი 55

V. შენობათა გარეგანი სახე. ქუჩები და ქალაქის წყლით მომარაგება 59

დანართი 76

1 ვახუშტის გეგმის ექსპლიკაციები 78

2. ექსპლიკაციები თბილისის 1785 წლის გეგმისა . 80

3. ექსპლიკაციები თბილისის 1800 წლის გეგმისა . 83

თბილისის ტოპონიმიკა . . . 88

Мамиса Максимовна Бердзнишвили

ВНЕШНИЙ ВИД ТБИЛИСИ В XVIII ВЕКЕ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

•

რედაქტორი მ. დუმბაძე

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაკრაძე
მხატვარი რ. სტურუა
ტექრედაქტორი ე. ბოკერია
კორექტორი ე. ჯობავა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.10.1965; ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 6,38; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,86;
ფფ 02209; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1170;
ფასი 42 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5